"ვარდების რევოლუცია" - საექსპორტო პროდუქცია ყაზახეთისთვის A2
უცნაური დღე ცესკო-ში A2
ავტომობილი B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 29 იანვარი, 2004 წელი. №23 (572)

ფასი 50 თეთრი

ევროსაბჭოში ხუთჯვრიანი დროშა აღიმართა

28 იანვარს სტრასბურგში, ევროსაბჭოში, ადგილობრივი დროით 12.05 საათზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხუთჯვრიანი დროშა აღმართა. დროშის აღმართვის შემდეგ გაიმართა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტსა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ პიტერ შიდერს შორის. შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა ბატონ შიდერს რევოლუციის სიმბოლო - ოქროს ვარდი გადასცა. თავის მხრივ ასამბლეის პრეზიდენტმა საქართველოს პირველ პირს გადასცა მედალი - მუდმივი საშვი ევროსაბჭოში. ეს პატივი დღემდე მხოლოდ ორ პრეზიდენტს ერგო. შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: **"ეს ფაქტი ძალზე საგულისხმოა. ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამ მაღალი ტრიბუნიდან ისმოდეს საქართველოს ხმა."**

შემდეგი შეხვედრა მიხეილ სააკაშვილმა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან, ვალტერ შვიმერთან გამართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა: **"ევროსაბჭო ყოველთვის აქტიურ დახმარებას უწევდა საქართველოს. იმედს გამოვთქვამ, რომ ამგვარი დახმარება მომავალშიც გაგრძელდება."** რაც შეეხება დახმარებას ეკონომიკურ სფეროში, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ამ მხრივ ევროსაბჭოს დახმარება არ არის მოსალოდნელი და ამ მიმართულებით თავად საქართველომ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯები, რაც კორუფციასთან ბრძოლაში და ინვესტიციების მოზიდვაში გამოიხატება. ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ევროსაბჭოს სიტყვით მიმართა და უპასუხა დეპუტატთა შეკითხვებს.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური

იხილეთ A6-A7 გვერდი

აფიორა

ქართული მეტალურგია - რაღაც 10 მილიონის ჯართი

"რა არის თქვენი მეტალურგიული ქარხანა? რაღაც 10 მილიონი დოლარის ჯართი?! ეს ხომ კაპიკებია, ამის გულისთვის ხელის გასვრაც არ ღირს," - ასე უარყო იტალიელი ინვესტორის "არეს ინტერნეიშნელ"-ის წარმომადგენელმა ალექსანდრე სერიოგინმა ბრალდებები.

A3

ეკონომიკა

დაპირისპირება "ცეკავშირში" კრიტიკულ ზღვარს აღწევს

ცეკავშირის კოლექტივის ერთი ნაწილი უკვე მეცხრე დღეა მჯდომარე შიმშილობას აგრძელებს. ექიმების განცხადებით, ორი ადამიანის ჯანმრთელობა კრიტიკულია. თავად ცეკავშირის შენობა და თავმჯდომარის სამუშაო ოთახი საიმედოდ არის დაცული. ცეკავშირლები თავმჯდომარე ქელბაქიანის თანამდებობიდან გათავისუფლებას მოითხოვენ.

A4

უცხოეთი

ჰატონის კომისიის საბოლოო ვერდიქტი: "ბიბისი" დამნაშავეა

გუშინ მოსამართლე ლორდ ჰატონის საგამოძიებო კომისიამ "ერაყის დოსიეს" გარშემო განვითარებულ მოვლენებზე საბოლოო დასკვნა გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ დეტალური ინფორმაცია ამ დოკუმენტის თაობაზე უკვე დღევანდელ გაზეთებში იქნება გაშუქებული, ბრიტანული გამოცემა "სანი" პირველი აღმოჩნდა, რომელმაც კომისიის დასკვნა გამოქვეყნებამდე მოიპოვა.

A5

საზოგადოება

"გარე მოვაჭრეებს ბაზრებში საკუთარი ფეხით შევიყვანთ"

თემურ მღებრიშვილის ხელკეტების ჩარევის შემდეგ, წერეთლის გამზირზე გარე მოვაჭრეების გუშინდელმა აქციამ მერიის შენობის წინ გადაინაცვლა...

A7

სამართალი

თურქული გემი იუსტიციის სამინისტროს და გენპროკურორის ყოფილი მოადგილის დაპირისპირების საგანი ხდება

იუსტიციის სამინისტრო გენერალური პროკურორის ყოფილ მოადგილეს ვენედი ბენიძეს მესაზღვრეების მიერ ფოთში დაკავებული თურქული გემის "ემმა"-სთვის ჯარიმის მოხსნაში ადანაშაულებს.

A8

ამინდი

თბილისი	12
ქუთაისი	15
ბათუმი	16
სოხუმი	14
ფოთი	16
თელავი	11
ზუგდიდი	16
გორი	9
ახმეტა	11

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1050
ევრო	2.6560
გირვანქა სტერლ.	3.8534
რუბლი	0.0739

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გზავნილი 2001 წლიდან

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქვემოთ მოყვანილი განცხადება 2001 წლის მაისში პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილ კონსტიტუციური ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნდა. დღეს, სამი წლის თავზე, სამწუხაროდ იძულებულნი ვართ, ეს განცხადება უცვლელად გამოვაქვეყნოთ შემდეგ გარემოებათა გამო:

■ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ლიდერები აცხადებენ, რომ მათ მიერ შემოთავაზებული ცვლილებების საერთო სახალხო განხილვა აღარ არის საჭირო, ვინაიდან 2001 წლის მაისში პრეზიდენტ შევარდნაძის ინიცირებული პროექტი უკვე სამი წელია, იხილება და პარლამენტს წარედგინება სწორედ იმ ცვლილებების გადამუშავებული ვარიანტი. შესაბამისად, მოვლენები შესაძლოა, იმდენად სწრაფად განვითარდეს, რომ ვეღარც კი მოვასწროთ კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის თაობაზე საზოგადოებისთვის ჩვენი მოსაზრებების მიწოდება;

■ ერთ-ერთი ჟურნალისტის მიერ მოპოვებული ცვლილებების პროექტით თუ ვიმსჯელებთ (სამწუხაროდ, პროექტის ოფიციალური ვერსია, ფაქტობრივად, გასაიდუმლოებულია), იგი მნიშვნელოვანწილად მართლაც ეყრდნობა პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ 3 წლის წინ შემოთავაზებულ მახინჯ მოდელს. სამწუხაროდ, 2001 წლის მაისში ჩვენს განცხადებაში დასმული პრობლემები დღესაც აქტუალურია;

გაგრძელება A3 გვერდზე

ექსკლუზიური ინტერვიუ ლეგენდარულ კრის ევერტთან

„ანა ტატიშვილი ჯენიფერ კაპრიატის მაგონებს"

აკა ტონია
დავით ქოქუა

ის შვიდი წლის განმავლობაში იყო მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი, მოგებული აქვს დიდი სლემის 18 ტიტული, ის იყო პირველი, ვინც გამარჯვებების 1000-მატჩიან ზღვარს გადააჭარბა.

ლეგენდარული კრის ევერტი, საერთაშორისო ჩოგბურთის დიდების დარბაზის წევრი, დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია. ამ ექსკლუზიური ინტერვიუს მთავარი თემა კი 13 წლის თბილისელი ანა ტატიშვილი გახლავთ.

"24 საათის" მკითხველი უკვე კარგად იცნობს ანა ტატიშვილს. მისი თავბრუდამხვევი წარმატებების შესახებ არაერთხელ გაცნობეთ. 13 წლის გოგონა ასაკით უფროს ჩოგბურთელებს უგებს. მას იწვევენ პროფესიონალთა უმნიშვნელოვანეს ტურნირებზე, მისით აღფრთოვანებულია ამერიკის მთელი საჩოგბურთო სამყარო. ანა კრის ევერტის აკადემიაში ვარჯიშობს. დიდ ჩოგბურთელთან მისი ურთიერთობა სცილდება მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობების ფარგლებს. კრის ევერტი და ანა დედა-შვილს უფრო მოგაგონებთ...

გაგრძელება A3 გვერდზე

კრის ევერტი.

REUTERS

ნაციონალ & დემოკრატები

სოფო ბუკია

"დღეის შემდეგ არ არსებობს ცალკე არც "ნაციონალი" და არც "დემოკრატი"... დღეს ჩვენ გავცემთ პასუხს კითხვაზე, რომელიც საზოგადოებას ყველაზე მეტად აწუხებს, – იქნება თუ არა შენარჩუნებული ერთიანობა? დღეს დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, ჩვენ ერთი გუნდი ვიქნებით," – ზურაბ ჟვანიამ გუშინ ოფიციალურად განაცხადა "დემოკრატებისა" და "ნაციონალების" ერთ პარტიად გაერთიანების თაობაზე. ამ გაერთიანების შექმნის დღესვე ისმის საკმაოდ ლოგიკური კითხვა: რამდენი ხანი შეძლებს სახელმწიფო მინისტრი ამ პარტიის ერთიანობის შენარჩუნებას?

ორი დღის წინ სერიოზულად ალაპარაკდნენ "ნაციონალებსა" და "დემოკრატებს" შორის შესაძლო განხეთქილებაზე. ამის მიზეზი აჭარის ჯერ კიდევ მოქმედი და სალსალამათი "მეთაურის" ტახტის მემკვიდრეობაზე დავა გახდა. ზუსტად მეორე დღეს "დემოკრატები" და

გაგრძელება A3 გვერდზე

სამხრეთ კავკასია, შესაძლოა, "ფართო ევროპის ინიციატივას" შეუერთდეს

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების "ფართო ევროპის ინიციატივაში" ჩართვაზე ევროკავშირის წარმომადგენლები საუბრობენ, პრეზიდენტი ბუში კი მხოლოდ საქართველოზე აკეთებს აქცენტს.

"ევროკავშირი ივნისში მიიღებს გადაწყვეტილებას, შეიყვანს საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს "ფართო ევროპის ინიციატივაში", თუ არა", – ორი დღის წინ განაცხადა ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყნის ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ევროკავშირმა რეგიონს განსაკუთრებული ყურადღება მას შემდეგ მიაქცია, რაც საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

შინაგან საქმეთა მინისტრის ახალი გადაწყვეტილებები და ბოლო პერიოდის "ნადავლი"

თამარ კაციტაძე

როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმა მხოლოდ საკადრო და სტრუქტურულ ცვლილებებს არ გულისხმობს. გიორგი ბარამიძის გადაწყვეტილებით, ცოტა ხანში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში წინასწარი დაკავების იზოლატორი აღარ იქნება.

"მინდა გაგიმხილოთ, დღევანდელ თათბირზე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში არსებული წინასწარი დაკავების იზოლატორი, რომელშიც ამ რამდენიმე ხნის წინ ერთმა დაკავებულმა თავი ჩამოიხრჩო, იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებაროს. შენობაში, სადაც მინისტრი და სხვა თანამდებობის პირები მუშაობენ, ამგვარი იზოლატორის არსებობა გამართლებული არ არის", - განაცხადა გუშინდელ ტრადიციულ ბრიფინგზე გიორგი ბარამიძემ.

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 ოფიციოზი | A7 ოფიციოზი | A8 სამართალი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

"ვარდების რევოლუცია" - საექსპორტო პროდუქცია ყაზახეთისთვის

ყაზახეთის ოპოზიციის ლიდერი ასილბეკ კოჟახმეტოვი.

"ვარდების რევოლუციის" ფენომენზე დღეს უკვე მთელი მსოფლიო საუბრობს; ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ მისით ყაზახეთშიც დაინტერესდნენ. "ვარდების რევოლუციის" "გაკვეთილის" შესასწავლად ამჟამად თბილისში იმყოფება ოპოზიციური გაერთიანება "ყაზახეთის დემოკრატიული არჩევანის" საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ასილბეკ კოჟახმეტოვი. იგი უკვე შეხვდა "ნაციონალური მოძრაობის", "გაერთიანებული დემოკრატების", ტრადიციონალისტთა კავშირის, აგრეთვე თავისუფლების ინსტიტუტის, მოძრაობა "კმარას", ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" და სხვა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

"აქამდე ჩვენთვის საქართველო ასოცირდებოდა ედუარდ შევარდნაძესთან, ბუბა კიკაბიძესთან, ნანი ბრეგვაძესთან, "მიმინოსთან" და "ბორჯომთან". ახლა წინა პლანზე "ვარდების რევოლუცია" გადმოვიდა", - აცხადებს კოჟახმეტოვი. მისი თქმით, ყაზახეთში არსებული ოპოზიციური ძალები იმედით აღივსნენ, როდესაც საქართველოს მაგალითით დარწმუნდნენ, რომ დრომოჭმული პოლიტიკური რეჟიმების შეცვლა, თუ ხალხი მხარს გიჭერს, უსისხლოდაც შეიძლება.

ყაზახი სტუმარი მის სამშობლოში შექმნილ მდგომარეობას საქართველოში შევარდნაძის მმართველობის პერიოდში არსებულ სიტუაციას ადარებს და ბევრ მსგავსებას პოულობს.

"კორუფციის მხრივ ჩვენთან კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა, ვიდრე საქართველოში. შვეიცარიის ბანკებში დაპატიმრებულია 300 მილიონი დოლარი, რომელიც პრეზიდენტ ნაზარბაევის ოჯახის საკუთრებაა. მისი სიძის ხელშია მოქცეული ყაზახეთის მთელი ნავთობი, ხოლო პრესასა და ტელევიზიას პრეზიდენტის ქალიშვილი აკონტროლებს", - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "ყაზახეთის დემოკრატიული არჩევანის" წარმომადგენელმა. ამასთან, კოჟახმეტოვმა ისაუბრა რეპრესიებზე, რომელსაც მისი ქვეყნის ხელისუფლება ოპოზიციის მიმართ ახორციელებს. მისივე თქმით, **"ყაზახეთში შეზღუდულია სიტყვის თავისუფლება, არ არსებობს "რუსთავი-2"-ის მსგავსი დამოუკიდებელი ტელევიზია, იდევნება ოპოზიციური პრესა".**

ყაზახეთის ოპოზიციური გაერთიანების წარმომადგენელს იმედი იქვს, რომ "ვარდების რევოლუციის" გამოცდილება საპარლამენტო არჩევნების დროს გამოადგებათ, რომელიც ყაზახეთში მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება.

გიორგი ასანიშვილი

იმპიჩმენტი ფოთში

გუშინ ქალაქ ფოთის საკრებულომ იმპიჩმენტი გამოუცხადა ფოთის ახალ უპარტიო მერს ვახტანგ ალანიას, რომელიც თანამდებობაზე დეკემბერში დაინიშნა. საკრებულოს, რომლის უმრავლესობას "აღორძინების" და ყოფილი "მოქალაქეთა კავშირის" წევრები წარმოადგენენ, უნდობლობის ოფიციალური მიზეზი მერისათვის ჯერ არ უცნობებია.

ვახტანგ ალანია: **" დეკემბრის შუა რიცხვებში დავინიშნე. ფაქტობრივად, არ მიმუშავია და, ცხადია, უნდობლობის საბაბიც არ მიმიცია. ჯერ ჩემი წინამორბედი მერის ანგარიშიც კი არ არის მოსმენილი. ფოთის საკრებულოს აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს "აღორძინება" და "მოქალაქეთა კავშირი". ეს ის ხალხია, ვისაც მიხეილ სააკაშვილი რუსთაველზე ებრძოდა. მათგან სხვას რას უნდა მოველოდეთ".**

მისივე თქმით, ახალმა მთავრობამ ფოთში უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო. ქალაქში გამეფებულ განუკითხაობაზე ისიც მეტყველებს, რომ "თბოცენტრალის" მშენებლობა, რომელსაც ელექტროენერგიით უნდა მოემარაგებინა ფოთი და ახლომდებარე სოფლები, საერთოდ არ დაწყებულა. არადა, ხელშეკრულების მიხედვით, ფოთის ბიუჯეტიდან ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზისათვის 150 ათასი დოლარი გადაურიცხეს იტალიურ ფირმა "ფინკომატს." თუმცა ხელშეკრულების ქართულენოვან ვარიანტში აღნიშნული თანხა "ფინკომატს" უნდა მიეღო "თბოცენტრალის" დამონტაჟებისა და გაშვების შემდეგ.

ამ ხელშეკრულების შედგენაში აქტიურად მონაწილეობდნენ ფოთის საკრებულოს მაშინდელი ხელმძღვანელი მოგელი ტყებუჩავა (რომელიც დღესაც საკრებულოს წევრია), საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე აჩიკო კუპრეიშვილი და ტყებუჩავას მდივანი თემურ წურწუმია..

საკრებულოსა და წინა მთავრობის შეხმატკბილებული მუშაობის შედეგი ყოფილა, აგრეთვე, ტოფსილის ისტორიაც. ეს ნივთიერება, რომელიც ასფალტის მაგიერ გამოიყენება და რომლის შესაძენად ფოთის მთავრობამ 31200 აშშ დოლარი გამოყო, მართლაც შემოიტანეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი ფოთის კლიმატური პირობებისთვის გამოუსადეგარი იყო. ასეთივე დარღვევებია მიწების უკანონო გაცემასა და მრავალ სხვა საქმესთან დაკავშირებით.

ასეთ საკრებულოს ჩემთვის უნდობლობა რომ არ გამოეცხადებინა, ის უფრო გასაკვირი იქნებოდაო, - ამბობს ფოთის მერი.

24 საათი

სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი შეშფოთებულია

სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის შემდეგ აფხაზეთის მისამართით გაკეთებულ განცხადებებს აფხაზური მხარისათვის "შემაშფოთებლად" აფასებს. იგი მიიჩნევს, რომ ამგვარი განცხადებები "დროულ რეაგირებას" მოითხოვს.

ხაჯიმბას თქმით, აფხაზეთის ხელისუფლება არ აპირებს, მშვიდად უსმინოს იმ განცხადებებს, რომელიც აფხაზეთის მისამართით "მეზობელ სახელმწიფოში" კეთდება, ვინაიდან მათი რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევაში, შეიქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, "რასაც თბილისში ჩვენზე ამბობენ, ვეთანხმებით".

"ჩვენ, საქართველოს მხრიდან აფხაზეთში მოვლენათა განვითარების ყველა მოულოდნელი ნაბიჯისათვის უნდა ვიყოთ მზად," - აღნიშნავს ხაჯიმბა და აფხაზეთთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებზე დროულ რეაგირებაზე პასუხისმგებლობას სოხუმის ხელისუფლების მთავრობის პირველ ვიცე-პრემიერ ასტამურ თარბას ავალებს. **ინტერ-პრესი**

უცნაური დღე ცესკო-ში

გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოვლენები საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. საქმე ის არის, რომ თავის დროზე მოქმედი პრეზიდენტის ნინო ბურჯანაძის მიერ ცესკო-ში დანიშნულმა ხუთივე წევრმა გადადგომის თაობაზე განცხადებები დაწერა.

ოფიციალური ვერსიით, ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს. დიმიტრი ქიტოშვილი, ზაზა გოროზია, ელზა გულიაშვილი, კარლო კვიტაიშვილი, ზურაბ ნონიკაშვილი და ლევან სამხარაული ერთხმად ამტკიცებდენ, რომ საქართველოს უკვე ახალი პრეზიდენტი ჰყავს და მათ ცესკო-ს წევრებად დარჩენის მორალური უფლება არ აქვთ. მათივე თქმით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ შევა ცესკო-ში მისთვის გამოყოფილი კვოტით.

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, პრეზიდენტმა ცესკო-ს ახალი წევრები ხუთი დღის განმავლობაში უნდა დანიშნოს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გადამდგარი ხუთი წევრიდან მინიმუმ ორს – დიმიტრი ქიტოშვილსა და ლევან სამხარაულს - მიხეილ სააკაშვილი კვლავ ცესკო-ში დააბრუნებს.

რაც შეეხება დანარჩენ სამს, არაოფიციალური ინფორმაციით, მათთვის უკვე შერჩეულია ახალი თანამდებობები. საუბრობენ აგრეთვე იმის თაობაზეც, რომ ცესკო-ს ყოფილი წევრები სულ მალე ვანო მერაბიშვილის გვერდით, ანუ უშიშროების საბჭოში აღმოჩნდებიან; თუმცა ეს მხოლოდ კულუარული ვერსიებია.

ცესკო-ში მათ გადადგომას საკმაოდ მშვიდად შეხვდნენ.

ცესკო ასევე მშვიდად შეხვდა ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ცირა იაკობიძის განცხადებას გადადგომის თაობაზე თუმცა, ამას სულ სხვა მიზეზი ჰქონდა. საქმე ის არის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია თავად აპირებდა ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის მთელი შემადგენლობის დათხოვნას. ამის მიზეზად კი ჭიათურაში სამჯერ ჩაშლილი მაჟორიტარული არჩევნები დასახელდა.

ცესკო-ს აწ უკვე ყოფილი მდივნის დიმიტრი ქიტოშვილის განცხადებით, ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნების სრულფასოვნად გამართვა ვერც ერთხელ ვერ მოახერხა და მისმა წევრებმა ასეთი სასჯელი ნამდვილად დაიმსახურეს.

სხვათა შორის, სხდომას ესწრებოდა თავად ცირა იაკობიძეც. მან "24 საათთან" საუბარში განაცხადა: **"საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები პოლიტიკურ ვაჭრობას შეეწირნენ და ისინი მხოლოდ იმის გამო დაისაჯნენ, რომ გამარჯვებულად დღევანდელი ხელისუფლებისთვის მიუღებელი კანდიდატი, საფოსტო ბანკის ყოფილი მმართველი სერგო იაკობიძე გამოაცხადეს".**

თუმცა აქვე იმასაც დავძენთ, რომ გუშინ ცესკო-ში სერგო იაკობიძის თაობაზე ხმამაღლა არაფერი თქმულა; მით უფრო, რომ მისი ბედით უკვე სულ სხვა ოფიციალური სტრუქტურები დაინტერესდნენ.

ჭიათურაში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის გამო, შეიქმნა სამკაციანი დროებითი ჯგუფი, რომელიც საოლქო კომისიის ახალი წევრების დანიშვნამდე იმუშავებს. თავად კენჭისყრა კი 28 მარტს, პროპორციულ არჩევნებთან ერთად გაიმართება. სხვათა შორის, გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჭიათურაში, სხვა კანდიდატებთან ერთად, კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას გეგმავს ნინო ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძეც.

24 საათი

კონსულტაციები უშიშროების საბჭოში

ვანო მერაბიშვილი უშიშროების საბჭოს რეფორმაზე არაფერს ამბობს.

ჯერჯერობით, ვანო მერაბიშვილი მარტო მუშაობს. წესით, "ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" აქამდე არსებული კანონით, საბჭო სრული ძალით მუშაობას მხოლოდ ორი კვირის შემდეგ უნდა შეუდგეს, მას შემდეგ, რაც პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ახალი მთავრობის შემადგენლობას დაამტკიცებს. ამავე კანონით, საბჭოს შემადგენლობაში წევრის სტატუსით, თავად პრეზიდენტის და საბჭოს მდივნის გარდა, სახელმწიფო, შინაგან და საგარეო საქმეთა, უშიშროების და თავდაცვის მინისტრები შედიოდნენ. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას პარლამენტის და ავტონომიური საბჭოს თავმჯდომარეებიც ღებულობენ. ასე იყო ადრე, მაგრამ ახლა უკვე ცნობილია, რომ უახლოეს ხანში საბჭოს სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებებია მოსალოდნელი, კერძოდ – როგორი, მერაბიშვილი არ აკონკრეტებს. როგორც პრესისათვის აცხადებს: **"საბჭოში მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე დიდი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს. საერთოდ კი, კონკრეტულ გადაწყვეტილებებს პრეზიდენტი მიიღებს."**

როგორც ამბობენ, ახალ საბჭოში ძველ სახეებს უკვე აღარავინ ელის, პირველ რიგში კი, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ჯემალ გახოკიძეს, რომელიც ბოლო დროს საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებლადაც მუშაობდა. კონკრეტული პერსონები მდივნის მოადგილეების თანამდებობაზე ჯერ არ გამოკვეთილა. ერთი შეხედვით, ამისათვის არც პრეზიდენტს და არც ახალ მდივანს არ სცალიათ, რადგან უამრავი საქმეა მოსაგვარებელი. ისე კი ფაქტია, რომ ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ "ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი გენერალური მდივანი მერაბიშვილი ვიზიტორებს ნამდვილად ვერ აუდის. მათ შორის, ბუნებრივია, კვლავ "ნაციონალები" სჭარბობენ. თუმცა, არიან სხვებიც, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. გუშინ, "ნაციონალურ-დემოკრატიული" ალიანსის პრეზენტაციამდე, "ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა მერაბიშვილთან კონსულტაციები ჩაატარეს. საუბრის თემა ჩვენთან არ დაუკონკრეტებიათ. პრესისაგან აშკარად თავის დაღწევის სურვილით შეპყრობილი "ნაციონალები" - კოტე კემულარია, ნოდარ გრიგალაშვილი, ზვიად ძიძიგური, საკრებულოს თავმჯდომარე მალხაზ ბეგაშვილი ზოგად კომენტარებსაც კი ერიდებოდნენ. მხოლოდ ბესო ჯუღელმა "დააკონკრეტა", რომ "შეხვედრაზე, ძირითადად, პარტიულ საკითხებზე იყო საუბარი". მერაბიშვილთან შეხვედრაზე მანამდე მისული არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები კი მერაბიშვილთან კონსულტაციებს უფრო კონკრეტულ თემაზე მართავენ. როგორც ინსტიტუტის წარმომადგენელი ლევან რამიშვილი აცხადებს, **"ამ ეტაპზე ისინი მერაბიშვილთან თავდაცვის სფეროში გასატარებელი რეფორმების შესახებ გადიან კონსულტაციებს. რეფორმის იმ პროექტებს იხილავენ, რომელიც, საერთაშორისო თუ ქართველი ექსპერტების წყალობით, უხვად არსებობს, თუნდაც, უსაფრთხოების საერთაშორისო საბჭოს წარმომადგენლის სერ ჰარი ჯონსონის ან აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მრჩევლის ოთარ შალიკაშვილის მიერ შეთავაზებული."** ოთარ შალიკაშვილმა, რომელიც, ამავე დროს, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის კოორდინატორია, ვანო მერაბიშვილი გუშინაც ინახულა.

ლელა მჭედლიძე

ასლან აბაშიძე: აჭარაში შეიძლება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოვლენები განმეორდეს

ბათუმის ქუჩებს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული იარაღიანი ხალხი აკონტროლებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე აჭარის ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გამეორებას შესაძლებლად მიიჩნევს.

აჭარაში იგივე მოხდება, რაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში - იქნება მსხვერპლი, განხეთქილება, გადამწვარი მიწები, გაჭიანურებული კონფლიქტები და უცხოური შეხვედრები კონფლიქტის მოსაგვარებლად, - უთხრა ასლან აბაშიძემ ჟურნალისტებს.

ამასთან, მისი თქმით, ავტონომიის ხელმძღვანელობის დადანაშაულება სეპარატიზმში სინამდვილეს არ შეეფერება.

ასლან აბაშიძის განცხადებით, აჭარის ხელმძღვანელობას სეპარატიზმს აბრალებენ, მაშინ, როდესაც მისი ინიციატივით 2000 წელს კონსტიტუციაში შეტანილი იყო შესწორება სახელმწიფო ტერიტორიალური მოწყობის შესახებ და აჭარის ავტონომია საქართველოს ძირითად კანონში შევიდა.

აჭარის საზოგადოებრივი მოძრაობების გააქტიურებით შეშფოთებული ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ხელისუფლების შესანარჩუნებლად თავდაცვით ზომებს იღებს და ბათუმში ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებიდან მხარდამჭერ "სახალხორაზმელთა" შეიარაღებული დაჯგუფებები ჩაჰყავს.

ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო ფილარმონიაში სახალხო მოძრაობა "დემოკრატიული აჭარის" დამფუძნებელი ფორუმის დასრულებისთანავე, აბაშიძის განკარგულებით, ავტონომიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობაში მობილიზაცია გამოცხადდა. მისივე განკარგულებით, სახელმწიფო დაწესებულებების დასაცავად და მოსალოდნელი არეულობის თავიდან ასაცილებლად, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებიდან ბათუმში აბაშიძის მხარდამჭერთა სამოქალაქო ფორმებში ჩაცმული შეიარაღებული რაზმები შეიყვანეს. ბათუმის ცენტრში რამდენიმეჯერ ჩაიარა ჯავშანტექნიკამ, ქალაქის თავზე კი ვერტმფრენი პატრულირებს, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრების არსებობას აკონტროლებს.

იმავე წყაროს ცნობით, აბაშიძის ხელისუფლებას მოქალაქეთა ორგანიზებული საპროტესტო აქციები აშინებს და ცდილობს, მოსახლეობაში პანიკისა და შიშის დასათესად, ძალის დემონსტრირება მოახდინოს.

მისივე აზრით, ის ფაქტი, რომ აბაშიძის მომხრეთა შეკრება სწორედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობასთან გაიმართა, იმაზე მიუთითებს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ყველაზე მეტად ოპოზიციურ საზოგადოებრივ მოძრაობებში გართიანებული მოქალაქეების აბაშიძის რეზიდენციასთან ორგანიზებული მისვლის პერსპექტივა აშფოთებს. **ინტერ-პრესი**

შინაგანი ჯარის ბრიგადის მეთაურის მოადგილეს 10 წლამდე პატიმრობა ელის

დღეს ისანი-სამგორის რაიონული სასამართლო განიხილავს შინაგანი ჯარის N1 ოპერატიული ბრიგადის მეთაურის მოადგილის - აბესალომ უთმელიძისათვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს. როგორც ცნობილია, იგი გუშინწინ შინაგანი ჯარის ტერიტორიაზე დააკავეს. შინაგანი ჯარის პრესსამსახურის ცნობით, უთმელიძემ ერთ-ერთ მოქალაქეს კუსტარული სადენების დახმარებით ჯარის ნაწილიდან საცხოვრებელ სახლში ელექტროენერგია გადაუყვანა. მან ამ მომსახურებაში ქრთამის სახით 300 ლარი მიიღო.

აბესალომ უთმელიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მთავარ სამხედრო პროკურატურაში აღიძრა და მას გუშინ უკვე ბრალი ორი მუხლით - ქრთამის აღებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის წაუყენეს. თავად უთმელიძე გამოძიების პროცესში დუმილის უფლებას იყენებს და ჩვენებას არ იძლევა.

წაყენებული ბრალის დამტკიცების შემთხვევაში კი მას 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

აღსანიშნავია, რომ შინაგანი ჯარების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანება დაახლოებით 100 ათას ლარს შეადგენს. აქედან 30-40 ათასი სწორედ პირველ ოპერატიულ ბრიგადაზე მოდის. **24 საათი**

იუსტიციის სამინისტროში დამსჯელი ღონისძიებები გრძელდება

იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის ბრძანებით, გუშინწინ თანამდებობები დაატოვებინეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ინფექციური განყოფილების უფროსს ელზა ლომთათიძეს, თერაპიული განყოფილების უფროსს პეტრე ზვიადაძესა და ქირურგიული განყოფილების უფროსს არტემ ბალაშვილს. ეს ის პირები არიან, ვისაც უშუალოდ ევალებოდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი. მათი გათავისუფლების მიზეზი გახდა გუშინწინ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ჩატარებული შემოწმება.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას თქმით: **"იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ჩატარებული შემოწმებისას გაირკვა, რომ იქ მყოფი 117 პატიმრიდან 57 ჯანმრთელია. ამ შემთხვევაში აშკარაა კორუფციული გარიგებები პატიმართა და საავადმყოფოს თანამშრომელთა შორის. იქ არსებული ბაქქანალიის გამო სამკურნალო დაწესებულებაში ვერ ხვდებიან პატიმრები, რომლებიც მართლაც საჭიროებენ მკურნალობას".**

სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმი ბესიკ სურგულაძე მკაცრ სასჯელს მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ იგი ამ თანამდებობაზე სულ ახალი დანიშნულია. მის მიმართ იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა გაფრთხილებით შემოიფარგლა. სურგულაძის წინამორბედი ნაულის ქობულია კი სწორედ მსგავს სიტუაციას "შეეწირა".

გუშინ იუსტიციის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა დოდო ნაფეტვარიძემ მკაცრად გააფრთხილა საპატიმრო დაწესებულებების სამედიცინო ნაწილის უფროსები, რომ საავადმყოფოში მხოლოდ ის პატიმარი გააგზავნონ, რომელთაც სტაციონარული მკურნალობა ნამდვილად ესაჭიროებათ.

24 საათი

თენგიზ ასანიძის საქმეზე გადაწყვეტილება თებერვლის დასაწყისში გამოცხადდება

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის ყოფილი დირექტორის თენგიზ ასანიძის საჩივარზე გადაწყვეტილებას თებერვლის პირველ ნახევარში გამოაქვეყნებს.

თენგიზ ასანიძის შვილის - დავით ასანიძის თქმით, განაჩენის გამოქვეყნების ზუსტი რიცხვი ცნობილი არაა, თუმცა, მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს პროცესი დიდხანს აღარ გაჭიანურდება, რადგან უკვე არსებობს სასამართლოს განაჩენი და მხოლოდ მისი ოფიციალურად გაფორმება და საქართველოს ხელისუფლებისათვის გამოგზავნაა საჭირო.

ამასთან, როგორც ასანიძე აღნიშნავს, მკაცრი პირობები, რომელიც ბათუმის უშიშროების იზოლატორში მყოფ პატიმარს სტრასბურგის სასამართლოში გამართული პროცესის შემდეგ დაუწესეს, უკვე კარგა ხანია მოიხსნა და ახლობლები ასანიძეს ყოველგვარი შეფერხების გარეშე ნახულობენ იზოლატორში.

როგორც ცნობილია, თენგიზ ასანიძის ოჯახის წევრებმა სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი 2001 წლის 5 ივლისს შეიტანეს, რომლითაც ითხოვდნენ, ძალაში შესულიყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილება თენგიზ ასანიძის გათავისუფლების შესახებ.

ბათუმის თამბაქოს ქარხნის დირექტორი პირველად 1993 წელს, სახელმწიფო სახსრების გახარჯვის მოტივით დააკავეს და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით მიუსაჯეს, თუმცა მას შემდეგ აჭარის უშიშროების სამსახურის იზოლატორში ამყოფებენ.

2000 წლის 1 ოქტომბერს ამჟამად უკვე საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თენგიზ ასანიძე შეიწყალა, თუმცა იგი არ გაათავისუფლეს და ახალი ბრალდება წაუყენეს - ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის უფროსის ვაჟა გოგიტიძის გატაცებაში მონაწილეობა და ბათუმის სასამართლომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ასანიძის ოჯახის წევრებმა ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს; მიუხედავად უზენაესი სასამართლოს თანხმობისა, ასანიძე არ გაუთავისუფლებიათ, რის გამოც შევიდა სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში.

პრაიმ-ნიუსი

ოფიციოზი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №45

2004 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

ზ. საკანდელიძის დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ

1. შეიქმნას გამოჩენილი ქართველი კალათბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონისა და პრიზიორის, მსოფლიო ჩემპიონისა და პრიზიორის, ევროპის ოთხგზის ჩემპიონის ზურაბ საკანდელიძის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ ჟვანია (კომისიის თავმჯდომარე), ირაკლი მეძმარიაშვილი, ჯანსუღ ბაგრატიონი, ვანო ზოდელავა, ბესიკ ლიპარტელიანი, დაზმირ ჯოჯუა, დავით გობეჯიშვილი, გურამ მინაშვილი, მიხეილ ქორქია, ვალერი ლომაძე.

2. ზურაბ საკანდელიძის დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

მიხეილ სააკაშვილი

ორი სიტყვით

თბილისი. "საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, ევროსაბჭოს ფრაქციათა და კომიტეტების ხელმძღვანელებს და წევრებს, ასევე ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს წერილი გაუგზავნა, სადაც საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები "ცივილიზებული ევროპის შეურაცხყოფად და შიდა სამთავრობო წრეებიდან ანტიკონსტიტუციური გადატრიალების ნიმუშად" არის შეფასებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

საჩხერე. საჩხერის სამთო მსროლელთა მე-16 ბატალიონში ქართულ-რუმინული ერთობლივი პროგრამა მიმდინარეობს. პროგრამის მიზანი ქართველი ჯარისკაცების მიერ 20 რუმინელი ჯარისკაცის სამთო ოპერაციებისათვის მომზადებაა. უცხოელი ჯარისკაცები, რომლებსაც აქაური სამხედროები უსასყიდლოდ, ანაზღაურების გარეშე წვრთნიან, საჩხერის ბატალიონიდან რამდენიმე დღეში გაემგზავრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საუდის არაბეთის მეფემ ფაჰდმა, ტახტის მემკვიდრემ - პრინცმა აბდალამ და ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ემირ სულთან ბენ აბდელაზიზმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს არჩევნებში გამარჯვებასთან და პოსტის დაკავებასთან დაკავშირებით მისალოცი დეპეშები გამოუგზავნეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელს მათიას იორშს უნდობლობას უცხადებს და აცხადებს, რომ საქართველოს 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებზე მისი ამ სტატუსით დაშვება ევროსაბჭოს ავტორიტეტს სერიოზულად შელახავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო ექსპერტების დასკვნის გარეშე, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელებას საქართველოს ევროსაბჭოს ასოციაცია მიზანშეუწონლად მიიჩნევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია "სოციალისტი", რომელიც 1999 წლის მოწვევის პარლამენტში 22 ნოემბრის რევოლუციის შემდეგ დაიშალა, აღდგა. რევოლუციის შემდეგ, ფრაქციას ოთხი წევრი გამოაკლდა, გუშინ კი დეპუტატებმა გელა კვარაცხელიამ, ადა მარშანიამ, შოთა სანდუხაძემ და რეზო ნოდარიშვილმა ფრაქცია "სოციალისტის" შევსებაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ განაცხადა, რომ ედპ-სა და "ტრადიციონალისტების" ალიანსის შექმნის შემდეგ, ერთიანი ოპოზიციური ბლოკის ფორმირებაზე საუბრები „მრეწველებისა" და „ახალი მემარჯვენეების" ლიდერებთან მიმდინარეობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ამერიკული კვლევითი ცენტრი „საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო" საქართველოს ახალ ხელისუფლებას რეკომენდაციების სახით ურჩევს, რომ სახელმწიფო აპარატის მოხელეთა რაოდენობა 30 პროცენტით შეამციროს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" კვლავ დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის მიხეილ სააკაშვილის "პარტიული მებრძოლები" "ლეიბორისტთა" ცენტრალურ ოფისზე "მორიგ ტერორისტულ თავდასხმას" ამზადებენ. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ნაციონალ & დემოკრატები

პირველი გვერდიდან

"ნაციონალები" მართავენ ერთობლივ ბრიფინგს და სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია საზოგადოებას ამშვიდებს: **"ჩვენ გაერთიანება გადავწყვიტეთ, ჩვენი ერთიანობა ურყევია,"** - აცხადებს იგი.

ჟვანიასა და სააკაშვილის პარტიების გაერთიანების მცდელობა ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ეპოქაში, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს შეინიშნებოდა, თუმცა პოლიტიკურმა ამბიციებმა ამ გაერთიანებას ფრთები შეაკვეცა. დღეს, როცა სააკაშვილი პრეზიდენტია, ჟვანია - მომავალი პრემიერი, ხოლო ნინო ბურჯანაძეს პარლამენტის მარადიული თავმჯდომარეობა "ემუქრება", ანუ ყველა შესაძლო ამბიცია დაკმაყოფილებულია, გაერთიანებას ხელს არაფერი უშლის.

„ეს არ იქნება "მოქალაქეთა კავშირი," - საკმაოდ დროულად გაგვაფრთხილა სასტუმრო "მარიოტში" გამართულ გუშინდელ ბრიფინგზე სახელმწიფო მინისტრმა, თუმცა ძნელია, ამ შეხვედრის შემდეგ "ნოსტალგიამ" არ გძლიოს და მრავალი წლის წინ ფილარმონიაში "მოქალაქეთა კავშირის" დაბადება არ გაგახსენდეს.

"ჩვენ ერთიანად ვიღებთ პასუხისმგებლობას ქართველი ამომრჩევლის წინაშე და ეს ტვირთი ერთად უნდა ვზიდოთ. ამ პარტიის მთავარი სარგებელი იქნება ის, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელსაც მოსახლეობამ 96-პროცენტიანი ნდობა გამოუცხადა, ამ პარტიის სახით ძლიერი დასაყრდენი ძალა ეყოლება. ჩვენ არანაირ განხეთქილებას არ დავუშვებთ," - განაცხადა ჟვანიამ. გუშინ ამ გაერთიანების "მაესტროდ" სწორედ სახელმწიფო მინისტრი მოგვევლინა - ახალი პარტიის შექმნას, პირველ რიგში, სწორედ ჟვანია ჩქარობს: პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავება მმართველი პარტიის პირობებში უფრო გაადვილდება. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ჟვანია გუშინ საკმაოდ კატეგორიული იყო: **"არ ვაპირებთ გაუთავებელ ყბედობას ამ თემაზე, მით უმეტეს - იმ ადამიანებთან, რომლებიც გუშინ საკონსტიტუციო ცვლილებების მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებდნენ, დღეს კი ამ ცვლილებების წინააღმდეგ მიდიან,"** – ხმას აუწია მომავალმა პრემიერმა.

"ნაციონალურ მოძრაობას" გუშინდელ შეხვედრაზე კოტე კემულარია, ვანო მერაბიშვილი, ბესო ჯუღელი და ზაზა ბეგაშვილი წარმოადგენდნენ.

"ქვეყანაში არსებული ახალი რეალობა გვავალდებულებს, ისეთი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებაზე ვიფიქროთ, რომელიც შეასრულებს იმ მთავარ დაპირებებს, რომლებიც ხალხმა "ვარდების რევოლუციის" ლიდერებისგან მიიღო," – აღნიშნა კოტე კემულარიამ.

გუშინდელი ერთობლივი ბრიფინგი ამ ორი პოლიტიკური ძალის ლიდერების გარეშე გაიმართა. ბრიფინგი დაემთხვა პრეზიდენტ სააკაშვილის სტრასბურგში ვიზიტს და პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ხანმოკლე შვებულებას ლონდონში.

გაერთიანების აღსანიშნავ საერთო ფოტოზე, რომელიც გუშინ სასტუმრო "მარიოტში" გადაიღეს, თქვენ ვერც "რესპუბლიკელ" დავით ბერძენიშვილს და ვერც "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ლიდერს ზვიად ძიძიგურს ნახავთ.

გუშინ "მარიოტში" არც კობა დავითაშვილი იყო, რომელიც პრესაში თუ ტელეეკრანებზე ამ ბოლო დროს იშვიათად ჩნდება. გავრცელებული ინფორმაციით, იგი ავადმყოფობს. კულუარული ინფორმაციით კი, დავითაშვილის ავადმყოფობის მიღმა სწორედ "დემოკრატებთან" და მათ ლიდერთან ცუდი ურთიერთობა იმალება. ამჟამად დავითაშვილი პრეზიდენტთან ერთად სტრასბურგში იმყოფება, სადაც აკეთებს კომენტარს, რომ ამ გაერთიანების შესახებ არაფერი იცოდა.

როგორც ჟვანია აღნიშნავს, ორი პარტიის გაერთიანება სააკაშვილისთვის და ბურჯანაძისთვის მოულოდნელობა არ იქნება: **"ჩვენ რამდენიმე კვირაა, ამ საკითხზე ვმუშაობთ. გვქონდა აქტიური კონსულტაციები პრეზიდენტთან... ვადებში შეზღუდულები ვართ, მუდმივად საათზე ვიყურებით, ამიტომ ამ ბრიფინგის გადადება საჭიროდ არ ჩავთვალეთ,"** – აღნიშნა მან. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, "ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთ ლიდერს, ამ გაერთიანების შესახებ ტელეფონით ატყობინებენ: **"ნინო ბურჯანაძეს მე გუშინ გვიან ღამით ვესაუბრე... მან ამის შესახებ**

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ზურაბ ჟვანია მოულოდნელი გაერთიანების არგუმენტირებას ცდილობს.

მანამდეც იცოდა. ქალბატონი ნინო არ არის "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი, თუმცა მისი აზრი ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია," – ზრდილობიანად აღნიშნა ჟვანიამ, რომლისთვისაც ბურჯანაძე დღეს ნამდვილად არ არის ისეთი მომხიბვლელი პარტნიორი, როგორიც 2 ნოემბრის არჩევნებამდე იყო.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარის პრესმდივანი სოფო გვალია აცხადებს, ნინო ბურჯანაძეს ორი პარტიის გაერთიანების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა და იგი ამ გაერთიანებას მიესალმება. **"ნინო ბურჯანაძე არსად "წასვლას" არ აპირებს, ეს, უბრალოდ, მისი სტილი არ არის. ქალბატონი ნინო არ შეეგუება იმას, რომ შესაძლოა პარლამენტი არაქმედითუნარიანი გახდეს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი სამეულიდან გადის,"** - განაცხადა ბურჯანაძის პრესმდივანმა.

"24 საათი" ზვიად ძიძიგურსა და დავით ბერძენიშვილსაც დაუკავშირდა. ძიძიგური ამ გაერთიანებას "გონივრულს" უწოდებს. **"ეს გაერთიანება ბევრ უხერხულობას მოხსნის. როცა ორი მმართველი პარტია არსებობს, ბუნებრივია, არის იმის საშიშროება, რომ გარკვეული პოლიტიკური წინააღმდეგობები და კინკლაობა წარმოიქმნება. "ეროვნულ ძალთა გაერთიანება" დაშლას არ აპირებს, თუმცა 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებზე ჩვენ ახლადშექმნილ, გაერთიანებულ პარტიასთან ერთ ბლოკში ვიქნებით,"** – აცხადებს იგი.

თვითლიკვიდაციის გამოცხადებას არც "რესპუბლიკელები" აპირებენ. **"ჩვენ ვიყავით ბლოკში "ნაციონალურ მოძრაობასთან" ერთად და ვაპირებთ, ვიყოთ გაფართოებულ ბლოკში "ნაციონალურ მოძრაობასთან" ერთად, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ "რესპუბლიკური პარტიის" სახელით. "რესპუბლიკურ პარტიას" ჩვენ არ დავშლით, ეს გამორიცხულია,"** – აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა.

როგორც გუშინდელ ბრიფინგზე ითქვა, პარტიული სია კვოტირების საფუძველზე არ შედგება. ერთიანი სახელისუფლებო პარტიის სიაში დანომვრა დამსახურების მიხედვით იქნება. ელდარ შენგელაიას თქმით, პარტიული სიის მონახაზები უკვე არსებობს, თუმცა იგი დასახვეწია.

რამდენიმე დღეში ახალი სახელისუფლებო პარტია, რომლის სახელი ჯერ შერჩეული არ არის, თავის პირველ ყრილობას გამართავს. ამ პარტიის სუბიექტებს ერთმანეთთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვთ, თითქმის ყველა მათგანი ერთ დროს უძველი "მოქალაქეთა კავშირის" ყოფილი წევრია. გუშინვე ითქვა, რომ პარტიის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი იქნება, თუმცა პარტიის თავმჯდომარის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. ამ თანამდებობის დაკავებას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს კონსტიტუცია უკრძალავს. ახალი პარტიის თავმჯდომარე, სავარაუდოდ, ზურაბ ჟვანია ან ნინო ბურჯანაძე იქნება.

და კიდევ ერთი: საინტერესოა, იქნება თუ არა აჭარის მეთაურის საფუძველშერყეული სავარძელი ამ ახალი პოლიტიკური ძალის ერთიანობისთვის სერიოზული გამოცდა? ჯერ კიდევ ორი დღის წინ, აჭარა "ვარდების რევოლუციის" ლიდერების სერიოზული უთანხმოების საგანი გახდა. განცხადება გაერთიანების თაობაზე სწორედ სურმანიძე-ბერძენიშვილის დაპირისპირების მეორე დღეს კეთდება. შესაძლოა, ეს იმის მანიშნებელიც იყოს, რომ აჭარის თემაზე ჟვანია და სააკაშვილი უკვე შეთანხმდნენ, თუმცა ამაზე ჯერ, რა თქმა უნდა, არავინ საუბრობს. **"მაშინ, როცა აჭარას ჰყავს მეთაური, სასაცილოდ მიმაჩნია იმ საკითხზე დისკუსია, თუ ვინ გახდება აჭარის ლიდერი,"** – აღნიშნა გუშინ ჟვანიამ. **"ჟვანიას და სააკაშვილის პარტიები გაერთიანდნენ, ამიტომ მათ შორის აჭარის თემა დაძაბულობის ფაქტორი ვერ იქნება... არა მგონია, ბლოკში ჩემმა ყოფნამ მათ შორის ეს დაპირისპირება წარმოშვას,"** – არაერთმნიშვნელოვნად აცხადებს დავით ბერძენიშვილი.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, თუ შუა საუკუნეების სასახლის კარისა და ინტრიგების პოლიტიკა წარსულს ჩაბარდება და კულუარულ პოლიტიკას საჯარო, სახალხო პოლიტიკა ჩაანაცვლებს; თუ ამ ახალ სახელისუფლებო პარტიას ლეგენდარული "მოქალაქეთა კავშირისგან" მხოლოდ სახელი არ განასხვავებს და ახალი პარტიის ლიდერები გააცნობიერებენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ დაეკისრათ; თუ ამ გაერთიანებას საფუძვლად რეფორმების ერთიანად გატარების სურვილი უდევს და არა კონკრეტული პირების მიერ გავლენის სფეროების გაფართოებისკენ დაუოკებელი სწრაფვა, - მაშინ ამ გაერთიანებაში ცუდი ნამდვილად არაფერია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გზავნილი 2001 წლიდან

პირველი გვერდიდან

■ მიმდინარე მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ დღევანდელი პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი და სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშნული მათი მხარდამჭერები კვლავაც პოსტ-რევოლუციურ ეიფორიაში იმყოფებიან და რევოლუციის სახელით კერძო ან პარტიული ინტერესების სახელმწიფო ინტერესებად გასაღებას ცდილობენ. თუ ახალმა ხელისუფლებამ მართლაც იმგვარი კონსტიტუციური ცვლილებები შემოგვთავაზა, როგორიც დღეს არაოფიციალურად ვრცელდება, მაშინ იძულებული ვიქნებით, ქვემოთ მოყვანილ სამი წლის წინანდელი განცხადების პრაქტიკულად უცვლელი ტექსტით მივმართოთ მათ. **ჩვენთვის ეს იქნება მძიმე, მაგრამ გარდაუვალი ნაბიჯი.** ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის მნიშვნელოვანია არა ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერის ვინაობა, არამედ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებისადმი მისი ერთგულების ხარისხი, რომელიც არ უნდა იცვლებოდეს ოპოზიციიდან ხელისუფლებაში მისვლისას და პირიქით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თავს მოვალედ თვლის, საქართველოს პარლამენტის წევრებს, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს მოსახლეობას ამცნოს ზოგიერთი მოსაზრება 2001 წლის 13 მაისს გამოქვეყნებული საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების პროექტის თაობაზე. გვჯერა, რომ შექმნილ სიტუაციაში ჩვენი მხრიდან აქტიური პოზიციის დაკავება ჩვენი პროფესიული და მოქალაქეობრივი ვალია.

ჩვენ შეშფოთებული ვართ სახელისუფლებო წრეების დამოკიდებულებით ქვეყნის ძირითადი კანონისადმი, რომელიც უკვე რამდენჯერმე იქცა ვიწრო პოლიტიკური და კლანური ინტერესების საფუძველზე მიღწეული გარიგებების მსხვერპლი. ამჯერადაც აშკარაა, რომ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალები მათივე უუნარობითა და შინააშლილობით გამოწვეული პრობლემების მოგვარებას მმართველობის კონსტიტუციური სისტემის ცვლილების გზით ცდილობენ, თანაც ისე, რომ არსებული საკმაოდ გამართული კონსტიტუციური მოდელის ნაცვლად გვთავაზობენ დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურით ნაკარნახევ, ცალკეული პიროვნებების ამბიციებსა და მმართველობის კომუნისტურ სტილზე მორგებულ მოდელს.

ჩვენ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არც ერთი ის პრობლემა, რომლის მოგვარებაც კონსტიტუციური ცვლილებების გზითაა ნავარაუდევი, არ არის გამოწვეული მმართველობის არსებული კონსტიტუციური მოდელით. შექმნილი კრიზისული მდგომარეობა ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების მიერ კონსტიტუციის, კანონების და საღი აზრის იგნორირების შედეგია და, შესაბამისად, კრიზისიდან თავის დაღწევა შეუძლებელია კონსტიტუციური ცვლილებებისა და ახალი კანონების მიღების გზით.

ამასთანავე, გვესმის ისიც, რომ ზოგჯერ პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისა და პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციის მიზნით აუცილებელი ხდება მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელება და შესაძლოა, ამ მოტივით მხარიც კი დაგვეჭირა ამგვარი ინიციატივისთვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობას არ გვაძლევს არც შემოთავაზებული ცვლილებების შემუშავების და განხილვის წესი და არც მათი შინაარსი.

მართალია, მიგვაჩნია, რომ ასეთი ფუნდამენტური კონსტიტუციური ცვლილებები დაკავშირებული უნდა იყოს საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნებთან და მისმა ინიციატორებმა და მომხრეებმა უნდა მიიღონ ამომრჩეველთა მხარდაჭერა, შემოთავაზებული ცვლილებები მიუღებელია უპირველეს ყოვლისა თავისი შინაარსის გამო. გარდა იმისა, რომ კონსტიტუციაში ასეთი სწრაფი და ფუნდამენტური ცვლილებებით საფრთხე ექმნება ქვეყნის კონსტიტუციურ სტაბილურობას, თავად ცვლილებებით ირღვევა დემოკრატიული მმართველობის მრავალი ფუნდამენტური პრინციპი და იკარგება ქვეყნის დამოუკიდებლობის წლებში მოპოვებული ღირებულებები.

წარმოდგენილი მოდელით, ფაქტობრივად, უარია ნათქვამი ხელისუფლების დანაწილების და ბალანსირების პრინციპებზე და შემოთავაზებულია ე.წ. "უპასუხისმგებლო საპრეზიდენტო მმართველობა", სადაც პრეზიდენტი აღჭურვილია მსოფლიოს კონსტიტუციებიდან ამოკრებილი ყველა შესაძლო უფლებით და, ამავდროულად, იგი თავისუფალია ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან. ეს ყველაფერი მიღწეულია, ერთი მხრივ, უაღრესად შეზღუდული უფლებების და "განტევების ვაცის" ფუნქციის მქონე პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებით, და, მეორე მხრივ, დათხოვნის მუდმივი შიშის ქვეშ მყოფი ბუტაფორიული პარლამენტის არსებობით, რომელსაც საბიუჯეტო პროცესზე გავლენასთან ერთად საკანონმდებლო საქმიანობის უფლებაც კი აქვს წართმეული. სამაგიეროდ, პრეზიდენტისთვის გათვალისწინებულია დამატებითი უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც იგი ერთპიროვნულად მართავს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ახორციელებს საკადრო ცვლილებებს პარლამენტთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე. მეტიც, იგი თავად განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას და თავადვე შეუძლია ბიუჯეტის დამტკიცება. მაგრამ არც ეს არის საკმარისი და იგი ითავსებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ნაწილს და აუქმებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტებს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მოტივით...

კიდევ მრავალი კრიტიკული მოსაზრების მოყვანა შეიძლება შემოთავაზებულ პროექტთან დაკავშირებით, მაგრამ ვფიქრობთ, ნათქვამიდანაც ცხადია, რომ ამ პროექტით ქვეყნის ხელისუფალნი კიდევ ერთხელ ადასტურებენ, თუ რაოდენ დიდ პატივს სცემენ საკუთარ ხალხს და რაოდენ ერთგულნი არიან დემოკრატიული ღირებულებებისა. ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ ფართო საზოგადოების წარმომადგენლები ხმას აიმაღლებენ და პოლიტიკურ ინტრიგებში გახლართულ ხელისუფლებას არ მისცემენ ქვეყნის უზენაესი კანონის ხელყოფისა და ხალხის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს პრეზიდენტის სათათბიროდ ქცევის საშუალებას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობა
მაისი, 2001 წელი

აფიორა

ქართული მეტალურგია - რაღაც 10 მილიონის ჯართი

"რა არის თქვენი მეტალურგიული ქარხანა? რაღაც 10 მილიონი დოლარის ჯართი?! ეს ხომ კაპიკებია, ამის გულისთვის ხელის გასვრაც არ ღირს. ამ კაპიკებისთვის ამდენს კი არ ვიმუშავებდით, უფრო იოლად და მარტივად გავაკეთებდით ყველაფერს," - ასე უარყო იტალიელი ინვესტორის "არეს ინტერნეიშნელ"-ის წარმომადგენელმა ალექსანდრე სერიოგინმა ბრალდება იმის თაობაზე, რომ იტალიელებს მეტალურგიული კომბინატის ამუშავება კი არა, მისი ჯართად დაჭრა და გაყიდვა აქვთ გადაწყვეტილი.

მაია მოსიაშვილი

"24 საათში" 8 თვის წინ დაიბეჭდა სტატია სათაურით "დიდი აფიორა მეტალურგიულ კომბინატში", სადაც ქარხნის ერთ-ერთი კრედიტორი "კილიგარდ ინვესტმენტი" მეტალურგიის ხელმძღვანელობას არაკანონიერ ქმედებებში ამხელდა.

"77 მილიონი დოლარის ქონება გადაცემულია საკუთრებაში იტალიელებზე, თანაც აბსოლუტურად მიუღებელი სამართლებრივი სქემით. არ შეიძლება კრედიტორმა მასზე თანხმობა განაცხადოს, რადგან ეს არის დამღუპველი სქემა. უკვე არსებული გარიგებით, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის (რმკ) 77 მილიონი დოლარის ღირებულების ქონება კრედიტორებისათვის ხელმიუწვდომელი გახადეს და მათთვის ამ ქონების უკან დაბრუნების შანსი სამართლებრივად არ არსებობს", - წერდა გაზეთი. იქვე "კილიგარდის" წარმომადგენელი აცხადებდა, რომ იტალიელები ჯართის ბიზნესით არიან დაკავებულნი: **"ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დასაწყისში ინვესტორ კომპანიად მიჩნეულია "არეს იმპორტ-ექსპორტ SRL", თუმცა ამჟამად რეაბილიტაციის პროცესში ინვესტორად სრულიად სხვა იტალიური კომპანია "არეს ინტერნეიშნლ SRL" გვევლინება. პირველის დამფუძნებელია ანჟელა კორნა, ხოლო მეორის - მისი ქალიშვილი. საკვირველია, როგორ მოხდა, რომ 1 მილიონი ევროს საწესდებო კაპიტალის მქონე კომპანიას 77 მილიონი დოლარის ქონება გადასცეს საკუთრებაში, რომელმაც თავის თავზე 200 მილიონი დოლარის ინვესტიციების განხორციელება აიღო?! მით უფრო, რომ მათ მეტალურგიაში ისტორია არ აქვთ, მხოლოდ ჯართის ბიზნესში აქვთ ისტორია და აქაც, ალბათ, იგივე უნდათ.."**

ამ სენსაციურ განცხადებებზე ყურადღების გამახვილება საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ არ ინება, ქარხნის ხელმძღვანელობა კი ირწმუნებოდა, რომ ყველაფერი პრეზიდენტ შევარდნაძის უშუალო ჩარევით ხდებოდა და იტალიელები ქართულ მეტალურგიას მკვდრეთით აღადგენდნენ.

ნახევარი წლის მანძილზე რმკ-სა და "კილიგარდს" შორის სასამართლო დავა გრძელდებოდა, რაც იტალიელებისათვის ქარხნის გადაცემას ხელს უშლიდა. 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ თბილისის საოლქო სასამართლომ "კილიგარდის" სარჩელი არ დააკმაყოფილა და რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ძველი სქემით, იტალიელებზე სწორედ მაშინ გასხვისდა, როცა ქვეყანაში რევოლუციური მოვლენები ვითარდებოდა და მეტალურგიისთვის არავის ეცალა.

ახალმა ხელისუფლებამ მეტალურგიისთვის უკვე მოიცალა. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ქვემო ქართლის გუბერნატორმა ზურაბ მელიქიშვილმა განაცხადა: **"ინვესტორთან დაიდო კაბალური ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, რმკ-ს 77 მილიონი დოლარის ღირებულების ქონება ჩაიდო შპს "რუსთავი მილში", რომლის 98% "არესს" გადაეცა და შეიქმნა შპს "რუსთავი არეს მეტალუგიული კომბინატი", სადაც "არესი" ინვესტიციას საერთოდ არ დებს. მე მოვითხოვ გენერალური პროკურორისაგან, რომ მთელ რიგ თანამდებობის პირებზე აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და გამოძიებულ იქნეს, ვის ან რატომ შემოჰყავდა აქ სხვადსხვა ინვესტორები."** მელიქიშვილი მიიჩნევს, რომ პასუხი უნდა მოეთხოვოს ყველას - ქარხნის დირექტორატსაც და სამეთვალყურეო საბჭოსაც.

"24 საათის" ინფორმაციით, ქარხანაში სასწრაფო წესით ჯართის დამჭრელთა ბრიგადები და სამმართველოც კი შეიქმნა.

"მე გამოვარკვიე, რომ "არესი" ჯართის დაჭრა-გაყიდვაზე მუშაობს და მას მეტალურგიაში გამოცდილება არ გააჩნია. თუ ჩვენი დანადგარები ჯართად უნდა დაჭრილიყო, ამას იტალიელების გარეშე ქართული მხარეც მოახერხებდა," - განაცხადა ქვემო ქართლის გუბერნატორმა.

იგივე განცხადება გააკეთა გუშინ რმკ-ს სამეთვალყურეო საბჭოს ხუთი წევრიდან მხოლოდ ერთმა, "დემოკრატმა" მამუკა აბულაძემ.

ინვესტორის კეთილსინდისიერებაში დიდი ხანია ეჭვი ეპარება რუსთავის მერს მერაბ ტყეშელაშვილსაც. ის ერთადერთი სახელმწიფო მოხელე იყო, რომელიც 8 თვის წინ "24 საათში" დაბეჭდილ სტატიას დადებითად გამოეხმაურა და კომბინატის ხელმძღვანელობას დაუპირისპირდა.

როგორ პასუხობენ მათ წინააღმდეგ დაწყებულ ფართომასშტაბიან კამპანიას მეტალურგიულ კომბინატში?

"ესენიც გაიქცევიან და რუსთავის მეტალუგია საბოლოოდ დაიღუპება. აქ ინვესტორი აღარ შემოვა," - აცხადებს შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" გენერალური დირექტორი ირაკლი ჟორდანია, რომლის პასუხისმგებლობის საკითხი ყველაზე მწვავედ დააყენა გუბერნატორმა.

ჟორდანიამ სამი კვირის წინ დატოვა რმკ-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობა და "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" გენდირექტორი გახდა. მის ხელმოწერილ პირველივე ბრძანებაში წერია, რომ სამი მარტენის ღუმელი, უმოქმედო და მოძველებული დანადგარები, საკვამლე და გაზის მილები, კომუნიკაციები მიწაში და მიწის ზემოთ - ყველაფერი ჯართის სახით ქარხნიდან უნდა გავიდეს, ახალი ელექტროფოლადსადნობი ღუმელისთვის ადგილის გასათავისუფლებლად.

"24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ ფოლადსადნობი ღუმელის შესყიდვის პროცესი ჯერ არც დაწყებულა. უფრო მეტიც, ერთი წლის წინ გერმანულ "ფუკსთან" დადებული ხელშეკრულება ჩაიშალა. "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი ალექსანდრ სერიოგინი აცხადებს, რომ შემოთავაზებული ელექტროღუმელი საქართველოს პირობებისათვის შეუთავსებელი აღმოჩნდა.

"არესის" წარმომადგენელი ქარხნიდან ჯართის გატანის სურვილს არ მალავს.

"რა თქმა უნდა, დავჭრით ჯართს, მაგრამ ეს აბსოლუტურად გამჭვირვალე პროცესი იქნება. საქმე ისაა, რომ დღეს მთელ მსოფლიოში მილნამზადის დიდი დეფიციტია. ჩვენ ის გვჭირდება, ამიტომ ხშირად იძულებულნი ვართ ვიეშმაკოთ. ვეუბნებით, რომ გვაქვს ჯართი და მილნამზადს სხვებზე სწრაფად და იოლად ვიღებთ," - ამბობს სერიოგინი. მისი მტკიცებით, იტალიელებს რუსთავის მეტალუგიული ქარხნის ამუშავება სურთ და ცუდის საკეთებლად არ მოსულან.

"ქარხანაში უკვე 10 მილიონი დოლარის ინვესტიცია განვახორციელეთ," - განაცხადა გუშინ სერიოგინმა. "24 საათის" კითხვაზე, ორ თვეში 10 მილიონის ინვესტირება და დახარჯვა როგორ მოახერხეთო, მან უპასუხა: **"შეიძლება 10 მილიონი ზუსტად არ იყოს, მაგრამ 7 მაინც იქნება..."** (?!)

აღძრავს თუ არა საქართველოს გენერალური პროკურატურა "მეტალურგიის საქმეს", მალე გაირკვევა. "არესი" ამ პროცესში უცხოური მასმედიის ჩართვას აპირებს და პარალელურად ქართველ ჟურნალისტებსაც სთხოვს, უყურადღებოდ არ დატოვონ სამართალდამცავების მხრიდან ამ საქმის გამოძიების დეტალები.

თიბისი ბანკი აცხადებს ვაკანსიას **საკრედიტო ექსპერტის** პოზიციაზე

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
უმაღლესი განათლება ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების, ბუღალტერიის ან მათემატიკის განხრით
- საბანკო ან კერძო კომპანიებში მუშაობის გამოცდილება
- ბუღალტერიისა და ფინანსების საწყისების ცოდნა
- მაღალგანვითარებული ანალიტიკური აზროვნების უნარი
- ფინანსური ანალიზის გაკეთების უნარი
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი
- ორგანიზებული, პრეზენტაბელური და მოტივირებული
- MS საოფისე პროგრამების (Word, Excell) ცოდნა
- ინგლისური ენის ცოდნა

ასაკი: 21-35
წარსადგენი საბუთები:
* თიბისი ბანკის სააპლიკაციო ფორმა; (სააპლიკაციო ფორმის აღება შესაძლებელია თიბისი ბანკის ადამიანთა რესურსების მართვის განყოფილებაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ, 11.
ან თიბისი ბანკის ვებ-გვერდზე: www. tbcbank.com.ge
* 2 ფოტო
* რეზიუმე
* სარეკომენდაციო წერილი (მინ. 2)
* დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 20 თებერვალი, 18:00სთ, 2004 წ.
მიღებული საბუთები აპლიკანტებს აღარ დაუბრუნდებათ!
საკონტაქტო პირი მედეა ტაბატაძე. ტელ: 253214

დაპირისპირება "ცეკავშირში" კრიტიკულ ზღვარს აღწევს

ხელისუფლება და მაკონტროლებელი ორგანოები გულგრილ პოზიციას ინარჩუნებენ

თამარ ხორბალაძე
ეთერ მამულაშვილი

ცეკავშირის კოლექტივის ერთი ნაწილი უკვე მეცხრე დღეა მჯდომარე შიმშილობას აგრძელებს. ექიმების განცხადებით, ორი ადამიანის ჯანმრთელობა კრიტიკულია.
თავად ცეკავშირის შენობა და თავმჯდომარის სამუშაო ოთახი საიმედოდ არის დაცული. ცეკავშირელები თავმჯდომარე ქელბაქიანის თანამდებობიდან გათავისუფლებას მოითხოვენ. ხვალ, 12 საათზე, ცეკავშირის საბჭოს სხდომაა დანიშნული, სადაც, სხვა რამდენიმე საკითხთან ერთად, საბჭოს წევრები მოშიმშილეთა პრეტენზიებს განიხილავენ.

ცეკავშირის მეპაიეთა ერთმა ნაწილმა რამდენიმე ხმაურიანი აქციისა და პრესკონფერენციის შემდეგ, როცა აქტიურობამ კონკრეტული შედეგი ვერ გამოიღო, უვადო შიმშილობა დაიწყო. გუშინ, შიმშილობის მერვე დღეს, როგორც თავად მოშიმშილეები აცხადებენ, ქელბაქიანის დაცვამ ისინი ქუჩაში გამოყარა. თავად ქელბაქიანი კი ამ ბრალდებას უარყოფს და თანამშრომლებს საკუთარი სამუშაო ოთახის უკანონოდ დაკავება-დარბევაში ადანაშაულებს. **"ჩვენ გარდა, ყველა შედიოდა ჩემს კაბინეტში, ჩვენ თვითონაც არ ვიცით, სად რა დევს; ძალიან ბევრი დოკუმენტი დაკარგულია",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ცეკავშირის თავმჯდომარემ ივანე ქელბაქიანმა, რომელმაც თავდაცვის მიზნით საკუთარი სამუშაო ოთახი რამდენიმე დღით დატოვა. ქელბაქიანი ყველა საჭირო ნივთით რამდენიმე სართულით ზემოთ, სათანადოდ დაცულ ოთახში გადაბარგდა.

მოშიმშილე ცეკავშირლები აცხადებენ, რომ შიმშილობის ცხრა დღის განმავლობაში მათ, რამდენიმე არასამთავრობოს გარდა, არავინ (მით უმეტეს - ხელმძღვანელი პირები) გამოხმაურებია. კოალიციიის "საზოგადოება და სამართალის" წევრები (კოალიცია ოცდათორმეტამდე არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს) უკვე მეხუთე დღეა, მოშიმშილეების გვერდით არიან.

ცეკავშირის რეფორმების სამმართველოს უფროსი ნაირა ხუციშვილი ირწმუნება, რომ ქელბაქიანი მათთან გარიგებას ცდილობდა. ხუციშვილი აცხადებს, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ მათთან თავმჯდომარე მივიდა და **"ცეკავშირის გასაყიდი ქონებიდან შემოსული ფულის თანაბრად გაყოფას დაგვპირდა, ხოლო სანაცვლოდ მოგვთხოვა შიმშილობის შეწყვეტა და დაშლა. რაზეც ჩვენ უარი განვაცხადეთ, ამიტომაც ქელბაქიანის დაქირავებულმა დაცვის თანამშრომლებმა დღეს დილით დაგვარბიეს, ძალის გამოყენებით შენობიდან გამოგვაძევეს",** - ამბობს ნაირა ხუციშვილი.

ბუნებრივია, ამ ბრალდებებს ცეკავშირის თავმჯდომარე უარყოფს, უფრო მეტიც - ქელბაქიანი "პროვოკატორ" თანამშრომლებს "ცილისწამებისთვის" სასამართლოში სარჩელის შეტანას დაჰპირდა. მისი თქმით, ამ გზით "გარკვეული ფინანსური ჯგუფი ცეკავშირის ხელში ჩაგდებას ცდილობს". ცეკავშირის თავმჯდომარემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: **"მე მათთან, მართლაც, მქონდა მოლაპარაკება, ვთავაზობდი, რომ მათ ერთ წარმომადგენელს ცეკავშირის 13-კაციან გამგეობაში შევიყვანდი, რაზეც თავიდან დამთანხმდნენ, თუმცა მერე უარი მითხრეს და თანამდებობიდან უპირობო წასვლა მომთხოვეს. ამას არ გავაკეთებ. წასვლის შესახებ, რომც დავწერო განცხადება, ეს ცეკავშირის საბჭომ უნდა დააკმაყოფილოს. მე ვარ მათ მიერ არჩეული და მხოლოდ მათ აქვთ ჩემი გადაყენების უფლება".** ქელბაქიანი დარწმუნებულია, რომ 101-კაციანი საბჭო მის ასეთ განცხადებას არ დააკმაყოფილებს და ხვალინდელ შეკრებაზეც საბჭოს წევრები ყველა გადაწყვეტილებას მის სასარგებლოდ მიიღებენ. მოშიმშილე ცეკავშირლები საბჭოს ხვალინდელი შეკრების ჩაშლით იმუქრებიან.

თუმცა, სანამ "ცეკავშირის მმართველი 101-კაციანი საბჭო გადაწყვეტილებას მიიღებს, "24 საათი" დაინტერესდა საკითხის ისტორიით, იმ არგუმენტებითა და იმ ფაქტებით, რომელმაც ზემოთ მოხსენიებული დაპირისპირება წარმოშვა:

მემკვიდრეობა

"ცეკავშირს" კომუნისტური პერიოდიდან საკმაოდ დიდი მემკვიდრეობა "გადმოჰყვა" დამოუკიდებელ საქართველოში. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღისთვის "ცეკავშირის" საკუთრებაში გახლდათ: 14 000 სავაჭრო ობიექტი, 7 000 საზკვების ობიექტი, 23 საკონსერვო და ღვინის ქარხანა, 11 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, 11 უნივერსალური საბითუმო ბაზა, 800 პურის საცხობი, 23 სამშენებლო ორგანიზაცია და სხვა მრავალი. სხვადასხვა შეფასებით, ამ ქონების საერთო საბაზრო ღირებულება ნახევარ მილიარდ დოლარს შეადგენდა.

ეს გახლდათ ქონება, რომელიც უკვე იყო "კერძო", ანუ კოოპერაციულ საკუთრებაში და ამიტომ 90-იან წლებში განხორციელებული პრივატიზაციის პროცესში არ მოხვედრილა. ეს იყო ქონება, რომლის მართვის და, შესაბამისად - გაყიდვის უფლება მხოლოდ მის მესაკუთრეს ჰქონდა.

ინფორმაცია განსჯისათვის: დღეისთვის "ცეკავშირის" საკუთრებაში არსებული ქონების ფასი, მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფის ინფორმაციით, 30 მილიონამდეა დასული; თუმცა, მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფი აცხადებს, რომ ამ თანხად უვარგისი ქონებაა შეფასებული, სერიოზული ობიექტები კი ჩამოაფასეს და კაპიკებად გაყიდეს. ამბობენ იმასაც, რომ მეპაიეთა თავდაპირველი ოდენობა, არც მეტი, არც ნაკლები - 50-ჯერ შემცირდა, თუმცა ამაზე ცოტათი ქვემოთ.

მესაკუთრე

საბჭოთა კავშირში "ცეკავშირი" გახლდათ ის ოაზისი, რომლის მესაკუთრედ არა ზოგადად სახელმწიფო, არამედ კონკრეტულად "ცეკავშირის" წევრები ითვლებოდნენ. ქონება, როგორც უკვე ვთქვით, მართლაც, ძალიან დიდი იყო საიმისოდ, რომ მის ირგვლივ კლანური და კერძო ინტერესები დატრიალებულიყო.

რაც შეეხება კანონიერ მემკვიდრეს - 1991 წლის მონაცემებით, ცეკავშირის სისტემაში 1 მილიონზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული. სხვათა შორის, იმ დროს ამ ადამიანებმა გარკვეული საზღაურიც გაიღეს იმისთვის, რომ ცეკავშირის წევრობა შეენარჩუნებინათ და მისი ქონების სამართალმემკვიდრედ ქცეულიყვნენ.

გარკვეული "გარღვევა" ამ საკითხში მოხდა 1997 წლის 15 მაისს მიღებული კანონით სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ, რომელშიც განისაზღვრა, რომ "ცეკავშირი" მეპაიეების ხელში უნდა გადასულიყო; თუმცა, 1997 წელსვე დაინტერესებული ანუ მმართველი ჯგუფის მიერ მეპაიეების უფლებების იგნორირებით დაფუძნდა "ცეკავშირი", რომლის რეგისტრაცია დიდი ბრძოლის შემდეგ მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფის სარჩელის საფუძველზე გააუქმა სასამართლომ.

სასამართლო დავების ისტორიის მოყვანა საკმაოდ შორს წაგვიყვანს, თუმცა საკმაოდ საინტერესოა, რომ მეპაიეთა თავდაპირველმა რიცხვმა საოცარი სისწრაფით იწყო კლება. მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებით, ამის მიზეზი გახშირებული "ხელახალი რეგისტრაციები" გახლდათ.

"ცეკავშირის ხელმძღვანელობა, რომელიც, ძირითადად, "მოქალაქეთა კავშირის" დამფუძნებლებისგან - პრეზიდენტ შევარდნაძესთან დაახლოებული ადამიანებისგან შედგებოდა, ხელახალ რეგისტრაციას აცხადებს და ამის შესახებ განცხადებას აქვეყნებს ისეთ გაზეთში, რომელზეც ხელი მეპაიეების უმეტეს ნაწილს, მით უმეტეს - რაიონების მაცხოვრებლებს, არ მოუწვდებათ, ამიტომ ისინი რეგისტრაციას ვერ გადიან და... შედეგად მეპაიეთა რიცხვი დღეისთვის 1 მილიონიდან დაახლოებით 20 000-მდე შემცირდა," - ამბობენ ისინი.

მეპაიეები "ცეკავშირის" მმართველი საბჭოს სხდომის ჩაშლით იმუქრებიან.

საინტერესო დეტალი - "ცეკავშირის" დღევანდელმა ხელმძღვანელმა ივანე ქელბაქიანმა "24 საათთან" საუბარში ცეკავშირის მეპაიეების ზუსტი რიცხვი (ისევე, როგორც ქონების ზუსტი ოდენობა) ვერ დაასახელა, რაც საკმაოდ სიმპტომატური გახლავთ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კოოპერაციის ქონება ორ ნაწილად იყოფა - ერთია საკუთრივ "ცეკავშირის" ქონება, მეორე კი - "რაიკავშირების", თუმცა მმართველობითი სტრუქტურის გადახედვა ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში "ხელი ხელს ბანს..."

მმართველობა

"ცეკავშირს" ყრილობა, ყრილობის მიერ არჩეული 101-კაციანი საბჭო და 13- კაციანი გამგეობა მართავს. ამ 101 კაციდან 65 რაიკავშირის თავმჯდომარეა. ამ 65 რაიკავშირის თავმჯდომარის თანხმობა სჭირდება ცეკავშირის ხელმძღვანელობას ობიექტების გაყიდვის, ჩამოფასებისა თუ სხვა მსგავსი ოპერაციის დროს; სანაცვლოდ კი, მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფის ინფორმაციით, ცეკავშირის ხელმძღვანელობა რაიკავშირების მოქმედებებზე თვალს ხუჭავს.

ცხადია, სიტუაციის ასეთ ფორმულირებას არ ეთანხმება თავად "ცეკავშირის" ხელმძღვანელი ივანე ქელბაქიანი, რომელიც ამბობს, რომ "ცეკავშირის" მმართველობა "კოლექტიური" და კანონის შესაბამისი ფორმით ხორციელდება, ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება აქ გამორიცხულია. იგი ამბობს იმასაც, რომ მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფი მეპაიეთა მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს და მას "ცეკავშირის" მუშაობაზე კონკრეტული ზემოქმედების მოხდენის უფლებამოსილება არ გააჩნია; მეტიც - "ცეკავშირის" თავმჯდომარე იმ სამმართველოების გაუქმებას გეგმავს, რომელსაც ეს ადამიანები უდგანან სათავეში და ამას "ამ სამმართველოების არსებობის მიზანშეუწონლობით" ხსნის.

როგორ ნიავდებოდა ქონება

სიმართლე რომ ითქვას, ცეკავშირს დღეს მართლაც ნაკლებად სჭირდება არა მხოლოდ ცალკეული სამმართველოები, არამედ საერთოდ ხელმძღვანელობა, რადგან თითქმის ყველაფერი ღირებული, რაც კი შეიძლებოდა ამუშავებულიყო და რასაც შეიძლება ბიუჯეტისთვის შემოსავალი მოეტანა, უკვე გასხვისებულია.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ ობიექტების ფასი. დღეს რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ შედარებით ახლო წარსულიდან: თელავის სასურსათო კომბინატი 80 000 ლარად გაიყიდა, მარნეულის სასურსათო კომბინატში სპირტის სახდელი საამქრო - 11 000 ლარად, მარნეულის ცენტრალური სუპერმარკეტი - 9000 დოლარად, გურჯაანის აგრარული ბაზარი - 66 000 ლარად, პანსიონატ "რაჭის" 5-სართულიანი შენობა - 30 000 დოლარად, სუფსის საკომისიო მაღაზია - 200 ლარად და ა.შ.

საინტერესოა, რომ დღეს, მოპაიეთა საინიციატივო ჯგუფის ინფორმაციით, სრული ნუსხა "ცეკავშირის" საკუთრებაში თავის დროზე არსებული ქონებისა თავად "ცეკავშირში" არ არსებობს, თუმცა მათ საარქივო მასალები სრულად აქვთ შენახული.

მიუხედავად ზოგიერთების მცდელობისა, რომ "ცეკავშირის" ქონების განიავება უკვე გარდაცვლილ ხელმძღვანელს გადააბრალონ, ფაქტია, რომ ზემოთ მოხსენიებული ქონების ნაწილი და ბევრი სხვა ობიექტი უკვე ახალი ხელმძღვანელების დროს გაიყიდა და მეტიც - სწორედ რევოლუციის შემდგომ დღეებში, 26 ნოემბერს სასწრაფოდ მომზადდა საერთო კრების დადგენილება ცეკავშირის სისტემის ორგანიზაციებში გასაყიდი საწარმოებისა და სხვა ძირითადი საშუალებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელშიც "ცეკავშირის" საკუთრებაში დარჩენილი თითქმის ყველა ობიექტის გაყიდვა გახლდათ გამიზნული. ამ ნუსხაში შედიოდა:

მარნეულის სასურსათო კომბინატი, ამბროლაურის სასურსათო კომბინატი, კასპის სასურსათო კომბინატი, სენაკის სასურსათო კომბინატი, თერჯოლის სასურსათო კომბინატი, ჩოხატაურის სასურსათო კომბინატი, საჩხერის სასურსათო კომბინატი, სამტრედიის სასურსათო კომბინატი, მარნეულის საკონსერვო ქარხანა, გორის სასურსათო კომბინატში ცეკავშირის წილი, ზუგდიდის სასურსათო კომბინატი, შილდის ღვინის ქარხანა, სიქთარვის ღვინის ქარხანა, წნორის ღვინის ქარხანა, ზუგდიდის საწარმოო კომბინატი, თერჯოლის საშენ მასალათა და სამეურნეო საქონლის კომბინატი, ქსნის საწარმოო კომბინატი, გლდანის საწარმოო კომბინატი, საჩხერის საწარმოო კომბინატი, ვანის საწარმოო კომბინატი, თბილისის სხვადასხვა ნაწარმის კომბინატი, ამასთან ექვსი ავტოსატრანსპორტო საწარმო, სააქციო საზოგადოებს "საქკოოპმშენის" 12 ფილიალი. "ცეკავშირის" დღევანდელი ხელმძღვანელობა სასწრაფოდ აპირებდა გაეყიდა: წყნეთის დასასვენებელი სახლი, წყალტუბოს პანსიონატი "მედეა", ცხვარიჭამიის მოსწავლე-ახალგაზრდობის დასასვენებელი სახლი, ქობულეთის დასასვენებელი სახლი "ქობულეთი", გუდაურის სასტუმრო კომპლექსი "შინო", ბაკურიანის დასასვენებელი სახლი "ვარძია"...

"ცეკავშირის" ხელმძღვანელმა ივანე ქელბაქიანმა "24 საათს" განუცხადა, რომ ეს საწარმოები არამომგებიანია, უამრავი დავალიანება აქვს დაგროვილი ბიუჯეტის მიმართ და მათი გაყიდვა ამიტომაც გადაწყდა. მან "24 საათს" ამ დავალიანებების შესახებ მონაცემებიც გადასცა, თუმცა ეს, ალბათ, ნამდვილად არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ცეკავშირის ხელმძღვანელობას, რომლის მიერ მართული საწარმოები რატომღაც არამომგებიანი და სალიკვიდაციო "აღმოჩნდა" მაშინ, როცა მსოფლიო და დსთ-ს სხვა ქვეყნებში "ცეკავშირები" საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებენ.

მსოფლიო გამოცდილება

კოოპერაციები მსოფლიოს 80 ქვეყანაში არსებობს და ფუნქციონირებს. ჩინეთსა და იაპონიაში კოოპერაციებს ეკუთვნის სოფლის მეურნეობის 100 პროცენტი. საფრანგეთში, იტალიასა და ინგლისში კოოპერაციულ საკუთრებაშია სოფლის მეურნეობის თითქმის 50 პროცენტი. შუა აზიის ქვეყნებში კოოპერაციების წილი შიდა მეურნეობაში 75 პროცენტზე ავიდა, რუსეთის სოფლის მეურნეობაში - 52 პროცენტზე, უკრაინაში - 48 პროცენტზე...

მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფის ინფორმაციით, საქართველოში კოოპერაციის წილმა საერთო მეურნეობაში 32 პროცენტიდან 10 პროცენტამდე დაიწია, რაც, მათი აზრით, არაეფექტური მმართველობისა და მომხმარებლურ-დამტაცებლური მიდგომის ბრალია.

"ბრძოლა კოოპერაციის გადარჩენისათვის"

ასე უწოდებენ მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელები იმ აქტიურობას, რომელიც 1998 წლიდან დაიწყეს და რომელიც "ცეკავშირის" მმართველების წინააღმდეგ არაერთგზის გალაშქრებაში გამოიხატა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ "ცეკავშირის" მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფს არ დაუტოვებია არც ერთი უწყება. მათ ხელთ არსებული დოკუმენტები მიტანილია ყველგან - იქნებოდა ეს პარლამენტის საგამოძიებო კომისია, სახალხო დამცველის აპარატი, პარლამენტის ცალკეული ფრაქციები, სასამართლო, ტელევიზია თუ....

თავის დროზე ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ხმაურიანი გამოძიება ჩაატარა "60 წუთმა", თუმცა, ტრადიციისამებრ, ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

პროკურატურას თავისი მასალები გადასცა პარალმენტის საგამოძიებო კომისიამაც - არც ამას მოჰყოლია კონკრეტული შედეგი.

პროკურატურა მასალებით "მოამარაგა" სახალხო დამცველის აპარატმაც - არც ამას მოჰყვა რეაგირება.

მართალია, პროკურატურაში საქმეები აღიძრა - "გადასახადებისგან თავის არიდებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე ცეკავშირის თანამდებობის პირების მიმართ", მაგრამ... პროკურატურაში "24 საათს" განუცხადეს, რომ **"ცეკავშირთან" დაკავშირებით შვიდამდე საქმე იყო აღძრული, თუმცა მასში მოხსენიებული პირები დაიღუპნენ და ამიტომ საქმეები შეჩერებულია".**

საინტერესო დეტალი - კონტროლის პალატამ, რომელმაც "ცეკავშირი" ორიოდე წლის წინ შეამოწმა, თავად "ცეკავშირში" დიდი დარღვევები ვერ აღმოაჩინა, პირიქით - მეპაიეთა ჯგუფს ინტრიგანობაში და "ცეკავშირის" მმართველთათვის ხელის შეშლაში დასდო ბრალი.

და ეს ხდება სწორედ იმ პერიოდში, როცა სახალხო დამცველის აპარატშიც და თავად პროკურატურაშიც მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისთვის საკმარისად მიიჩნევენ. სხვა საკითხია - რატომ დაიხურა ეს საქმეები და რატომ შემოიდო თაროზე ბევრი სხვა საქმის მსგავსად.

"ცეკავშირის" მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფის ბრძოლის ისტორია სასამართლოებშიც ბევრ გამარჯვებასა და ბევრ დამარცხებას ითვლის - დეტალებზე საუბარი საკმაოდ შორს წაგვიყვანს; თუმცა, ალბათ, საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ სწორედ მათი სარჩელის საფუძველზე სასამართლომ შეაჩერა იმ ობიექტების სასწრაფო გასხვისება, რომელთა შესახებაც გადაწყვეტილება 26 ნოემბერს მიიღეს და რომლებზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი - მეპაიეების პრეტენზიებს ახალი ხელისუფლება (ყოველ შემთხვევაში – ჯერჯერობით) ისეთივე "გულისყურით" უდგება, როგორც - ძველი. "24 საათმა" მოიკითხა წერილები, რომლებიც მეპაიეებმა საქართველოს დროებითი პრეზიდენტის ნინო ბურჯანაძის, სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას და ახალი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელზეა დაწერილი. ეს წერილები, ჯერჯერობით, კანცელარიის ოთახებშია "გაჭედილი". ჩანს, ჯერჯერობით, არც პროკურატურა აპირებს იმ საქმეების თაროებიდან ჩამოღებას, რომელთა ადრესატებიც, მეპაიეთა საინიციატივო ჯგუფის ინფორმაციით, მხოლოდ გარდაცვლილი ხელმძღვანელები ნამდვილად არ არიან.

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გუშინდელ ვაჭრობაზე ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,105 ლარით განისაზღვრა. შიდა სავალუტო ბაზარზე დოლარის შესყიდვის კურსი - 2,105 ლარი, ხოლო გაყიდვის კურსი 2,110 ლარი იყო. 13 იანვრიდან ლარის მიმართ ძალაშია უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი: 1 ევრო - 2,6560 ლარი; 1 რუბლი - 0,0739 ლარი, 1 გირვანქა სტერლინგი - 3,8534 ლარი. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. შესაძლოა, უახლოეს მომავალში საქართველომ უკრაინაში ქართული იოდირებული ჩაის ექსპორტი დაიწყოს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინფორმაციით, მიღწეულია შეთანხმება უკრაინული მხარისათვის ამ ჩაის მიწოდების შესახებ და ექსპერტიზისთვის ნიმუშებიც უკვე გაიგზავნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აშშ-ს და პოლონეთის პრეზიდენტები უკრაინასა და საქართველოში დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკის ფასეულობების დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში აქტიურ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. ჯორჯ ბუშისა და ალექსანდერ კვაშნევსკის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ვაშინგტონსა და ვარშავას სურთ, უკრაინასა და საქართველოში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან "ევროატლანტიკურ სტრუქტურებში" ინტეგრაციაზე, განახორციელონ დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკის განმტკიცებასთან დაკავშირებული რეფორმები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ ფინანსთა სამინისტროში ცენტრალური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტების სრულყოფის საკითხთა შემსწავლელი კომისიის მეორე სხდომა გაიმართა. ცენტრალური და რეგიონული ფისკალური უწყებების წარმომადგენლები ცენტრსა და რეგიონს შორის რამდენიმე წლის განმავლობაში არსებულ საბიუჯეტო კრიზისზე მსჯელობდნენ. სხდომაზე აჭარაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების კანონპროექტი უნდა განხილულიყო, რაც დროებით გადაიდო. ორი კვირის შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებით ბათუმში დაგეგმილ კონფერენციაზე ბათუმის პორტის განვითარების გეგმის პრეზენტაცია მოეწყობა. ამავე კომისიის პირველი სხდომაზე, რომელიც ერთი კვირის წინათ გაიმართა, გადაწყდა, რომ ცენტრალური ბიუჯეტი აჭარიდან მიიღებს კუთვნილ თანხებს, ხოლო აჭარის ბიუჯეტში ცენტრალური ბიუჯეტიდან სოციალური ტრანსფერები გადაირიცხება. აჭარიდან თანხები თვის ბოლოს უნდა გადმოირიცხოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა საქართველოს ხელისუფლებას ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებაში მხარდაჭერა აღუთქვა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება შესთავაზა. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ, პირველ რიგში, კორუფციასთან ბრძოლა უნდა დაიწყოს, რისთვისაც ახალი კადრები სწორად უნდა შეირჩეს. "მაღალი პოსტები უნდა დაიკავონ პროფესიონალებმა, რომელთაც აქვთ სწორი კურსი და მიზნები," – აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

ფული - ყველას თანაბრად

საბითუმო ბაზარმა თანხების განაწილების მოდელში ცვლილებები შეიტანა. თუ ადრე ელექტროენერგიის გამყიდველები სესბ-იდან თანხას სახელფასო ფონდის მიხედვით იღებდნენ, ფინანსების განაწილების ახალი წესით, ისინი თანხას მიიღებენ მათ მიერ 12 თვის მანძილზე გამომუშავებული და ბაზრის მეშვეობით რეალიზებული ელექტროენერგიის ღირებულების პროპორციულად. "მაგრამ ეს თანხა არ იქნება სახელფასო ფონდზე მეტი," – აკონკრეტებენ ბაზარში.

იმ შემთხვევაში, თუ გენერაციის ობიექტების სატრანსფერო ანგარიშზე გარკვეული ფინანსური რესურსი დარჩება, ის განაწილდება ბოლო 12 თვის მანძილზე გამომუშავებული და ბაზრის მეშვეობით რეალიზებული ელექტროენერგიის ღირებულების მიხედვით. ასევე, თუ რომელიმე გენერაციის ობიექტს პრობლემა ექნება და აუცილებელი გახდება მისი დაფინანსება, მას შეუძლია ბაზრიდან სამი თვის ვადით ისესხოს მოდელით გასანაწილებელი თანხის არაუმეტეს ხუთი პროცენტისა. ვალის დაბრუნებისას სესხს პროცენტიც დაერიცხება.

ბაზარში მიიჩნევენ, რომ თანხების განაწილებას, მიუხედავად მოდელის სრულყოფისა, თან ახლავს სუბიექტური ფაქტორი: "დღესდღეობით ვერ ხერხდება სატრანსფერტო ანგარიშზე თანხების აკუმულირება გარკვეული პერიოდის მანძილზე, რის გამოც განაწილება ხდება ფინანსების შემოსვლისთანავე, რაზეც სესბ-ს ჯერჯერობით არ აქვს შემუშავებული გადახდის რიგითობის წესი, მაგრამ ამ პრობლემას მომავალში ე. წ. საკონტოკორენტო ანგარიშის ამოქმედება მოაგვარებს, რომელიც, სავარაუდოდ, ძალაში 1 აპრილიდან შევა," – აცხადებენ ბაზარში.

ბაზრის მიერ შემუშავებულ ახალ მოდელს 6 თვის შემდეგ გადახედავენ, შეჯამდება შედეგები, რის შემდეგაც შესაძლოა, მოდელის სრულყოფის მიზნით ახალი ცვლილებებიც განხორციელდეს.

24 საათი

"ეარბასმა" ბრიტანეთის მთავრობასთან 13 მილიარდი გირვანქის კონტრაქტი გააფორმა

ადამ მჭედლიძე

ევროპულმა ავიაკონსორციუმმა "ერაბასმა" 13 მილიარდი გირვანქის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალებთან. ამ შეთანხმების მიხედვით, "ეარბასი" საჰაერო ტანკერებს დაამზადებს, რომელთა დანიშნულება საბრძოლო ავიაციის ჰაერში საწვავით გამართვაა.

ეს კონტრაქტი სერიოზული დარტყმაა ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ტრადიციული კონტრაქტორი "ბრიტიშ აეროსპეისისათვის" და ამ უკანასკნელის ამერიკელი პარტნიორი "ბოინგისათვის." ამ უკანასკნელისათვის "ეარბასისა" და სამეფო საჰაერო ძალებს შორის კონტრაქტი ევროპულ კონსორციუმთან კიდევ ერთ წაგებულ რაუნდს ნიშნავს. ამერიკული გიგანტი "ეარბასთან" ბრძოლისას ხომ ბოლო დროს სერიოზულად თმობს თავის პოზიციებს სამოქალაქო ავიაციის სფეროში. "ბოინგისათვის" ყველაზე მომგებიან დარგად სამხედრო სფერო რჩებოდა, უპირველესად კი, სწორედ საჰაერო ტანკერები, სადაც მას აქამდე მონოპოლია ჰქონდა; მაგრამ, როგორც ჩანს, იოლი ცხოვრება ამერიკულ კომპანიას აღარც ამ სფეროში ექნება.

"ეარბასის" წარმატება იმანაც განაპირობა, რომ "ბრიტიშ აეროსპეისს" ბრალად ედება ბრიტანეთის თავდაცვის ბიუჯეტიდან 3 მილიარდი გირვანქის უმიზნო ხარჯვა. მართალია, ქვეყნის მთავრობა ამისათვის კომპანიის დასჯას არ აპირებს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, კონტრაქტი სხვა მხარეს მიანდეს. აღსანიშნავია, რომ საჰაერო ტანკერებზე ასეთი მასშტაბის კონტრაქტი ევროპაში ჯერ არ გაფორმებულა.

ჯონ კერი ჯერჯერობით ლიდერობს

აშშ-ს დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა საპრეზიდენტო კანდიდატმა ჯონ კერიმ ნიუ-ჰემპშირის შტატში ჩატარებულ წინასწარ არჩევნებში – პრაიმერიზში, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, რითაც საგრძნობლად გაზარდა თავისი შანსები, რომ დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს არჩევნებში სწორედ ის დაუპირისპიროს. წინასწარი მონაცემებით, მასაჩუსეტის შტატის სენატორმა კერიმ ხმათა უპირატესობით დაამარცხა თანაპარტიელი კონკურენტი ჰაუერდ დინი, რომელიც წინასწარი გამოკითხვებით ამ შეჯიბრებაში ლიდერობდა. მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. ეს ჯონ კერის მეორე გამარჯვებაა საარჩევნო მარათონში. გასულ კვირას მან ამომრჩეველთა გული აიოვას შტატში დაიპყრო. **“მე მზად ვარ, ჩვენს პარტიას გამარჯვებისაკენ გავუძღვე,”** - განაცხადა ჯონ კერიმ ნიუ-ჰემპშირის არჩევნების მოგების შემდეგ.

დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ნიუ-ჰემპშირში გამარჯვება ჯონ კერის შანსებს საგრძნობლად ზრდის, რათა ამ ზაფხულს ის დემოკრატიულმა პარტიამ თავის ერთადერთ რჩეულად დაასახელოს. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ ამ არჩევნების შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. დემოკრატების კანდიდატთა უმრავლესობას ბოლომდე ბრძოლა აქვს გადაწყვეტილი. მარათონი კი, სავარაუდოდ, 3 თებერვალს დასრულდება, როდესაც შვიდ შტატში ერთდროულად დემოკრატიული პარტიის ამომრჩევლები თავის აზრს გამოხატავენ.

როგორც სააგენტო “ბიბისის” ერთ-ერთმა ამომრჩეველმა ქალმა განუცხადა, ის სიამოვნებით მისცემდა ხმას საკუთარ კატასაც კი, თუკი ის პრეზიდენტ ბუშის დამარცხებას შეძლებს.

აშშ-ს საარჩევნო მარათონი მხოლოდ დემოკრატიული პარტიით არის წარმოდგენილი, რადგანაც რესპუბლიკური პარტიიდან ჯორჯ ბუშთან შერკინებას, ჯერჯერობით, ვერავინ ბედავს.



ჯონ კერიმ ნიუ-ჰემპშირში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

სამხრეთ კავკასია, შესაძლოა, "ფართო ევროპის ინიციატივას" შეუერთდეს

პირველი გვერდიდან

ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრაიან კოუენი მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციას დაესწრო. “ევროკავშირი საქართველოში არსებულ ვითარებას ყურადღებით დააკვირდება. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლას, ეკონომიკურ რეფორმებსა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას,” - განაცხადა კოუენმა პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, ევროკომისია და ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინატორი ჰავიერ სოლანა ივნისის ბოლოს ერთად გადაწყვეტენ, შეიყვანონ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები “ფართო ევროპის ინიციატივაში”, თუ არა. “ფართო ევროპის ინიციატივა” ბრიუსელმა შარშან დაიწყო, სადაც რუსეთთან, უკრაინასთან და ბალკანეთის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ახალი პრინციპები ჩამოყალიბა. “ფართო ევროპის ინიციატივაში” მონაწილე სახელმწიფოები ვაჭრობისა და ფინანსების დარგში გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ, ევროკავშირი ამ ქვეყნებს რეფორმების გატარებაშიც ეხმარება.

გუშინ ვაშინგტონში ამერიკისა და პოლონეთის პრეზიდენტებმა ერთობლივ განცხადებაში აღნიშნეს, რომ “ისინი ერთად იმუშავებენ, რათა დემოკრატიული და საბაზრო რეფორმები წაახალისონ “ფართო ევროპაში”, განსაკუთრებით - უკრაინასა და საქართველოში, რადგან ისინი [საქართველო და უკრაინა] ცდილობენ, ევრო-ატლანტიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაცია გააღრმაონ.”

ჰატონის კომისიის საბოლოო ვერდიქტი: "ბიბისი" დამნაშავეა

გუშინ მოსამართლე ლორდ ჰატონის საგამოძიებო კომისიამ “ერაყის დოსიეს” გარშემო განვითარებულ მოვლენებზე საბოლოო დასკვნა გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ დეტალური ინფორმაცია ამ დოკუმენტის თაობაზე უკვე დღევანდელ გაზეთებში იქნება გაშუქებული, ბრიტანული გამოცემა “სანი” პირველი აღმოჩნდა, რომელმაც კომისიის დასკვნა გამოქვეყნებამდე მოიპოვა და პირველი გვერდიც მიუძღვნა. კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლებმა უკვე მთავრობის მკაცრი კრიტიკა დაიწყეს, ჰატონის დასკვნის დეტალების გაზეთში გაჟონვის გამო. თუმცა, ტონი ბლერის ხელისუფლება ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. ოპოზიციის ლიდერმა მაიკლ ჰაუერდმა ამ საკითხზე გამოძიების ჩატარებაც კი მოითხოვა.

ლევან ღირსიაშვილი

ბულვარული გაზეთი ˝სან˝

გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ჰატონის საგამოძიებო დასკვნის თანახმად, პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს ყველა ბრალდება მოხსნილი აქვს, ხოლო საინფორმაციო სააგენტო “ბიბისი” კი მთელ რიგ დარღვევებშია დადანაშაულებული.

გუშინ შუადღისას გამოქვეყნებული ჰატონის დასკვნა მთავრობის ყველა წარმომადგენელს, სააგენტო “ბიბისის” და გარდაცვლილი დოქტორ კელის ოჯახს დაეგზავნა. გუშინვე, პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი თემთა პალატის დეპუტატების წინაშე წარდგა და მათ მიერ დასმულ კითხვებზე გასცა პასუხი. სხდომა დახურული იყო. როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ექსპერტმა დევიდ კელიმ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მას შემდეგ, რაც საქვეყნოდ ცნობილი გახდა, რომ ის “ბიბისის” ჟურნალისტის ენდრიუ გილიგანის ანონიმი წყარო იყო. ჟურნალისტმა გილიგანმა რეპორტაჟი სწორედ დოქტორ კელისთან საუბარზე დაყრდნობით მოამზადა და განაცხადა, რომ ტონი ბლერის “ერაყის დოსიეში” ფაქტები სადამის საფრთხის შესახებ გადაჭარბებული და დამახინჯებული იყო.

გაზეთ “სანში” გამოქვეყნებულ ჰატონის დასკვნაში მოყვანილია ფსიქიატრის მიერ ჩატარებული ექსპერტიზა, რომლის თანახმადაც “სახალხო დამცირებით” შეურაცხყოფილმა დოქტორმა კელიმ თავი მოიკლა.

ლორდი ჰატონი მკაცრად აკრიტიკებს სააგენტო “ბიბისის” ხელმძღვანელობას იმის გამო, რომ მათ არ ჩაატარეს დეტალური გამოძიება, თუ რამდენად შეესაბამებოდა გილიგანის რეპორტაჟი დევიდ კელის საუბრის ჩანაწერს.

ამასთანავე, ჰატონის კომისია ყველა შესაძლო ბრალდებისგან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს. კერძოდ, დიდი ბრიტანეთის მთავრობას და მის მეთაურს საზოგადოება “უპატიოსნებაში, ინტრიგებსა და ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაში” სდებდა ბრალს, რამაც საბოლოო ჯამში დევიდ კელის სიკვდილი გამოიწვია.

მიუხედავად ამისა, ჰატონის დასკვნაში თავდაცვის სამინისტრო გაკრიტიკებულია, იმის გამო, რომ უწყებამ არ გააფრთხილა დევიდ კელი ჟურნალისტებისათვის მისი ვინაობის გამჟღავნების შესახებ. თუმცა, იქვე ნათქვამია: **“დევიდ კელი არ იყო ის ადამიანი, რომელსაც ადვილად დაეხმარებოდი და რჩევას მისცემდი.”**

ჰატონის კომისია ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს სკანდალის კიდევ ერთ გმირს – ბრიტანეთის მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ალისტერ კემპბელს. როგორც დასკვნაშია ნათქვამი, მას ამ მოვლენებში ერთი შეცდომაც კი არ დაუშვია.

როგორც აღვნიშნეთ, ჰატონის კომისიის დასკვნის დეტალები გაზეთმა “სანმა“ გააშუქა. სააგენტო “ბიბისი” კი ვარაუდობს, რომ გაზეთის კორესპონდენტს მოხსენების ტექსტი თავად არ უნახავს და მან ეს დეტალები მხოლოდ მოისმინა.

გუშინვე, ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელმა ხელისუფლების წევრებისგან ინფორმაციის გაჟონვის შესაძლებლობა კატეგორიულად უარყო. ამდენად, ჯერ არ არის ცნობილი, თუ როგორ აღმოჩნდა გაზეთ “სანის” ხელში მკაცრად გასაიდუმლოებული დოკუმენტი.

ლორდი ჰატონი და მისი ვერდიქტი

გაზეთში გაჟონილი ინფორმაციის გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათში საგამოძიებო კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა თავად ლორდმა ჰატონმა წაიკითხა. უნდა ითქვას, რომ მის მიერ მოყვანილი ფაქტები დილით მოულოდნელად გამოჩენილი ინფორმაციისაგან არაფრით განსხვავდება. მთავარი და ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ მოხსენება თავად ავტორმა - მოსამართლე ჰატონმა წაიკითხა.

მან განაცხადა, რომ ექსპერტ დევიდ კელის უფლება არ ჰქონდა, “ბიბისის” ჟურნალისტს ენდრიუ გილიგანს ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე შეხვედროდა. ამით დოქტორმა კელიმ სახელმწიფო ჩინოვნიკის ვალდებულებები დაარღვია. საგამოძიებო მასალების დეტალურად შესწავლის შემდეგ კი ლორდი ჰატონი მივიდა დასკვნამდე, რომ დევიდ კელიმ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და მისი გარდაცვალების რაიმე სხვა ვერსია კატეგორიულად გამორიცხა.

ჰატონმა ასევე განაცხადა, რომ გილიგანთან საუბრის დროს დევიდ კელის არ განუცხადებია, თითქოს დოსიეში აღნიშნული ფაქტი სადამის მიერ ქიმიური იარაღის 45 წუთში ამოქმედების შესახებ დაზვერვის სამსახურის მიერ დადასტურებული არ იყო. ამდენად, ჰატონმა ფაქტების დამახინჯებასა და არასწორი რეპორტაჟის ეთერში გაშვებაში სააგენტო “ბიბისის” დასდო ბრალი. გარდა ამისა, ლორდმა ჰატონმა “ბიბისის” ხელმძღვანელობა დაადანაშაულა, რომ სააგენტომ გილიგანის რეპორტაჟი ყოველგვარი გადამოწმების გარეშე გადასცა.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს, ჰატონის დასკვნის თანახმად, ის უდანაშაულოა.

ჰატონის დასკვნის მთავარი გმირები

ჰატონის კომისია იძიებდა თავდაცვის სამინისტროს ექსპერტის და გაეროს ყოფილი სამხედრო ინსპექტორის დოქტორ დევიდ კელის სიკვდილის საქმეს. გამოძიების ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა "ბიბისის" რეპორტაჟი, რომლის თანახმადაც ტონი ბლერის ოფისმა დაამახინჯა სადაზვერვო დოსიე ერაყში არსებული მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ, რათა ამით ერაყში ომის დაწყება გაემართლებინა.





სამთავრობო დოსიე: ირწმუნებოდა, რომ სადამ ჰუსეინს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ამოქმედება 45 წუთის განმავლობაში შეეძლო.

დევიდ კელი: ის თავდაცვის სამინისტროს ექსპერტი იყო და მის მოვალეობას ჟურნალისტებისათვის ინფორმაციის მომზადება წარმოადგენდა. ის გახდა "ბიბისის" რეპორტაჟის წყარო, რომლის თანახმადაც ტონი ბლერის სადაზვერვო დოსიეში ჩადებული განცხადება, თითქოს სადამ ჰუსეინს 45 წუთის განმავლობაში შეეძლო მასობრივი განადგურების იარაღის ამოქმედება, დაზვერვის ხელმძღვანელობის სურვილის საწინააღმდეგოდ გაკეთდა.

პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი: მან პარლამენტის წევრებს განუცხადა, რომ დაზვერვის ხელმძღვანელობა არ უარყოფდა მის მიერ გამოქვეყნებულ დოსიეში სადამის იარაღის შესახებ არსებულ ფაქტებს. ტონი ბლერმა ასევე უარყო თავისი მონაწილეობა დოქტორ კელის ვინაობის გამჟღავნებაში.

ჯეფ ჰუნი: თავდაცვის მინისტრი ჰუნი (ცენტრში მარცხნივ) დოქტორ კელის ხელმძღვანელი იყო. ის ჰატონის დასკვნის კრიტიკის ობიექტად იქცა. ჰუნი ესწრებოდა შეხვედრას, სადაც თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა თანხმობა განაცხადეს ჟურნალისტებისათვის დოქტორ კელის ვინაობის გამჟღავნებაზე. ამის შემდეგ კი პრესაში კელის ვინაობა გამჟღავნდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ "ბიბისის" ჟურნალისტის ანონიმი წყარო სწორედ დოქტორი კელი იყო.

ალისტერ კემპბელი: ბლერის პრეს-მდივანი (ცენტრში მარჯვნივ) - ის ამჟამად თანამდებობიდან გადამდგარია. ის მიიჩნევდა, რომ კელის ვინაობა საზოგადოებისათვის ცნობილი გამხდარიყო. ასევე პოლიტიკურ ზეწოლას ახორციელებდა მთავრობაში არსებულ გაერთიანებულ სადაზვერვო კომიტეტზე და ითხოვდა, რომ დოსიეში მოყვანილი ფაქტები კიდევ უფრო გამუქებულიყო.

ბიბისი: რეპორტაჟმა – სადაც ნათქვამი იყო, რომ სადამის საფრთხე სადაზვერვო დოსიეში დამახინჯებულად იყო გადმოცემული, დაზვერვის მაღალჩინოსნების გაღიზიანება გამოიწვია. მათ განაცხადეს, რომ რეპორტაჟი სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მაგრამ, "ბიბისიმ" ვერ შეძლო დოქტორ კელის – როგორც თავისი წყაროს დაცვა.

დაზვერვის სამსახური: ორივე – ბრიტანეთის და აშშ-ის უწყებებმა დაასკვნეს, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა. საერთაშორისო სამხედრო ინსპექტორებმა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება ერაყში ვერ აღმოაჩინეს.

© GRAPHIC NEWS

ირანელი სტუდენტები რეფორმატორებს უჭერენ მხარს

გუშინ ირანელი სტუდენტების დიდმა გაერთიანებამ მოსახლეობას არჩევნების ბოიკოტირებისაკენ მოუწოდა, რადგან რეფორმატორი პოლიტიკოსების დიდ ნაწილს 20 თებერვალს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება ირანის უმაღლესმა მმართველმა ორგანომ – რევოლუციის გუშაგთა საბჭომ აუკრძალა.

სტუდენტების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ რეფორმატორებისათვის არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა რეალური არჩევანის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. სტუდენტთა განცხადება ბრიტანულმა “ბიბისიმ” ირანის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო “ირნაზე” დაყრდნობით გაავრცელა.

“როიტერის” ცნობით, გუშინვე ირანის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ განაცხადა, რომ “საბოლოოდ გაურკვეველია, გუშაგთა საბჭოს გადაწყვეტილება დამაკმაყოფილებელი იქნება თუ არა.” ეს განცხადება ხათამიმ მინისტრთა კაბინეტთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. “თუ ერთი პიროვნება მაინც უსამართლოდ იქნება დისკვალიფიცირებული, მე ამას ვერ შევეგუები,” - აღნიშნა მან.

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველი, დაახლოებით, 8000 კანდიდატიდან 2000-ზე მეტი გუშაგთა საბჭოს მიერ დისკვალიფიცირებულ იქნა. გუშაგთა საბჭოს კონსერვატორები აკონტროლებენ. საბჭოს ევალება, პარლამენტის მუშაობის ისლამურ კანონებთან შესაბამისობა უზრუნველყოს. მას, აგრეთვე, უფლება აქვს, რომ დეპუტატობის ნებისმიერ კანდიდატს არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალოს.

ხათამის განცხადებით, დისკვალიფიცირებული დეპუტატებიდან არჩევნებში მონაწილეობის ნება მხოლოდ 500-ს დართეს.

“გუშაგთა საბჭოსთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ვიმედოვნებ, რომ შედეგს მივაღწევთ,” - თქვა ხათამიმ.

გუშაგთა საბჭოს წარმომადგენელმა “როიტერის” კორესპონდენტს განუცხადა, რომ “თითოეული [დისკვალიფიცირებული დეპუტატის] საქმეს განიხილავენ.”

ორი დღის წინ პარლამენტის სპიკერმა მეჰდი ქარუბიმ განაცხადა, რომ კვირის ბოლოსთვის გამოსავალი მოიძებნება. ქარუბიმ აღნიშნული განცხადება ორშაბათს ღამით კონსერვატორი და რეფორმატორი მაღალჩინოსნების შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

თუმცა, იმ პარლამენტარებს, რომლებიც პარლამენტის შიგნით, დაახლოებით, სამი კვირის განმავლობაში მჯდომარე აქციას აწყობენ, ეჭვი ეპარებათ, რომ გუშაგთა საბჭო დისკვალიფიცირებული პოლიტიკოსების დიდ უმრავლესობას არჩევნებში მონაწილეობის ნებას დართავს და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს.

რეფორმატორი პარლამენტარების განცხადებით, გუშაგთა საბჭო ცდილობს, რომ კონსერვატორებს პარლამენტის გაკონტროლების საშუალება მისცეს.

გუშინ ხათამიმ ხაზგასმით უარყო მოსაზრება, თითქოს იგი გადადგომას აპირებს. “მე მოვედი და ბოლომდე დავრჩები აქ,” - თქვა მან. ხათამის პრეზიდენტობის მეორე ვადა 2005 წლის მაისში ეწურება. მან დაადასტურა, რომ ათეულობით მაღალი თანამდებობის პირმა გადადგომის მოთხოვნით მიმართა, მათ შორის - მინისტრებმაც. თუმცა, პრეზიდენტმა ისინი არ გაათავისუფლა.

“გეუბნებით, რომ მე და ჩემი მთავრობა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს ჩავატარებთ. მთელი ჩემი ძალისხმევა ამისკენ არის მიმართული და ვიმედოვნებ, რომ ეს ასეც მოხდება.”

ჯერჯერობით, რეფორმატორთა მხარდასაჭერად ხალხი ქუჩაში არ გამოსულა. თუმცა, ბოლო დღეების განმავლობაში სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებები ცხადყოფს, რომ მალე მოსალოდნელია სტუდენტთა გამოსვლების დაწყება. ეს კი კონსერვატორების გარკვეულ დათმობებზე დასაყოლიებლად შეიძლება რეფორმატორთა ხელში სერიოზული არგუმენტი აღმოჩნდეს.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე

სტრასბურგი, 2004 წლის 28 იანვარი

ბატონო პრეზიდენტო, ჩემთვის დიდი პატივია, მოგმართოთ სიტყვით აქ შეკრებილ მაღალ საზოგადოებას. ამ დარბაზში ბევრ ჩემს მეგობარს ვხედავ და მინდა, მათ მადლობა ვუთხრა საქართველოს მხადაჭერისთვის ამ ბოლო პერიოდში. დარწმუნებული ვარ, რომ ევროკავშირის გაფართოების მიუხედავად, ევროგაერთიანებას მაინც შენარჩუნებული აქვს დიდი ფუნქციები, იმიტომ, რომ ის აერთიანებს არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ "მარშალის პაქტის" ქვეყნებსაც. მე კმაყოფილი ვარ და მადლობელი თქვენი. თუ ადრე ჩემი ადგილი იყო იმ ტრიბუნასთან პრეზიდიუმში, ახლა უკვე ამ ტრიბუნასთან ვდგევარ და ჩემთვის დიდი პატივია წარმოვადგინო ჩემი ქვეყანა. მსურს დაგარწმუნოთ, რომ თქვენი მხარდაჭერა ფუჭი არ ყოფილა, რამდენადაც საქართველოსთვის დღეს ახალი ერის დასაწყისია, რეფორმების, სტაბილურობის, მთელ მსოფლიოში და ევროპაში ჩვენს მეგობრებთან პარტნიორობის განმტკიცების ერისა. შემთხვევითი არ არის, რომ ჩემი პირველი ვიზიტით საზღვარგარეთ, საქართველოს პრეზიდენტის რანგში, სწორედ სტრასბურგს, ევროპის ცენტრს ვეწვიე.

2003 წლის ნოემბერში ქართველი ხალხი აღდგა მისი ფუნდამენტური უფლებების დასაცავად, რათა თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანაში ეცხოვრა, სადაც ხალხს გააჩნია ექსკლუზიური უფლებები, თავად აირჩიოს თავისი ლიდერები და თავად განსაზღვროს თავისი მომავალი. ეს მშვიდობიანი ვარდების რევოლუცია არ ყოფილა საქართველოს ეკონომიკური ან პოლიტიკური სტაგნაციით ინსპირირებული, არც ქვეყანაში მძვინვარე კორუფციით იყო გამოწვეული. ვარდების რევოლუცია - ეს იყო ევროპული ფასეულობების და ლიბერალური დემოკრატიის პირდაპირი მანიფესტაცია, ფასეულობების, რომელიც საქართველოს თვითმყოფადობისა და კულტურის საფუძველს წარმოადგენს, ფასეულობის, რაც ჩვეულია და გაზიარებულია თითოეული ქართველის მიერ. მშვიდობიანმა ვარდების რევოლუციამ შეტყობინება გაუგზავნა მსოფლიოს, რომ ქართველებს სურთ, ააშენონ და იცხოვრონ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და სტაბილურ სახელმწიფოში, სადაც პატივს სცემენ, იცავენ და აფასებენ ადამიანის უფლებებს. უფრო მეტიც, ჩვენ - ქართველებმა მსოფლიოს დავანახეთ ჩვენი სიმამაცე და მიზანსწრაფულობა, რაც ასე აუცილებელია ამ ფუნდამენტური უფლებების დასაცავად და ეს ყველაფერი განხორციელდა ცივილიზებული ფორმით, მაშინ, როცა ჩვენ ყველანი დიდი საფრთხის წინაშე ვიდექით. მე მჯერა, რომ ქართული რევოლუცია იქცევა მოდელად მთელი რეგიონისთვის და გახდება კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს როგორ შესწევთ უნარი, დემოკრატიული და მშვიდობიანი ცვლილებები გაატარონ. წარმატება საქართველოში ნიშნავს წარმატებას მთელს რეგიონში. თუმცა, თუ საქართველო წააგებს, ეს იქნება მარცხი მთელი რეგიონისთვის. თუნდაც ამ მიზეზით, ჩვენ დღეს უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რათა უკვე ხვალ მთელი რეგიონის ბედი შევცვალოთ. დღეს მე უზომოდ ამაყი ვარ ჩემი ხალხით, ხალხით, რომელმაც დიდი ნდობის მანდატით აღმჭურვა, რათა საქართველო მის დამსახურებულ ადგილას დავაბრუნო, როგორც პასუხისმგებელი წევრი დემოკრატიული ევროპის ქვეყნების თანამეგობრობისა.

დავოსიდან დაბრუნების შემდეგ, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლობალიზაციის ძალამ და იმ სისწრაფემ, რომლითაც ინფორმაცია მთელს მსოფლიოში ვრცელდება, რასაც მოვლენების განვითარებასა და მათ შედეგებზე უდიდესი გავლენა გააჩნია. ვარდების რევოლუცია არა მხოლოდ ტრანსლირებული იყო პირდაპირ ეთერში მთელი მსოფლიოს დასანახად, არამედ, შესაძლოა ეს რევოლუცია წარმატებით არც დასრულებულიყო, რომ არ არსებულიყო ჩვეულებრივი მობილური ტელეფონები. სწორედ ამ კუთხით, დავოსის გამოცდილება მართლაც გლობალურ გადმოსახედს წარმოადგენს გლობალური პერსპექტივებით. ამ საკითხებზე საუბრისას, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მსგავს მცირე ქვეყნებს მართლაც წაადგებათ გლობალიზაცია, ის ჩვენ იმ სპეციალურ საშუალებებს მოგვცემს, რომლებიც ჩვენთვის სხვა მხრივ ხელმისაწვდომი არ იქნებოდა. ამასთან, გლობალიზაცია საკმაოდ ეკლიანი თემაა, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ჩვენს კულტურულ თვითმყოფადობას, ეს ის ფენომენია, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ უნარი, ვიაზროვნოთ გლობალურად და ვიმოქმედოთ ადგილობრივი იდეებით, რათა დღევანდელი მსოფლიოსგან ყველაფერი საუკეთესო ავიღოთ, ჩვენი საკუთარი თვითმყოფადობის და რეალობის დაუკარგავად. ამ თემაზე საუბრისას ჩემთვის და ყველა ქართველისთვის ნათელია, რომ ჩვენი თვითმყოფადობა ფუნდამენტურად ევროპულია. დღეს საქართველო საბოლოოდ დგას შინისკენ მიმავალ გზაზე, კიდევ ერთხელ ახდენს რა ევროპასთან ინტეგრირებას, რომელთან ერთადაც საქართველო იზიარებს საერთო ფასეულობებს და საერთო ისტორიას.

მართლაც, სამიოდე დღის წინ, ჩემი ინაუგურაციის დღეს, საქართველოს ახალი სახელმწიფო დროშის აღმართვის შემდეგ, ჩვენ ევროკავშირის დროშაც აღვმართეთ და ევროკავშირის ჰიმნიც შესრულდა. აქ პიართან ნამდვილად არ გვაქვს საქმე. ეს გახლდათ გამოხატულება იმისა, რაც ყველა ქართველს ესმის, რომ საქართველოს და მთელ ევროპას საერთო ისტორია აქვს. ამ კავშირის განსამტკიცებლად, ევროპას მეტის გაკეთება სჭირდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მომავალი თაობების კეთილდღეობა და სტაბილურობა, რადგან, საქართველოს როგორც შესწევს ძალა, წამყვანი როლი ითამაშოს ევროპის კეთილდღეობის და სტაბილურობის საქმეში, მას ასევე არასტაბილურობის წყაროდ ქცევის საშიშროებაც დაემუქრება, თუკი საქართველო ევროპის გარეთ აღმოჩნდება მიტოვებული.

ჩემი ხედვა საქართველოს როლისა ევროპაში – ეს არის პარტნიორი, მოკავშირე და ევროპის წევრი. ჩვენი ერთადერთი ამბიცია დღეს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრად გახდომაა. ჩემი აზრით, ვარდების რევოლუციამ ნათლად აჩვენა არა მხოლოდ ის, თუ ვინ არიან ქართველები, არამედ ისიც, რომ ჩვენ მზად ვართ პირველი გაბედული ნაბიჯის გადასადგმელად. დღეს მე თხოვნით მოგმართავთ, შემდეგი ნაბიჯი ერთად გადავდგათ და ვცნოთ საქართველოს წევრობა უფრო ფართო ევროპის ფარგლებში. მე ვესაუბრე ბატონ სოლანას და ბატონ პროდის თბილისში, ჩვენ გვექნება საუბარი ბრიუსელში და ამ თემებს მომავალშიც დაწვრილებით შევეხებით. ჩემი ხელმძღვანელობით, საქართველო გარდაიქმნება ერად, რომელიც ცნობილი იქნება ინვესტიციების ჩადებით ადამიანების განათლებაში, გახდება კონკურენტუნარიანი მთელ მსოფლიოში; იგი იქნება გლობალიზაციის პროცესის თანამონაწილე. ჩვენ ვართ ევროპელები და გვაქვს ჩვენთვის განკუთვნილი სპეციალური ადგილი ევროპაში. ჩვენი ქვეყანა გააძლიერებს დემოკრატიას, რაც შექმნის მოდელს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მთელ რეგიონში. საქართველო უნდა იქცეს ასპარეზად ეფექტური და პასუხისმგებელი მთავრობისთვის, სადაც მოუსმენენ და გაითვალისწინებენ თითოეული ქართველის ხმას; სადაც დაიცავენ ადამიანის უფლებებს; საქართველო გახდება გაერთიანებული და შეკავშირებული ერი, რომელიც მაქსიმალურად გამოიყენებს თავის გეოსტრატეგიულ მდებარეობას, დაიწყებს რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებას, ხელს შეუწყობს ევროპის უსაფრთხოებას, დიდ ყურადღებას დაუთმობს კულტურათა გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის კულტურის თავისებურებას. საქართველოს სახელმწიფო იქნება მოკავშირე ყველა მისი მეგობარი მეზობლისთვის.

სტრასბურგი, 2004 წლის 28 იანვარი.

არის მოსაზრება, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ან პროამერიკული, ან პრორუსული. მას შემდეგ, რაც მე გავხდი საქართველოს პრეზიდენტი, პრესაში, განსაკუთრებით რუსულ პრესაში, გაჩნდა პუბლიკაციები - შეხედეთ, საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, რომელიც პროამერიკულად არის განწყობილი. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მე განათლება აშშ-ში მაქვს მიღებული. ჯერ არასოდეს მითქვამს და ახლა ვიტყვი, რომ ასეც ამბობენ - შეხედეთ, მას ჰოლანდიელი მეუღლე ჰყავს და, ფაქტობრივად, ის არის ევროპული ორიენტაციის პიროვნება. მე ძალიან მიყვარს რუსული კულტურა და რუსი ხალხი, ძალიან მიყვარს პეტერბურგი. მაგრამ, რა დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ აქედან? მე არ მინდა დავკარგო კარგი ურთიერთობა რუსეთთან. მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ არ ვიყო არც პროამერიკული და არც პრორუსული, მე ვარ პროქართული და ამავე დროს ვარ ევროპელი და ამით ვამაყობ.

ნათელია ასევე, რომ ჩვენთვის აუცილებელია არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის წარმართვა, არამედ - ბრძოლა კორუფციასთან. რაც გავაკეთეთ, დამოუკიდებლობის არსებობის რამდენიმე წელიწადში, არსაკმარისია. ჩემი წინამორბედის გამო, მოხდა ისე, რომ ძალიან ბევრი კორუმპირებული მოხელე მოხვდა მთავრობაში. ჩვენ რამდენიმე ასეთი კორუმპირებული ადამიანი დავაპატიმრეთ. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შური ვიძიეთ წინა მთავრობაზე ან მის ცალკეულ წარმომადგენლებზე. გვსურს, მოქალაქეებს ვუჩვენოთ, რომ კანონის დარღვევისთვის ყველა დაისჯება. ჩვენი მიზანია, აღმოვფხვრათ კორუფციის სისტემა და მოვაცილოთ ის ხალხი, რომელიც დისკრედიტაციას უწევს მთელ სახელმწიფოს. საქართველოში ძალიან კარგი კანონები გვაქვს, ძალიან ბევრი მათგანი ევროსაბჭოს დახმარებითაა შექმნილი, მაგრამ არც ერთი არასოდეს გატარებულა რეალობაში, რადგან გარკვეული ინტერესების მქონე ჯგუფებს ეს ხელს არ აძლევდა. ახლა ვცდილობთ, შევზღუდოთ ასეთი ჯგუფები და, იმავდროულად, გავზარდოთ ადამიანთა ხელფასები, გავატაროთ ფუნდამენტური რეფორმები, რომელიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის. უნდა ვთქვა, რომ ჩვენ მხარს გვიჭერს ჩვენი ხალხი, რომელიც გვერდში გვიდგას. ამავე დროს, ჩვენ გვყავს ხალხი, რომელსაც ძალიან ბევრი ფული აქვს, გვაქვს საერთაშორისო კავშირები, სხვა რესურსები და გადავწყვიტეთ, რომ ის შესაძლებლობები, რომელიც არსებობს კორუმპირებული ხალხისთვის, შევამციროთ და მათ არ მივცეთ საშუალება კორუფციის განვითარებისათვის. ამავე დროს, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვსარგებლობთ ჩვენი ფუნდამენტური იურიდიული ბაზით. ძალიან კარგი იურიდიული საკანონმდებლო ბაზა გვაქვს საქართველოში, ეს ქართველი ხალხის დამსახურებაა.

უნდა შევქმნათ უფრო მოქნილი საგადასახადო პოლიტიკა, რაც დაეხმარება კერძო ინდივიდებს, გაიუმჯობესონ მდგომარეობა. გარდა ამისა, ეს დაემატება ჩვენს გეოპოლიტიკურ მდებარეობას და ხელსაყრელ მდგომარეობას შექმნის ქვეყანაში.

ჩვენ გვინდა, მშვიდობიანად გადავწყვიტოთ შიდა კონფლიქტები, ეს ეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. მინდა აღვნიშნო, რომ სიღარიბე ჩვენი ქვეყნის სირცხვილია. ეს გამოწვეულია არასწორი მართვითა და კორუფციით. უნდა გამოვიყენოთ ოლიგარქების ტიპის ბიზნესმენები, რომელთაც საქართველოში რაღაცის შეცვლა შეუძლიათ. არიან ადამიანები, რომლებიც გვეუბნებიან, თქვენ არ უნდა აიღოთ ასეთი ხალხისგან ფული, თქვენ მათ საქმიანობაში ხელი არ უნდა შეუწყოთო. ხალხს უნდა, რომ ქვეყანაში ვითარება შეიცვალოს, გვინდა, რომ საქართველოში შემოვუშვათ საერთაშორისო ბაზარი, თავისუფალი გავხადოთ ჩვენი ეკონომიკა.

ჩვენ ვცდილობთ, რეფორმები გავატაროთ ჩვენს მთავრობაში, ადგილობრივი მმართველობის სისტემებში. ამავე დროს, ვცდილობთ, დავუბრუნდეთ ჩვენს ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან. საქართველოს ძალიან კარგი და დიდი ხნის ურთიერთობა აქვს აშშ-სთან. აშშ-მ იმაზე მეტი დახმარება გაგვიწია, ვიდრე ველოდით. განსაკუთრებით დაგვეხმარა მთელი მსოფლიო, რასაც ვერასოდეს დავივიწყებთ. ასევე, ურთიერთობები და პარტნიორობა გვქონდა რუსეთთან. ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციამ ნეგატიური როლი შეასრულა საქართველოში, განსაკუთრებით - დამოუკიდებლობის პირველ წლებში. გავიხსენოთ აფხაზეთი. ეს არ იყო სეპარატისტული მოძრაობა. ეს იყო რუსეთის ჩარევა და მცდელობა, დაესაჯა საქართველო დამოუკიდებლობისკენ სწრაფვისთვის. ამის შედეგად მივიღეთ რუსეთის სამშვიდობო ჯარების შემოსვლა აფხაზეთში. მაგრამ ეს არ იყო სამშვიდობო ჯარები, არამედ ეს იყო ჯარები, რომლებიც იმპერიას უჭერდნენ მხარს. მათ სულაც არ ჰქონდათ სურვილი, რომ რეგიონში სიმშვიდე შემოეტანათ. ვხედავ, რომ ეს ტენდენცია ნელ-ნელა იცვლება; ეს არის რუსეთის ხელისუფლების და მთავრობის დამსახურება; ეს არის ახალი მიდგომა საქართველოსადმი. რუსეთიდან განსხვავებული ხმები მოდის. ჩვენ ძალიან პატარა ქვეყანა ვართ, ძალიან რთული გეოპოლიტიკური მდებარეობა გვაქვს და ვცდილობთ, გადავრჩეთ. თანახმა ვარ, გავაუმჯობესოთ ურთიერთობები რუსეთთან, ვიმეგობროთ რუსეთთან და პრეზიდენტ პუტინს ხელი ჩამოვართვა, როდესაც მას რუსეთში ვეწვევი. ეს სტრატეგია რთულია. რუსეთს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია ის საერთაშორისო ვალდებულება, რომელიც საქართველოდან ჯარების გაყვანას ეხება. მე მესმის მათი; არ უნდა დავივიწყოთ ის ვითარებაც, რაც რეგიონშია შექმნილი. კიდევ ერთხელ მინდა გამოვთქვა ჩემი მზადყოფნა და ღრმა პატივისცემა. ვფიქრობ, რომ ჩემი გეგმები შესრულდება.

რა თქმა უნდა, გარდა ჩამოთვლილისა, ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს და ეს პრობლემები საკმაოდ რთულია. არავინ ელოდა, რომ ეს რევოლუცია უსისხლოდ ჩაივლიდა. გახსოვთ, ალბათ, ეს რევოლუცია ძალიან ბევრი ტელევიზიის მიერ გადაიცა. არავის სჯეროდა, რომ რევოლუცია პოლიციისა და ჯარების ჩარევის გარეშე ჩაივლიდა. ჩვენ ყველა მონაწილეს მოვუწოდებდით, დამორჩილებოდნენ კანონს. ჩვენმა მოწოდებამ გაამართლა და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ჩვენ მოვახერხეთ, გადაგვეტანა გარდამავალი პერიოდი. ფაქტობრივად, არც ერთ ქვეყანას ასეთი გარდამავალი პერიოდი საშუალებას არ აძლევს, ისწავლოს, როგორ უნდა გაუმკლავდნენ იმ პრობლემებსა და კონფლიქტებს, რომელიც მათ აქვთ. ეს ყველაფერი დამოკიდებულია მთავრობისა და ხელისუფლების რეფორმირებაზე. ქართველებმა იციან, თუ რა უნდა გაკეთდეს. ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერი ძალიან ორგანიზებულად უნდა გაკეთდეს და ამისთვის ხალხის თანადგომა გვესაჭიროება. ეს ყველაფერი სტაბილურ პროცესში უნდა წარიმართოს და დემოკრატიული პრინციპები უნდა გავატაროთ.

ჩემს პრეზიდენტობას ვუძღვნი ქართველ ხალხს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც იღვწოდა და თავი შესწირა ჩვენს თავისუფლებას და საქართველოს მომავალ თაობას, რომელმაც უნდა შექმნას საქართველოს მომავალი.

დღეს მე თქვენს წინაშე ვდგავარ და წარმოვადგენ მტკიცე და ურყევ გადაწყვეტილებას ქართველებისა, რომ საქართველო ვაქციოთ ევროპის სრულფასოვან წევრად. ეს არ არის მხოლოდ იმ ქართველების ოცნება, რომლებიც დღეს ცხოვრობენ საქართველოში, არამედ მათი ოცნებაცაა, ვინც საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება და ოცნებაა იმ ქართველებისაც, ვინც დღეს მე თან ჩამომყვა. მინდა მოვუწოდო საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს, დაბრუნდნენ საქართველოში და დაგვეხმარონ, შევქმნათ კარგი გარემო ქვეყანაში. მე მინდა, ეს ყველაფერი გავაკეთო ჩვენი ევროპელი მეგობარი ქვეყნების დახმარებით, ერთად მუშაობის წყალობით. დარწმუნებული ვარ, ჩვენი პარტნიორობა არა მხოლოდ გაღრმავდება, არამედ წარმატებასაც მივაღწევთ.

დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

შეკითხვები და პასუხები

ტერი დევისი: **ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა თქვენი აქ ყოფნა. მინდა მოგილოცოთ თქვენი პროგრამის და პრიორიტეტების წარმოდგენა, რომელიც კორუფციას შეეხება. როგორ აპირებთ მის განხორციელებას?**

მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ ძალიან ვაფასებთ თქვენს დახმარებას კანონმდებლობის შექმნაში, რომელიც ეხებოდა ფულის გათეთრებას. ჩვენ ზუსტად განსაზღვრული მიზნები და გეგმები გვაქვს, რომელიც უნდა განხორციელდეს. ეს არის არა მარტო ხალხის დაპატიმრება, არამედ - სისტემის მოსპობა, კორუმპირებულთათვის ქონების ჩამორთმევა. მიზანი არის ის, რომ ყოფილ კორუმპირებულ მოხელეებს, რომელთაც ძალიან დიდი კავშირები აქვთ, ჩამოვართვათ ის ქონება, რომელიც მათ აქვთ დარჩენილი, ეს არ არის მათი მარტო სასამართლო წესით დევნა და დასჯა. ჩვენი მიზანია დავიცვათ დემოკრატიული პრინციპები, ვინაიდან დემოკრატია არის კანონების გატარება. ის ოლიგარქული სისტემა, რომელიც, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მივიღეთ, უნდა შევცვალოთ. ამ სისტემის გამო ხალხი, ჩვეულებრივი მოსახლეობა, ვერაფერს ვერ იღებს. ძალიან ბევრი ქართველი იძულებით გასულია საქართველოდან. ყველა ქართველის სურვილია შეცვალონ არსებული ვითარება. მათ სჯერათ, რომ ეს შესაძლებელია. მთელი სისტემა კორუმპირებულია. ფაქტობრივად, ჩვენი ძირითადი მიზანია შევცვალოთ ეს სისტემა. პრიორიტეტული პოლიტიკური საკითხი ზუსტად ეს არის. ჩვენ მადლობას ვუხდით გენერალურ მდივანს, რომ მან მხარი დაგვიჭირა, არა - პირადად მე, არამედ ჩვენს ბრძოლას კორუფციასთან. იმედი მაქვს, რომ ეს ბრძოლა მომავალშიც გაგრძელდება და არ შეწყდება.

მისტერ ფანდომელი: **ფაქტობრივად, კითხვის დასმა არ მინდა, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ყოფილ კოლეგას. ის იყო ერთ-ერთი ჩვენთაგანი და ძალიან ვამაყობ მისი გამოსვლით ჩვენს წინაშე. მან წარმოადგინა ძალიან კარგი პროგრამა და თქვა, რომ დიდი პასუხისმგებლობა გააჩნია. მინდა მივულოცო ბატონ სააკაშვილს და ვუსურვო წარმატებები მომავალში.**

დან ჰოქსი: **ჩემთვის დიდი პატივი იყო თქვენი გამოსვლის მოსმენა. ვხედავ, რომ თქვენი ძირითადი პრიორიტეტები არის რეფორმების გატარება საქართველოში. მე მინდა ვთქვა, რომ ეს რეფორმები არ გატარდება ხალხის მხარდაჭერის გარეშე და ეს ასეც უნდა მოხდეს.**

მიხეილ სააკაშვილი: დიდი მადლობა. მე ვაპირებ, შევცვალო ჩვენი პოლიტიკა და ამ ხალხს გავუზარდო ხელფასები. ჩვენ ვცდილობთ, გავზარდოთ სასამართლო უწყების და პოლიციის, საგამომძიებლო ორგანოების თანამშრომელთა ხელფასები. ფაქტობრივად, ეს ხალხი არის სუფთა, კორუფციაში არ არის გასვრილი. ამ ადამიანებს ყველაფრისადმი ჩემი მსგავსი მიდგომა აქვთ. მინდა, გთხოვოთ ყველას, მოუწოდოთ თქვენს ორგანიზაციებს, მხარი დაგვიჭირონ, იმუშაონ ჩვენს პროკურატურასთან, ჩვენს გამომძიებლებთან, ჩვენს სასამართლო უწყებასთან. ჩვენ ძალიან დიდ მადლობას გიხდით დახმარებისთვის. ჩვენ ახლა ვასწავლით ჩვენს ხალხს, როგორ უნდა იმუშაონ დემოკრატიულ გარემოში, როგორ ალმოფხვრან კორუფცია ქვეყანაში. მინდა, ვთქვა, რომ საგზაო პოლიცია შეიცვალა და წინა ხელისუფლების პირობებში მუშაობისგან განსხვავებით, ახლა უფრო ეფექტურად მუშაობს. ეს არის ძალიან მცირე მაგალითები. ფაქტობრივად, ვცდილობთ, დავაკავოთ დამნაშავენი და თანამშრომლებს ხელფასი გავუზარდოთ. ვფიქრობთ, რომ შევცვლით ჩვენს სისტემას. ეს არის არა მოკლევადიანი პროგრამა, არამედ ეს არის გრძელვადიანი პროგრამა. ვიმედოვნებთ, რომ ყველა თქვენთაგანი დაგვეხმარება.

ჰერგენი: **დიდი მადლობა, პირველ რიგში, თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, შესანიშნავი გამოსვლისთვის. ჩემი შეკითხვა შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმას. ხომ არ განმარტავთ ამ რეფორმას და რამდენად იქნებიან მასში ჩართული საერთაშორისო ექსპერტები.**

მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ კანონპროექტი გადავეცით კომისიას. ვაპირებთ მინისტრთა კაბინეტის შექმნას და ჩემი მოვალეობების ახლებურად განსაზღვრას. გვინდა, ავირჩიოთ სამთავრობო სტრუქტურების ჩამოყალიბების ევროპული გზა და იგი საქართველოს სისტემას მოვარგოთ. ადვილი არ არის ამაზე საუბარი. ჩვენ ვცდილობთ, პრაქტიკულად განვახორციელოთ თქვენი, საერთაშორისო ექსპერტთა რჩევები და ახალი სამთავრობო მექანიზმი ჩამოვაყალიბოთ. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ბევრი დრო, რადგან სწრაფად უნდა წავიდეთ წინ, ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი.

გაგრძელება A7 გვერდზე

შეკითხვები და პასუხები

A6 გვერდიდან

შარანდინი: **ბატონო პრეზიდენტო, როგორც იცით, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ბათილად გამოცხადდა. 2004 წელს საერთაშორისო დამკვირვებლებმა დაასკვნეს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები სამართლიანი იყო. რამდენად მზად ხართ მარტის საპარლამენტო არჩევნებისთვის?**

მიხეილ სააკაშვილი: ნოემბერის საპრალამენტო არჩევნები, რომელიც ექს-პრეზიდენტმა ჩაატარა, წარიმართა დარღვევებით, რადგან ძალიან ბევრ ადამიანს წაერთვა ხმის მიცემის უფლება. ეს დაადასტურეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა. ფაქტობრივად, ჩვენ ძალიან ბევრი რამ შევცვალეთ. ჩვენ მივეცით საშუალება ხალხს, ხელახლა გაევლოთ რეგისტრაცია. 10 წლის წინათ, როცა საქართველოს მოსახლეობა დღევანდელთან შედარებით დიდი იყო, ძალიან ბევრმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. ახლა ჩატარებულ არჩევნებში მოსახლეობის 97 პროცენტმა დამიჭირა მხარი. შედეგების ლეგიტიმურობა ეჭვს არ იწვევს და მათი კორექტულობა ყველამ დაადასტურა. მაგრამ ჩვენ გვჭირდება ბაზა, უნდა გავიგოთ საქართველოში ამომრჩევლების ზუსტი რაოდენობა. საბჭოთა კავშირის დროს სხვა იყო, შემდეგ შეიცვალა და დღეს ჩვენ გვაქვს მიახლოებითი ციფრები, რომლებიც არ არის რეალური. ამიტომ გვინდა შევცვალოთ ყველაფერი. გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ მონიტორინგის ჯგუფს, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია ამ საქმეში.

ადა ფილიო: **დიდი მადლობა, ბატონო პრეზიდენტო. მიხარია, რომ გხედავთ აქ და ვისმენ საქართველოს წარმატების ამბებს. საქართველოში ძალიან საოცარი წინსვლა განხორციელდა, განსაკუთრებით ვარდების რევოლუციის წყალობით. მინდა თქვენს ქვეყანას წარმატებები ვისურვო. შეკითხვა ასეთია: რა გზით აპირებთ თქვენს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მოგვარებას?**

მიხეილ სააკაშვილი: დიდი მადლობა, მოხარული ვარ, რომ კვლავ გხედავთ. საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიული პრინციპების გატარება. პრინციპები აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ფაქტობრივიად, ძველი ღირებულებების გადაფასება მოხდა. უნდა შევცვალოთ ძალიან ბევრი რამ. მიღწეული წარმატებები უნდა შევინარჩუნოთ. აუცილებელია სისტემის შეცვლა. ადრე სხვანაირი ვითარება იყო, არ ხდებოდა პენსიების, ხელფასების გაცემა. ჩვენ უნდა დავიწყოთ დავალიანებების გაცემა. ვიზრუნებთ, რომ ქვეყანაში განხორცილდეს პოზიტიური ცვლილები. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ანტიკორუფციული ზომები. ამერიკის დახმარებით, ჩვენ გვსურს ქვეყანაში გამეფებულ კორუფციას ვებრძოლოთ. ასევე გაერო-ს აქვს სპეციალური პროგრამა, რომლის მიზანია, კორუფციასთან ბრძოლაში დაგვეხმაროს. ის ზომები, რომლებიც ჩვენ გავატარეთ, საკმაოდ რთულია. ადგილობრივი მთავრობა, რომელიც ხალხმა აირჩია, ცდილობს შეცვალოს ეს პოლიტიკა, განსაკუთრებით ვმუშაობთ დეცენტრალიზაციის საკითხებზე და ვზრუნავთ შეიარაღებულ ძალებზე. ეს ყველაფერი ეხება იმ ზომებს, რომლებიც შეცვლის ჩვენს ქვეყანას. ხალხში ძალიან დიდი უნდობლობა არსებობდა ხელისუფლებისადმი. ეს დაპირისპირება უნდა აღმოიფხვრას. ქვეყანაში უნდა დაინერგოს მთავრობისადმი ნდობა. ამან ხელი უნდა შეუწყოს ყველა პროცესის წარმატებით დასრულებას. ეს ცვლილებები ყველა ჩვენთაგანისთვის მნიშვნელოვანია. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს ხალხი. ხალხი არის ამ პროცესების მთავარი მონაწილე.

ელენე თევდორაძე: **მე ბედნიერი ვარ, რომ ევროსაბჭო დღეს უსმენს საქართველოს პრეზიდენტს. მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს ევროსაბჭო მიესალმება ჩემს პრეზიდენტს. მე კითხვა მასთან არ მაქვს, რადგან მან თავის გამოსვლაში ჩემს ყველა კითხვას უპასუხა. ბატონო პრეზიდენტო, მე ბედნიერი ვარ, რადგან თქვენ გამოსვლისას მრავალჯერ ახსენეთ ადამიანის უფლებები. მე თქვენს გვერდით ვარ და ჩვენ, ერთად, ამას აუცილებლად განვახორციელებთ. გმადლობთ.**

მიხეილ სააკაშვილი: ეს გახლავთ ქალბატონი თევდორაძე, რომელიც ჩემი მეგობარია. ამჯერად იგი ნაკლებად კრიტიკული იყო, ვიდრე საქართველოში არის ხოლმე. ეტყობა, ეს სტრასბურგის დამსახურებაა.

არმაზ ახვლედიანი: **ბატონო პრეზიდენტო, ნება მომეცით, მოგილოცოთ თქვენ და ჩვენს ქვეყანას ეს წარმატება. ეს სიმბოლურია, რომ ინაუგურაციის შემდეგ თქვენ ევროსაბჭოში მოგიწიათ გამოსვლა. მე მაინტერესებს, რა სახის დახმარება შეგვიძლია მივიღოთ ევროსაბჭოსგან იმ საკითხებში, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და რეგიონში დემოკრატიული პრინციპების გატარებას ეხება?**

მიხეილ სააკაშვილი: ევროსაბჭოს შეუძლია ძალიან დიდი როლი შეასრულოს კონფლიქტების გადაჭრაში. ეს არის ძირითადი დემოკრატიული ორგანო ევროპაში. ჩვენ ვცდილობთ, იყოს უფრო სწორი და კორექტული ჩარევა ამ საკითხების გადაჭრაში. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მე ჩავედი სამხრეთ ოსეთში, რომლის ტერიტორიის დიდი ნაწილი კონტროლდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ხოლო გარკვეული ნაწილი - თვითგამოცხადებული მთავრობის მიერ. მოხდა საოცრება, იქაურებმა გააჩერეს ჩემი მანქანა. გამიკვირდა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ეს ხალხი ძალიან თბილად დამხვდა. ეს იყო ცხინვალის ქუჩებში. მათ ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდნენ. ჩვენ გვქონდა ამ რეგიონთან ოფიციალური, ზედაპირული პრობლემები. ჩვენ გვჭირდება განვახორციელოთ უფრო აქტიური პოლიტიკა, დაველაპარაკოთ მათ და მოვახდინოთ კონსოლიდაცია. უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენ მათ დახოცვას კი არ ვაპირებთ, არამედ გვინდა მათთან მეგობრული ურთიერთობა და ჩვენ ყველანი ერთი ქვეყნის მოქალაქეები ვართ. უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიკური მდგომარეობა, პირადი თვალსაზრისები და ამასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტერესები. ეს არის ხალხი, რომელიც ცდილობს, შეცვალოს პოლიტიკური პროცესი და ამ ხალხს ძალიან დიდი პოტენცია აქვს სიტუაციაზე გადამწყვეტად იმოქმედონ.

ფლუცკი: **გილოცავთ პრეზიდენტად არჩევას. მაინტერესებს, რას იტყვით რუსეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე გავლით რკინიგზის აღდგენის შესახებ, როგორ აპირებთ ამის გაკეთებას?**

მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ დამოკიდებული ვართ ამ საკითხში რუსეთის კეთილგანწყობაზე. თუ რუსეთი შეცვლის თავის დამოკიდებულებას აფხაზეთთან დაკავშირებით, მაშინ ჩვენ განსხვავებული პოზიცია გვექნება, ეს კი თავის წვლილს შეიტანს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებაში. ძალიან ბევრი ასეთი პირი გვყავს და აფხაზეთი არის ძალიან გაღარიბებული რეგიონი, მას აღდგენა სჭირდება. რა თქმა უნდა, ჩვენ გვინდა, რომ აღვადგინოთ სატრანსპორტო მიმოსვლა და უფრო უკეთესი ურთიერთობა გვქონდეს ჩვენს მეგობრებთან. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ამ ხალხს, რომელთაც თავშესაფარიც კი არ აქვთ, ვუთხრათ, რომ მომავალში არანაირი შანსი არ გაქვთ და ჩვენ არაფერს არ შევცვლით და დაგტოვებთ ასეთ პირობებში. ჩვენ გვჭირდება მივაღწიოთ გარკვეულ პროგრესს, გარკვეულ გადაწყვეტილებებს. იმედი მაქვს რუსეთის მთავრობის მხარდაჭერისა. ჩვენ ეს საკითხები ერთად უნდა გადავწყვიტოთ. თუ ეს ასე მოხდება, ჩვენ წინ ვერაფერი დაგვიდგება. მე იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი ძალიან სწრაფად და მშვიდობიანად გადაწყდება.

აფშანი: **მინდა, მოგილოცოთ არჩევნებში გამარჯვება და მადლობა გადაგიხადოთ შესანიშნავი გამოსვლისთვის. ერთი კვირის წინ გავიგეთ, რომ პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის დროშა, რომ ახალი დროშა ისტორიული დროშაა და იგი მოდის იმ პერიოდიდან, როდესაც საქართველოში ოქროს ხანა იდგა. რა კომენტარს გააკეთებდით ამასთან დაკავშირებით?**

მიხეილ სააკაშვილი: ეს დროშა იყო ჩემი პარტიის დროშა და ამავე დროს იყო ქართველი ხალხის დროშა. ეს დროშა საქართველოში ყველას არჩევანია, მათ შორის მუსულმანებისაც. მე ამით ვამაყობ. ეს არ არის მხოლოდ ქრისტიანობის სიმბოლო, ეს არის ეროვნულობის სიმბოლო, რომელიც ჩვენი ისტორიიდან მოდის. ასეთი სიმბოლოები გამოიყენება სხვა ქვეყნის დროშებზეც, ეს ნორმალური, ჩვეულებრივი მოვლენაა და არავის არ აქვს რაიმე საწინააღმდეგო. ეს არის ჩვენი ძალაუფლება, ჩვენი სიმდიდრე. როდესაც ინაუგურაციაზე აღვმართეთ ეს დროშა, იქ იმყოფებოდნენ სხვადასხვა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები. ეს განასახიერებდა საქართველოს მოსახლეობის მრავალფეროვნებას. ეს დროშა არავითარ ეჭვს არ იწვევს. თუ გარეთ გაბრძანდებით, დაინახავთ, რომ იგი ძალიან ლამაზია. ჩვენ ვცდილობთ, შევუერთდეთ ევროპას, ფაქტობრივად, ვართ კიდეც ევროპის ნაწილი.

აკიში: **გილოცავთ ახალ თანამდებობას და წარმატებას გისურვებთ. თურქეთში დავინახეთ, რომ ვარდების რევოლუციამ და თქვენმა არჩევამ დაამტკიცა, თუ როგორ არიან მონდომებული ქართველები, დაამკვიდრონ დემოკრატიული პრინციპები. აქედან გამომდინარე, მინდოდა, კითხვა დამესვა, მაგრამ თქვენ, ფაქტობრივად, პასუხი უკვე გამეცით. რამდენად ხართ მონდომებული, რომ შეასრულოთ ის ვალდებულებები, რომელიც აღებული აქვს საქართველოს ევროსაბჭოს წინაშე?**

მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ ძალიან მონდომებულები ვართ, შევასრულოთ ეს ვალდებულებები. მაგრამ ისიც მინდა, ვთქვა, რომ ევროსაბჭომ ძალიან დიდი სამსახური გაგვიწია. აქ დაინახეს, რომ ეს არის ჩვენი არჩევანი. ამიტომ ჩვენ იმის კი არ გვეშინია, თუ რა სასჯელს მივიღებთ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, არამედ ჩვენ ვცდილობთ, დროულად შევასრულოთ ჩვენი ვალდებულებები.

მიხეილ სააკაშვილი პასუხობს დეპუტატთა შეკითხვებს.

მიხეილ სააკაშვილისა და ვალტერ შვიმერის შეხვედრა.

საწყობის ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **საწყობის ასისტენტი** თანამდებობის დასაკავებლად. **საწყობის ასისტენტი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:

უზრუნველყოფს სამუშაოების ყოველდღიურად დაუბრკოლებლად და საიმედოდ წარმოებას აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტის კუთვნილ საწყობში, რომელიც უმთავრესად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტს ემსახურება.

ფუნქციები და მოვალეობანი:

- კონკრეტულ მოვალეობებში შედის (არ შემოიფარგლება რა ამით):
- საწყობში დაცული ყველა სახის მასალების ზუსტად აღნუსხვა.
- საწყობში დაცული მასალების იმგვარი ორგანიზებისა და აღნიშვნის უზრუნველყოფა, რომ შესაძლებელი იყოს ყველა მასალის იოლად და სწრაფად გამოყენება.
- ყველა მასალის იმგვარად შენახვის უზრუნველყოფა, რომ გამოირიცხოს ერთი მასალის მეორე მასალით დაბინძურება.
- საწყობში მომუშავე ან შესული პერსონალისთვის პოტენციური საშიშროების შემცირება საწყობში არსებული ყველა საგნის საიმედოდ შენახვით.
- ყველა საგნის იმგვარად შენახვის უზრუნველყოფა, რაც გამორიცხავს ქურდობის შესაძლებლობას.
- პერსონალისთვის დახმარების გაწევა საწყობში მასალების ფიზიკურად შეტანასა და საწყობიდან გამოტანაში.
- საწყობში და საწყობიდან საქონლის ტრანსპორტირების სწრაფად და შეუფერხებლად განხორციელება.
- მოთხოვნის საფუძველზე ზოგიერთი საგნის ტრანსპორტირებისა და შესყიდვის მოვალეობა.
- საწყობში საერთო წესრიგის უზრუნველყოფა.
- სხვა მოვალეობანი საჭიროებისდა მიხედვით.

გამოცდილება და განათლება:

- სამუშაოზე აყვანილ პირს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარი და კვალიფიკაცია:
- საწყობის პრაქტიკული ორგანიზაციის ცოდნა.
- მიწოდების შესახებ დაკვეთებიდან შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების უნარი.
- ტექნიკური განათლების მქონეთ უპირატესობა ენიჭებათ.
- ინგლისური ენის ცოდნა - საშუალოზე მაღალი დონისა ან უკეთესი.
- მასალების მენეჯმენტის გამოცდილება უპირატესობად ჩაითვლება.
- კომპეტენტურობა მაიკროსოფტ ოფისის პროგრამებში.
- მაიკროსოფტ ექსელისა და აქსესის პროგრამების კარგი ცოდნა.
- მანქანის მართვის უფლების მოწმობა.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 11 თებერვალი, ოთხშაბათი.**

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
BP-საქართველო, საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38

საზოგადოება

"გარე მოვაჭრეებს ბაზრებში საკუთარი ფეხით შევიყვანთ"

აცხადებს ვიცე-პრემიერი

ნანა ქადაგიშვილი

თემურ მღებრიშვილის ხელკეტების ჩარევის შემდეგ, წერეთლის გამზირზე გარე მოვაჭრეების გუშინდელმა აქციამ მერიის შენობის წინ გადაინაცვლა. მერიის ცენტრალურ შესასვლელთან ატეხილი აურზაურის პარალელურად კი, თბილისის ვიცე-პრემიერი გიორგი კარბელაშვილი საპატიო თბილისელებსა და ბაზრების დირექტორებითან ერთად გარე ვაჭრობის პრობლემის მოგვარებაზე ბჭობდა. "ისე მოვიქცეთ, რომ გარე მოვაჭრეებს ბაზრებში შესვლა მოვანდომოთ," — გადაწყვიტეს საგანგებოდ მოწვეულ თათბირზე.

"ქალებს ხელკეტებით სცემდნენ, აგინებდნენ, ერთი ხნიერი ქალი საავადმყოფოში წაიყვანეს. ერთმა ახალგაზრდამ კი, რომელსაც მღებრიშვილი დაუნდობლად ურტყამდა, ახლახან მკვდარი შვილი გააჩინა;" "აქ დგომა არავის ეხალისება, საკუთარი თავი თვითონაც არ მომწონს, მაგრამ 4 იანვრის შემდეგ შვილი ტუბდისპანსერში მიწევს"; "რა ვუყო ჩემს ობლებს, დაგვაბრუნონ აფხაზეთში და თბილისკენ არც კი მოვიხედავ"; "2 წლის წინათაც ასე დაიწყეს ჩვენი აყრა, მაგრამ როცა სავაჭრო მოსაკრებელი, ლარის ნაცვლად, 2 ლარი გადავიხადეთ, თავი დაგვანებეს - ახლაც ასე იქნება," — ასეთი შინაარსის რეპლიკები მერიის შენობის წინ გუშინ გვიანობამდე ისმოდა. გარე მოვაჭრეთა გუშინდელი გამოსვლა გარე ვაჭრობის აკრძალვის შესახებ ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ გამოიწვია. თუმცა, როგორც კარბელაშვილი აცხადებს, მათ გარკვეული პოლიტიკური ძალებიც, მაგალითად, ლეიბორისტები აქეზებენ. თემურ მღებრიშვილი აქციაზე საიდან გაჩნდა, არავინ აკონკრეტებს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი ზურაბ ადამია ირწმუნება, რომ ამიერიდან მოვაჭრეებზე ძალას არავინ გამოიყენებს. **"მღებრიშვილი ვინ მოიწვია, ვერ გეტყვით. ასეთ სიტუაციაში პოლიცია თავისით მოდის-ხოლმე. თუმცა, გუშინ იქ პოლიცია რომ არ ყოფილიყო, ქუჩაზე არ გაგვატარებდნენ. თავიდან მღებრიშვილს ხელი არ გაუნძრევია, მაგრამ ქალები სახეში აფურთხებდნენ და რა ექნა. თუმცა, გარე მოვაჭრეებს ბარზებში ისე შევიყვანთ, რომ მათზე ძალას აღარავინ გამოიყენებს,"** — აცხადებს ადამია.

გარე მოვაჭრეები მერიასთან.

ქალაქის ხელმძღვანელობა გარე მოვაჭრეებს ქუჩაში ვაჭრობის ალტერნატივად ბაზრების თავისუფალ დახლებსა და სამი თვის განმავლობაში გადასახადისგან გათავისუფლებას ჰპირდება. **"მათ ქუჩაში კი არ ვტოვებთ, პირიქით, ქუჩიდან შიგნით შეგვყავს. ბაზრების დირექტორებს მოველაპარაკეთ და აღმოჩნდა, რომ ბაზრებში იმდენი თავისუფალი დახლია, ყველა გარე მოვაჭრეს დაიტევს. შიგნით ვაჭრობა აღარავის უნდა, რადგან გარე მოვაჭრეებმა კლიენტი წაართვეს, თანაც, გარეთ გადასახადი ბევრად ნაკლებია. ბაზრის დირექტორები იმასაც შეგვპირდნენ, რომ 3 თვის განმავლობაში გარე მოვაჭრეებს ვაჭრობის გადასახადს არ გადაახდევინებენ. ამის გარანტიას თბილისის მერია და საკრებულო იძლევა,"** — აცხადებს კარბელაშვილი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი კი გვარწმუნებს, - გარე მოვაჭრეებს საკუთარი ტელეფონის ნომერი მივეცი და ვუთხარი, - თუკი რომელიმე ბაზრის დირექტორი გადასახადს მოგთხოვთ, მაშინვე შემატყობინეთ-მეთქი.

გუშინდელ თათბირზე მიწვეულმა ბაზრის დირექტორებმა პირობა ჟურნალიტების წინაშეც დადეს, რომ 3 თვის განმავლობაში ახალმისულ მოვაჭრეებს გადასახადს არ გადაახდევინებენ. ოღონდ, საგადასახადო სამსახურთან საქმე თქვენ მოგვიგვარეთო, - სთხოვეს ვიცე-პრემიერს.

ასეთი შეთავაზების მიუხედავად, გარე მოვაჭრეებს ქუჩის დათმობა მაინც არ სურთ. ჩვენ ჩვენსავით გაჭირვებული კლიენტი გვყავს და ის ბაზარში არ შემოვაო, - შიშობენ. თუმცა, მერია და გამგეობები უკან დახევას არ აპირებენ. **"შაბათს, 12 საათზე ყველა შევიკრიბოთ, დეზერტირების ბაზარში მივიდეთ, ვნახოთ, რა სჭირდება და მერიის ხარჯებით გავარემონტოთ. ბაზრებში ისეთი მდგომარეობა შევქმნათ, რომ კლიენტიც და გარე მოვაჭრეც იქ საკუთარი ფეხით მივიდეს,"** — მოილაპარაკეს გუშინდელი თათბირის დამსწრეებმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ახალი გადაწყვეტილებები და ბოლო პერიოდის "ნადავლი"

პირველი გვერდიდან

შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები უახლოეს დღეებში მიიღებენ გადაწყვეტილებას და წინასწარი დაკავების იზოლატორის გადაბარება-ჩაბარების დოკუმენტს ხელს მოაწერენ.

რაში გამოიყენებს იუსტიციის მინისტრი შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში განთავსებულ იზოლატორს, გიორგი ბარამიძეს არ დაუკონკრეტებია, თუმცა, აღნიშნულ საკითხზე საუბრისას მინისტრი "კანონიერი ქურდების" დაუმორჩილებლობის თემას კიდევ ერთხელ შეეხო.

"იუსტიციის სამინისტროსთვის დღემდე მოუგვარებელი რჩება ე.წ. ავტორიტეტული კრიმინალების პრობლემა, რომლებიც გარე სამყაროსთან კავშირს და შავბნელი საქმეების კეთებას ციხიდანაც თავისუფლად ახერხებენ", - კონკრეტულად რას გულისხმობს ბარამიძის ამგვარი მინიშნება, ძნელი სათქმელია. თუმცა, ამ სიტყვებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, არ არის გამორიცხული, რომ "კანონიერი ქურდების" იზოლაციის ადგილი უახლოეს მომავალში სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა გახდეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ გუშინდელ ბრიფინგზე იმ "ძვირფას ნადავლზეც" ისაუბრა, რომლის "დაგროვებაც" პოლიციის თანამშრომლებმა ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში შეძლეს.

ბარამიძის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა-მოხმარების ბრალდებით, ცნობილი ავტორიტეტი თემურ დათუნაშვილი დააპატიმრეს.

"დათუნაშვილი კრიმინალური სამყაროს ჩვეულებრივი წარმომადგენელი არ არის. იგი გურიაში ხე-ტყის ბიზნესს აკონტროლებს და თბილისში რამდენიმე ბენზინგასამართი სადგური აქვს. ამასთან, ცნობილ ავტორიტეტს კავშირი აქვს გავლენიან თანამდებობის პირებთან, რომლებიც მას მფარველობენ", – განაცხადა შს საქმეთა მინისტრმა.

ბარამიძის განცხადებით, გასულ წელს ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით დაპატიმრებული დათუნაშვილი რამდენიმედღიანი პატიმრობის შემდეგ სწორედ გავლენიანი პირების დახმარებით გათავისუფლდა. ეს პიროვნება კი, არც მეტი არც ნაკლები, ყოფილი გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე ყოფილა.

"დათუნაშვილის გათავისუფლებით უამრავი მაღალჩინოსანი იყო დაინტერესებული. საბოლოოდ კი მისი გათავისუფლების ბრძანებას თავად ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა მოაწერა ხელი", - აღნიშნა გუშინდელ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა.

"კანონიერი ქურდების" დაუმორჩილებლობის თემა მოისპობა".

გოგიტა ბახაიძის ფოტო

დათუნაშვილის მსგავსად, ბოლო დღეების "ნადავლში" კიდევ რამდენიმე ე.წ. კანონიერი ქურდია: სამტრედიელი გენადი საჯაია, რომელსაც სახლში პისტოლეტის სისტემის იარაღი, ერთი მჭიდი და ხელყუმბარა აღმოუჩინეს და თბილისელი ნიკოლოზ ნინიძე, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერების განმეორებით მოხმარებისთვის დააკავეს.

მიმდინარე კვირა მინისტრისათვის აღსანიშნავია მანქანის გამტაცებელთა გამოვლენა-დაკავების კუთხითაც, მით უმეტეს, რომ აღნიშნულ დანაშაულში მხილებულნი თავად სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები არიან.

უშიშროების სამინისტროს სამორიგეო ნაწილის თანამშრომლები - გურამ გოგილაშვილი და პაატა ნადარეიშვილი პოლიციელებმა, სხვა კრიმინალებთან ერთად, "მერსედესის" მარკის მიკროავტობუსის გატაცებისთვის დააპატიმრეს. 23 იანვარს დაუდგენელმა პირებმა დავით ბერიძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და, იარაღის მუქარით, მიკროავტობუსი წაართვეს.

დაზარალებულის განცხადების საფუძველზე პოლიციამ მისი ტელეფონის მოსმენა დაიწყო და პირველად ირაკლი ნადარეიშვილი, მეტსახელად "გლახო" დააკავეს, რომელიც მინისტრის სიტყვებით რომ ვთქვათ, მძღოლს "ვაზვრატზე" ესაუბრებოდა. პირველი "მსხვერპლის" დაპატიმრების შემდეგ კი უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების გვარებიც გაირკვა, რომლებმაც დაკითხვისას მიკროავტობუსის გატაცების ადგილი თავად დაასახელეს.

პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიების შედეგად, გამოსასყიდი თანხის გადაცემის პროცესში დააკავეს გიორგი თვალაძე და სპარტაკ გოცირიძე, რომლებმაც ზურაბ მელაძეს რამდენიმე დღის წინ "BMW"-ს მარკის მანქანა მოპარეს.

ერთი სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრი დამნაშავეებთან შერიგებას არ აპირებს და უახლოეს მომავალში კრიმინალებისგან ქვეყნის გაწმენდას გვპირდება.

თურქული გემი იუსტიციის სამინისტროს და გენპროკურორის ყოფილი მოადგილის დაპირისპირების საგანი ხდება

იუსტიციის სამინისტრო გენერალური პროკურორის ყოფილ მოადგილეს ვენედი ბენიძეს მესაზღვრეების მიერ ფოთში დაკავებული თურქული გემის "ემმა"-სთვის ჯარიმის მოხსნაში ადანაშაულებს.

თამარ კაციტაძე

აღნიშნულ საკითხს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ გია გეწაძემ პრესკონფერენცია მიუძღვნა და გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე ბიუჯეტისთვის 250 ათასი ლარის დაკარგვაში ხელშემწყობად დაასახელა.

კორეული დროშის ქვეშ მოცურავე თურქული გემი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს საზღვრის უკანონო გადმოკვეთისათვის გასული წლის აგვისტოში დააკავეს და მის ეკიპაჟს ჯარიმის სახით 250 ათასი ლარის გადახდა დააკისრეს. აღნიშნული გადაწყვეტილება გემის კაპიტანმა ისმაილ დეზინმა ფოთის სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა სასამართლომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. იგივე სარჩელით გემის მეპატრონეებმა ქუთაისის საოლქო სასამართლოსაც მიმართეს, მაგრამ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომმა სასამართლომაც ძალაში დატოვა.

"ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს გემზე დაკისრებული ჯარიმა უნდა ამოეღო, რითაც ბიუჯეტს 250 ათასი ლარი შეემატებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ქვეყანაში მომხდარი რევოლუციით გარკვეულმა ძალებმა ისარგებლეს და თურქული გემი აუქციონზე გაყიდვას გადაარჩინეს", - განაცხადა იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ.

გია გეწაძის თქმით, მფლობელებისათვის გემის უპრობლემოდ დაბრუნება გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილის პროტესტის საფუძველზე მოხდა. გასული წლის დეკემბერში ვენედი ბენიძემ ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიმართა, სადაც აღნიშნულია, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ მოკვლეული მასალები არაზუსტი იყო. ყოველივე ამის შემდეგ ქუთაისის საოლქო სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილება გააუქმა და თურქული გემი ჯარიმისგან გაათავისუფლა.

იუსტიციის სამინისტრო ყოფილი გენპროკურორის მოადგილის წინააღმდეგ.

"პროტესტში, რომელიც გენერალური პროკურატურის მიერ ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ დაიწერა, საუბარი იყო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ მოკვლეული მასალების უზუსტობაზე. სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, არ გაეთვალისწინებინა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მოკვლევის სამსახურის ზედამხედველი ორგანოს - გენერალური პროკურატურის პროტესტი და ამიტომ „ემმას" ჯარიმა მოუხსნა", - განაცხადა ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა მამალაძემ და ამით თურქულ გემთან დაკავშირებით ყველანაირი პასუხისმგებლობა გენერალურ პროკურატურას დააკისრა. თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს თავად ვენედი ბენიძეს.

"თავის დროზე, "ემმა"-ს დაჯარიმების გამო, თურქულმა მხარემ გენერალურ პროკურატურას მიმართა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ მოკვლეული მასალების შესწავლა სთხოვა. ამისათვის შექმნილი იყო სპეციალური კომისიაც. წამყვანი სპეციალისტების მიერ დაწერილი დასკვნის მიხედვით, მოკვლეული მასალები არაზუსტი იყო. აქედან გამომდინარე, უკანონო იყო სასამართლო გადაწყვეტილებაც. ჩვენ ვალდებულები ვიყავით, დასკვნა ქუთაისის საოლქო სასამართლოში გადაგვეგზავნა. გაიზიარებდა თუ არა მართლმსაჯულება ამ დასკვნას, ეს მათი პრეროგატივაა. საბოლოოდ კი სასამართლომ პროკურატურის პროტესტი საფუძვლიანად მიიჩნია და გადაწყვეტილებაც მიიღო, რაც კანონიერ ძალაშია შესული. ასეთ შემთხვევაში ადამიანის დადანაშაულება არასერიოზულია", - ამბობს ვენედი ბენიძე.

როგორ დასრულდება თურქული გემის "ემმა"- ს გარშემო დაწყებული დავა, მომავალი გვიჩვენებს. არადა, როგორც გია გეწაძე გვპირდება, იგი არც იმ 250 ათასი ლარის დათმობას აპირებს, რაც გემს ჯარიმის სახით უნდა გადაეხადა და არც იმ პირების დანდობას ფიქრობს, რომლებმაც საქართველოს ბიუჯეტს აღნიშნული თანხა დააკარგვინა.

"მართალია, ჯარიმის ამოღების ვადები გასულია, მაგრამ მისი დაბრუნების მექანიზმი ისევ არსებობს. ჩვენ ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქმეში ახლად აღმოჩენილი გარემოებების მოტივით, უზენაეს სასამართლოში გავასაჩივრებთ. ხოლო თავად მოკვლევის მასალების კანონიერებას შესასწავლად გენერალურ პროკურატურას გადავცემთ და ყველა პიროვნებას გამოვააშკარავებთ, ვინც სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების გაუქმებას ხელი შეუწყო". – განაცხადა იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ.

არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარე აფხაზმა ბოევიკებმა გაიტაცეს

ხათუნა ჭანგირაშვილი

ჯერ კიდევ არაფერია ცნობილი გუშინწინ, საღამოს, სოფელ ორსანტიადან გატაცებული არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართველ და აფხაზ ხელოვანთა კავშირის" თავმჯდომარის დავით ბაძაღუას შესახებ.

სამართალდამცველების ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი აფხაზმა ბოევიკებმა გაიტაცეს და ის ამჟამად აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება. ქართველ სამართალდამცველთა ამ ინფორმაციას, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც კატეგორიულად უარყოფს აფხაზური მხარე. არადა, როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლები ირწმუნებიან, დავით ბაძაღუა ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილმა და რუსულ "კამუფლიაჟში" გამოწყობილმა ხუთმა ბოევიკმა გაიტაცა. ამის თქმის საფუძველს სამართალდამცველებს გატაცებისას დავით ბაძაღუასთან ერთად მყოფი მოწმის, არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართველ და აფხაზ ხელოვანთა კავშირის" წევრის თემურ ქორთუას ჩვენება აძლევს. ეს ის პიროვნება გახლავთ, რომელიც გალის ტერიტორიაზე, ბაძაღუასთან ერთად, გალში ფეხით გადავიდა, იქ სამი დღე გაჩერდა და გალში მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის, გატაცებულთან ერთად, აქცია გამართა.

საქმე ისაა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართველ ხელოვანთა კავშირმა" აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით მოაწყო ეს აქცია - დავით ბაძაღუამ და თემურ ქორთუამ გალში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს ქართული წიგნები დაურიგეს.

"არანაირი წინააღმდეგობა არ გვქონდა. აფხაზურმა მხარემ აქციის გამართვაზე თანხმობა განაცხადა. აქციამ მშვიდობიანად ჩაიარა. გალიდან ფეხით ვბრუნდებოდით ზუგდიდში, ზუგდიდიდან კი თბილისში უნდა გამოვმგზავრებულიყავით. სოფელ ორსანტიასთან ორი მანქანა გადაგვიდგა, გადმოვიდნენ შეიარაღებული და რუსულ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი აფხაზები. ავუხსენით, ვინც ვიყავით. ჩატრებული აქცია ვიდეოკამერით მქონდა გადაღებული. ვიდეოკამერა წამართვეს, დავით ბაძაღუას კი ჯერ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი იძულებით ჩასვეს მანქანაში და გალის ტერიტორიის მიმართულებით სასწრაფოდ გაუჩინარდნენ", - ასე იხსენებს მომხდარს გატაცების თვითმხილველი მოწმე.

"აფხაზურ მხარეს გატაცებულის სანაცვლოდ, ჯერჯერობით, არაფერი მოუთხოვია. რაც არ უნდა ამტკიცოს აფხაზურმა მხარემ, რომ ბოევიკების მიერ გატაცებული დავით ბაძაღუას შესახებ არაფერი იცის, ჩვენ მაინც დარწმუნებით ვაცხადებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის გატაცებული ლიდერი გალში ჰყავთ. მის საპოვნელად ყველა შესაბამისი სამსახური უკვე საქმეშია ჩართული. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ გატაცებული დავიბრუნოთ", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ზუგდიდის პოლიციის უფროსმა კახა რაფავამ.

როგორც მოგვიანებით "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, გუშინ, საღამოს, აფხაზურმა მხარემ ქართველებს ულტიმატუმი წაუყენა. აფხაზური კრიმინალური დაჯგუფება ბაძაღუას გაცვლას ითხოვს გუშინწინ, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში პოლიციის ქვეგანყოფილებაზე თავდასხმის დროს დაღუპულ თავდამსხმელთაგან ერთ-ერთში. შეგახსენებთ, პოლიციის ქვეგანყოფილებაზე მომხდარ თავდასხმას ხუთი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა. შვიდი მძიმედ დაიჭრა. თავდამსხმელთაგან მოკლულია ორი. დანარჩენებმა კი აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას შეაფარეს თავი. ცხედრები ამჟამად წალენჯიხის პროზექტურაშია. ერთ-ერთი ლიკვიდირებული გალის კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი დავით ბულესკირია აღმოჩნდა. მეორე ცხედარი ჯერ ამოუცნობია.

ორი სიტყვით

ახალციხე. გუშინ სამცხე-ჯავახეთის მხარის ახალციხის რეგიონალური ნარკოლიგიის ცენტრში ხუთი რაიონის - ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომისა და ახალქალაქის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის ბრძოლის ქვეგანყოფილებების უფროსებმა შემოწმება გაიარეს. შემოწმებაზე არ გამოცხადდა აღნიშნული სამსახურის ნინოწმინდის ქვეგანყოფილების უფროსი. ამ სახის ღონისძიება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პირველად ჩატარდა. რეგიონალური ნარკოლიგიის ცენტრის დირექტორის თამაზ კაჭკაჭაშვილის განცხადებით, გამოკვლევა ჩატარდა იმუნოხრონტესტით და პასუხებიც ხუთ წუთში გახდა ცნობილი. როგორც თამაზ კაჭკაჭიშვილი ამბობს, საქართველოში ყველაზე "სუფთა" რეგიონი სწორედ სამცხე-ჯავახეთი ყოფილა. არც ერთ უფროსს ნარკოტიკული ნივთიერების მიღების ფაქტი არ დაუდგინდა. ერთადერთი, რაზეც სამცხე-ჯავახეთის მხარის ახალციხის რეგიონალური ნარკოლოგიის ცენტრის უფროსი წუხილს გამოთქვამს, უფინანსობაა. იმუნოხრონტესტი, რომლითაც პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსებს კვლევა ჩაუტარდათ, 7 ლარი ღირს. თამაზ კაჭკაჭიშვილის განცხადებით, ამის საფასური პოლიციამ ცენტრს თავისი ხარჯებიდან, სტანდარტის შესაბამისად უნდა აუნაზღაუროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნარკოლოგიის ცენტრის დირექტორი უარს იტყვის შემოწმების მეორე ეტაპის ჩატარებაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. კახეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოსთან დააკავეს 18 ტონა კონტრაბანდული დიზელის საწვავით დატვირთული "კამაზის" მარკის სატვირთო ავტომანქანა. დაკავებულია ორი მსუბუქი ავტომანქანაც, რომელსაც ოთხ ტონამდე კონტრაბანდული საწვავი შემოჰქონდა.

როგორც სამხარეო პოლიციის უფროსმა ზურაბ ტუშურმა განაცხადა, კონტრაბანდული ტვირთი ძირითადად შემოაქვთ აზერბაიჯანიდან, სოფელ უდაბნოს გავლით, სადაც რამდენიმე შემოვლითი გზა არსებობს. სწორედ ამავე გზით ერთი კვირის წინათ 700 კგ თევზის შემოტანას ცდილობდნენ. გუშინვე საგარეჯოში დააკავეს თურქეთის რესპუბლიკის ავტომანქანა, რომელიც 44 კუბ. დახერხილი ხე-ტყის მასალით იყო დატვირთული. თურქ მძღოლს მასალის გატანის დამადასტურებელი საბუთები არ აღმოაჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბიზნესმენ ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებისათვის განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით მსჯავრდებულის ალექსანდრე მაისურაძეს საქმის საკასაციო განხილვა გუშინ კასატორების გამოუცხადებლობის გამო კიდევ ერთხელ გადაიდო. ამავე მიზეზით სასამართლო პროცესი არ შედგა 20 იანვარს.

უზენესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა იხილავს ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ 2003 წლის 28 ნოემბერს გამოტანილი განაჩენის კანონიერებას. ამ განაჩენით მაისურაძეს 14 წლით პატიმრობა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით მიესაჯა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ფალსიფიცირებული კონიაკის დამზადებაში შსს-ს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურმა ოზურგეთელი ზვიად ჯ.-ძე ამხილა, რომლის თბილისში მდებარე დროებითი საცხოვრებელი ბინიდან ფალსიფიცირებული კონიაკები ამოიღეს. ბინაში ჩხკრეკისას პოლიციელებმა აღმოაჩინეს 0.5 ლიტრიან ბოთლებში ჩასხმული, ფალსიფიცირებული 18 ცალი „სარაჯიშვილი", 74 ცალი „ვარციხე", ექვსი ცალი „ძალიან ძველი", ასევე ოთხი ცალი კონიაკის ბოთლის თავსახური, 10 ცალი „სამგორი ალკოს" ყვითელი ფერის ჩაჩი, 8 ლიტრი შეფერილი სპირტი, სპირტის საფილტრი და 120 ცალი ალკოჰოლური სასმელის აქციზური მარკა. მიმდინარეობს მოკვლევა. ზვიად ჯ.-ძე ჯერჯერობით დაკავებული არ არის. წინასწარი ინფორმაციით, იგი მეუღლესთან ერთად ჩადიოდა დანაშაულს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 18 წლის დავით ხეძუაშვილი ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დაბა წყნეთში დააკავეს. ხეჩუაშვილმა ურთიერთშელაპარაკების შემდეგ დანით თავის არეში დაჭრა მერაბ ზაალიშვილი, რომელიც საავადმყოფოში მოათავსეს. ხეჩუაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო სამსახურმა აღძრა. **მედია-ნიუსი**

მოწმეთა დაკითხვა გრძელდება

გიორგი სანაიას მკვლელობაში მსჯავრდებულის - გრიგოლ ხურცილავას სასამართლო პროცესზე გუშინ ორი მოწმე დაიკითხა. მათგან ერთ-ერთი გახლდათ მსჯავრდებულის და – ძაბული ხურცილავა. მან საოლქო სასამართლოშიც ისეთივე ჩვენება მისცა, როგორიც რამდენიმე თვის წინ გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს ნანა გუგუნაშვილს. თუმცა, მის გუშინდელ ჩვენებას ის სანახაობა არ მოჰყოლია, რაც გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში პროცესის პირდაპირი ეთერით ტრანსლირებისას გაიმართა.

მაშინ განსასჯელმა ხურცილავამ დის სიტყვებზე დიდი ხმაური და გალიის მტვრევა ატეხა. გუშინ იმავე დის იმავე სიტყვებზე გრიგოლ ხურცილავას არანაირი რეაქცია არ ჰქონია. ის ჩუმად და მშვიდად ისმენდა დის ჩვენებას.

"თუკი საქმე ხელახალ გამოძიებაში დაბრუნდება, მე უკან მიმაქვს ჩემი მოთხოვნა საქმის გამოძიებისას მიღებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ", - ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინდელ პროცესზე დაზარალებულმა ხათუნა ჩხაიძემ, რომელიც კვლავ კატეგორიულად ითხოვს მეუღლის მკვლელობის საქმის ხელახალ გამოძიებას და ნამდვილი მკვლელების დასჯას.

"ძველი ხელისუფლების ცოდვებს ახალ ხელისუფლებას არ მოვთხოვ, თუკი ახალი ხელისუფლება მკვლელობის საქმეს გამოძიებაში დააბრუნებს", - ასეთია ხათუნა ჩხაიძის პოზიცია. თუმცა, კანონით, საქმის ხელახლა გამოძიებაში დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.

24 საათი

ნომრის სტუმარი

ლევან ვარშალომიძე: "რკინიგზა მეწველი ძროხა არ არის, რომ ათასი წურბელა არჩინოს"

თამარ ხორბალაძე

32 წლის ლევან ვარშალომიძეს ახალმა ხელისუფლებამ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე რთული სახელმწიფო საწარმოს - რკინიგზის მართვა ანდო. იურისტი ვარშალომიძე, რომელიც რკინიგზას ამ დღემდე მხოლოდ მგზავრის გადასახედიდან იცნობდა, უეცრად ძალიან სერიოზული ცდუნებების, სერიოზული პრობლემების და "ძველი რკინიგზელი მგლების" გარემოცვაში აღმოჩნდა. ლევან ვარშალომიძე, რომლის სამსახურებრივი გამოცდილება იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, ფინანსთა სამინისტროსა და კერძო ბანკში რამდენიმეთვიან მუშაობასა და ზურაბ ნოღაიდელთან ერთად კერძო ფირმაში მოღვაწეობას ითვლის, რკინიგზაში სულ სამი დღის მისულია, თუმცა უკვე რკინიგზის საერთაშორისო სტანდარტებზე გაყვანას გეგმავს და იმ დროზე ოცნებობს, როცა თბილისიდან ბათუმში მატარებლით ჩასასვლელად სულ 1-1,5 საათი დასჭირდება. "24 საათი" სტუმარს სწორედ ამ გეგმებზე და, საერთოდ, რკინიგზის მომავალზე ესაუბრა:

ლევან ვარშალომიძე სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

- ამ დღეებში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ლევან ვარშალომიძე კიევში სააკაშვილთან ერთად ერთ ოთახს ქირაობდა, ისინი ერთად სწავლობდნენ და ამან თქვენს ახალ თანამდებობაზე დანიშვნაში გარკვეული როლი ითამაშა.

- ერთ ოთახში ნამდვილად არ ვყოფილვართ. ისე, ერთ ინსტიტუტში კი ვსწავლობდით. ჩვენ ერთმანეთს იმ დროიდან ვიცნობთ.

- ახალი სამსახურის შემოთავაზება რამდენად მოულოდნელი იყო? რამდენად იცნობთ რკინიგზას?

- რკინიგზას ვიცნობ, როგორც რიგითი მომხმარებელი, მიმგზავრია. ყველამ ვიცით, რაც ხდება და რა პრობლემებიც არის რკინიგზაში. რა თქმა უნდა, ტექნიკური დეტალების შესახებ არაფერი ვიცი და ვთქვი კიდეც, რომ არ ვარ პროფესიონალი, არ ვარ რკინიგზელი. შემოთავაზება, რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან მოულოდნელი, წარმოუდგენელი იყო, იმდენად, სიზმარშიც რომ არ დაგესიზმრება.

- სიტუაცია რკინიგზაში იმაზე უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე გარედან ჩანდა თუ პირიქით?

- სამი დღეა, რკინიგზაში ვარ და იქ პრობლემები ემატება და ემატება. ძალიან რთული სიტუაციაა. რთულია, თავისი სტრუქტურიდან გამომდინარე. დღეისათვის მიმდინარეობს ძიება - რამდენი ფილიალი და შპს აქვს რკინიგზას, რომ დავადგინოთ რეალური აქტივი და გავარკვიოთ, თუ რა ხდება ქონებასთან დაკავშირებით. რკინიგზას უდიდესი ქონება აქვს, ახლა ამ ქონების მოძიება ხდება.

- როგორც ჩვენთვის ცნობილია, რკინიგზაში საერთაშორისო აუდიტია შემოსული, მუშაობა არ დაუმთავრებია?

- სამწუხაროდ, აუდიტი დამთავრებული არ არის. ჩვენ გვქონდა საუბარი საერთაშორისო აუდიტთან. ალბათ, შემდეგ კვირას მოახდენენ პრეზენტაციას იმისას, თუ რა გააკეთეს, რას აპირებენ და მერე გეტყვით. აუდიტის გარდა, აქ შემოსულია შსს, პროკურატურა, კონტროლის პალატა, მეექვსე განყოფილება, ტრანსპორტის პროკურატურა, ხუთი-ექვსი უწყებაა შემოსული. მუშაობენ. ფაქტობრივად, საბუთები ყოველ დღე გადის. გარკვეულწილად, ეს აფერხებს შიდა სტრუქტურულ რეფორმებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვებას.

- პირველად რა ნაბიჯები უნდა გადადგას გენერალურმა დირექტორმა?

- პირველი ნაბიჯი მარტივი იქნება - დისციპლინის, წესრიგის დამყარება მთლიანად სისტემაში. დაწყებული ცენტრალური აპარატიდან, მთელი სტრუქტურებით დამთავრებული - ყველგან უნდა იგრძნობოდეს, რომ რკინიგზა მართვის ახალ მეთოდებზე გადადის.

ჩვენ ყველას ვეუბნებით - საზოგადოებასაც, ბიზნესმენებსაც - ყველამ უნდა გაიგოს, რომ ბიზნესმენებთან, იგივე გადამზიდავებთან თანამშრომლობისთვის მზად ვართ, როგორც ბიზნეს-პარტნიორები. მე მესმის, რომ მათ აქვთ ბიზნესი და უნდა მიიღონ შემოსავლები, მაგრამ ყველამ უნდა გაიგოს, რომ რკინიგზა სახელმწიფოს კუთვნილებაა, მასაც აქვს თავისი ბიზნეს-ინტერესები და რკინიგზამაც დიდი შემოსავლები უნდა ნახოს. ამ კუთხით ჩვენ ვთანამშრომლობთ, ვეუბნებით ყველას, რომ მოვუხსნით ყველა გვერდით გასავალს, ქრთამის გადახდის აუცილებლობას და ა.შ. სანაცვლოდ კი ღიად და გამჭვირვალედ უნდა ვითანამშრომლოთ, როგორც ჩვეულებრივმა ბიზნეს-პარტნიორებმა.

- ტარიფი გაიზრდება?

- ტარიფის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს არ არსებობს კონკრეტული დაანგარიშება იმის ასახსნელად, თუ რატომ არის ტარიფი ამხელა და არა ნაკლები ან მეტი. ციფრი არის, მაგრამ რას ეფუძნება ეს ციფრები, ჩემთვის უცნობია.

- მეზობელი ქვეყნების სატარიფო პოლიტიკის ანალიზი გაკეთებულია?

- არ არის გაკეთებული. ვიწყებთ ანალიზს. თებერვლის ბოლოს უნდა დავდოთ პროგრამა 2004 წლისთვის, ხოლო უკვე 2004 წლის სექტემბერ-ოქტომბერში უნდა დაიდოს კონკრეტული გეგმა, 2005 წლიდან ხუთი წლის განმავლობაში რას გააკეთებს რკინიგზა. ჩვენ თუ ტვირთის მოძიება მხოლოდ იმით გვინდა, რომ - გვაქვს რკინიგზა და მობრძანდითო - არავინ არ მოგვაწყდება. უნდა ვიცოდეთ, რა ხდება მეზობელ ქვეყნებში, ან შუა აზიაში. მაგალითად, ბევრს საუბრობდნენ ბამბის ტრანსპორტირებაზე, რომელიც დაიკარგა. არავინ იცის, რატომ დაიკარგა ეს ტვირთი საქართველოსთვის.

ჩვენი ძირითადი მიზანია, რკინიგზა უდიდესი, უმსხვილესი სახელმწიფო საწარმო გახდეს. ამის რესურსები რკინიგზას აქვს. ამასთან, ჩვენ მართვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა უნდა მოვახერხოთ.

- როგორ უნდა უზრუნველვყოთ გამჭვირვალობა? პირველი ნაბიჯი იყო ახალი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა...

- მეორე იყო დირექტორატის ჩამოყალიბება. მესამე იქნება კონკურსების ჩატარება. დღემდე როგორ იყო: მაგალითად, საჭირო იყო საწვავის შესყიდვა. ამ საწვავს ყიდულობდნენ ორმაგ ფასში. ჩვენ გამოვაცხადებთ ტენდერს და ყველა ეს პროცესი გამჭვირვალედ წარიმართება.

- თუმცა, დღემდე ტენდერები ხშირად თავად იყო კორუფციის წყარო.

- გეთანხმებით, მაგრამ ასე თუ მივუდექით, არაფერი გამოვა. ჩვენ ამ ტენდერების მაქსიმალურ გამჭვირვალობას უზრუნველვყოფთ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავანგრიოთ ის სტერეოტიპი, რომ სახელმწიფოს ხარჯზე, სახელმწიფო საწარმოს ხარჯზე ვიღაც შეიძლება გამდიდრდეს. სახელმწიფო საწარმო შემოსავლიანად უნდა ვაქციოთ, რომ, პირველ რიგში, ეს შემოსავალი რკინიგზაში მომუშავე ადამიანებს მოვახმაროთ, შემდეგ კი რკინიგზიდან სახელმწიფოში დივიდენდი და გადასახადები შევიდეს. საერთოდ, აუცილებელია რკინიგზასთან დაკავშირებული სტერეოტიპის რღვევა – საჭიროა, ყველამ გაიგოს, რომ ეს არის ჩვეულებრივი საწარმო, რომლის 100 პროცენტის მფლობელი სახელმწიფოა.

- რკინიგზის რეფორმირებაზე საუბრის დაწყებისთანავე გაჩნდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რკინიგზა იმ ობიექტებისგან უნდა გათავისუფლდეს, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული გადაზიდვის ფუნქციასთან. თქვენ რა აზრის ხართ ამის თაობაზე?

- დღეს ამის შესწავლის პროცესი მიმდინარეობს. როგორც გითხარით, დგინდება, რა აქტივები გააჩნია რკინიგზას და უახლოეს პერიოდში შეიქმნება ამ ობიექტების რესტრუქტურიზების პროგრამა სფეროების მიხედვით.

საერთოდ, სტრუქტურული რეფორმირება-ოპტიმიზაციის შედეგად ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ ამ მრავალთავიან გველეშაპს, რასაც დღევანდელი რკინიგზა ჰქვია, ეს თავები მოვაჭრათ და ერთი ცენტრალურ ორგანიზმად ვაქციოთ, რომელსაც ერქმევა შპს "საქართველოს რკინიგზა".

- არის თუ არა რკინიგზის დღევანდელი ხელმძღვანელობა ერთიანი გუნდი და, საერთოდ, იგეგმება თუ არა რკინიგზაში საკადრო წმენდა.

- დღეს ეფექტურ მმართველობით სქემაზე გადავდივართ, სადაც არარეგისტრირებული 11 დირექტორის ნაცვლად, ერთი გენერალური დირექტორი და ოთხი დირექტორი იქნება. სქემა ძალიან მარტივია - ერთი იქნება ტექნიკური დირექტორი, მეორე - ფინანსური დირექტორი, მესამე - კომერციული დირექტორი და მეოთხე - კორპორაციული მართვის დირექტორი. ამ სქემას მოჰყვება ქვედა სტრუქტურების დალაგება. შემდეგ - აპარატის ფორმირება. დღეს რომ რკინიგზაში შეხვიდე, აღმოაჩენ, რომ ყველა უფროსია - არის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მოადგილის მოადგილე, განყოფილების უფროსი, იმის მოადგილე და შემსრულებელი, შეიძლება, იყოს ერთი-ორი კლერკი, მბეჭდავი.

საერთოდ, რკინიგზაში ბევრი ღირსეული პროფესიონალია და იმედი მაქვს, რომ ეს პროფესიონალები მხარს დაგვიჭერენ, რადგან მათი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. რკინიგზას 22 000 თანამშრომელი ჰყავს და იმედი მაქვს, რომ ისინი ჩვენთან ერთად იმუშავებენ. თუმცა, არის, რა თქმა უნდა, ბალასტიც, გაბერილია შტატები.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოსაზიდია ახალი კადრებიც, რადგან რკინიგზელთა 50 პროცენტი 65 წელზე მეტი ასაკისაა. რაღაც ეტაპზე რკინიგზაში სიტუაცია გაიყინა და თაობათა შემოდენა აღარ მოხდა. ეს პროცესი აუცილებლად განსახორციელებელია.

- საკადრო წმენდაზე როცა გკითხეთ, უფრო ის ადამიანები მყავდა მხედველობაში, ვინც ძველ მმართველ გუნდში შედიოდა და ვისაც იმჟამინდელ კანონდარღვევებში თავადაც აქვთ მიღებული მონაწილეობა.

- მარტივად გეტყვით - თქვენ იცით, რომ რკინიგზაში ექვსი მაკონტროლებელია შემოსული. ჩვენ მათ შედეგებს ველოდებით. ვინც გარიგებებში მონაწილეობს, ვინც არ უნდა იყოს, ჩვენს მიერ მაქსიმალურად იქნება დასჯილი...

სხვათა შორის, თავად რკინიგზაში დასაქმებულ ადამიანთა გარდა, გვსურს ყველა გავაფრთხილოთ - ადგილობრივი ხელმძღვანელები, სახელმწიფო სტრუქტურების, სატრანსპორტო პოლიციის წარმომადგენლები, პროკურატურა თუ სხვები - რკინიგზა არ არის მეწველი ძროხა, რომ ათასი წურბელა არჩინოს. ჩვენ გვსურს, ამაში დახმარება საქართველოს ხელისუფლებასაც ვთხოვოთ - გააგებინოს თავის წარმომადგენლებს, რომ ძველი დრო აღარ არის...

- სხვათა შორის, ამბობენ, კაკო ჩხაიძეს წლების განმავლობაში პრობლემები იმიტომ არ შექმნია, რომ აბსოლუტურად ყველა - დაწყებული ხელისუფლებითა და ე.წ. კანონიერი ქურდებით დამთავრებული, "გაჩუმებული" ანუ დაკმაყოფილებული ჰყავდაო. თქვენ არ განუხებენ?

- ჯერ არა.

- წლების მანძილზე იყო საუბარი იმაზე, რომ კონტრაბანდის დიდი ნაწილი, მათ შორის - ნავთობპროდუქტების კონტრაბანდა ქვეყანაში რკინიგზით შემოდიოდა. როგორ უნდა შეიქმნას გარანტიები, რომ ეს მაქსიმალურად გაკონტროლდეს?

- პრობლემა იმ მიზეზით არსებობს, რომ ჩვენ არც გარდაბანში და არც სადახლოზე სასაზღვრო-საბაჟო პუნქტი არ გვაქვს. უნდა შეიქმნას ასეთი პუნქტები, აქ უნდა დაიდგას სასწორები და აიწონოს შემომავალი ტვირთი. ამ მიმართულებით ჩვენ უკვე პირველი ნაბიჯების გადადგმა დავიწყეთ.

- რაც შეეხება მგზავრების გადაზიდვას - ამ მიმართულებით ცვლილებები იგეგმება?

- რკინიგზას უდიდესი საშუალება აქვს, რომ გადაზიდვის სერვისი გააუმჯობესოს. ყველაფერი შეიძლება მომგებიან რელსებზე დააყენო, თუ მომგებიანზე არა - თვითლირებულება მაინც დაფარო. ცნობილია, რომ დღეს მგზავრების ძირითადი ნაწილი უბილეთოდ მგზავრობს. ჩვენ მომსახურების სფეროს უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას ვაპირებთ. ორ-სამ თვეში საქართველოში ერთიანი ქსელი იქნება და ნებისმიერ პიროვნებას, გნებავთ - ინტერნეტით, გნებავთ - 09-ით, შეეძლება ბილეთის დაკვეთა, რომ ორსამ მოლარეზე არ იყოს დამოკიდებული, რომ არ იყოს იძულებული, კორუფციულ გარიგებაში შევიდეს. ამასთან, ჩვენ გავხსნით ცხელ ხაზს, ტელეფონის ნომრებს გამოვაქვეყნებთ და მოქალაქეებს ნებისმიერი ინფორმაციის მოწოდება შეეძლებათ. მოვაწესრიგებთ ელექტრონულ ტაბლოებსაც.

- გარდა ამისა, გაქვთ უკვე რაიმე კონკრეტული პროექტები?

- დავიწყეთ მოლაპარაკება საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კონკრეტულად - ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან, რათა ერთიანი ელექტრონული ქსელი შეიქმნას, რომელიც არა მხოლოდ ბილეთების გაყიდვის, არამედ ნებისმიერი ვაგონის გაჩერების ფაქტის, ამ გაჩერების მიზეზების შესახებ ინფორმაციას მოგვცემს. როგორც იცით, ამ გაჩერებებთან ბევრი პრობლემაა დაკავშირებული - სადგურის ხელმძღვანელი აჩერებს ეშელონს, მერე ითხოვს ქრთამს და ა.შ. და ა.შ. ამ ყველაფრის ცენტრიდან გაკონტროლებას შევძლებთ. პროექტი უკვე მზადდება და, სავარაუდოდ, იგი 1 მილიონამდე დაჯდება, რომელსაც, ალბათ, გრანტის სახით მივიღებთ. ვაპირებთ სავაგონო პარკის გადახალისებასაც.

- როგორია რკინიგზის ლიანდაგების ტექნიკური მდგომარეობა?

- ძალიან რთულია, თან - რელიეფიც რთულია. ევროპაში მატარებელი 400 კილომეტრ/სთ სიჩქარეს ავითარებს, ჩვენთან ძირითად ტრასაზე - 60 კილომეტრ-საათს. დღეს თუ არ დავიწყეთ ამაზე ფიქრი, ახალ ტექნოლოგიებზე თუ არ ვიფიქრეთ, ვერ განვვითარდებით? 400 კილომეტრი თუ არა, 200 კილომეტრი მაინც განვავითაროთ. ამას თუ მივაღწიეთ, ეს ნიშნავს, რომ ბათუმიდან ადამიანი თბილისში 1,5 საათში ჩამოვა, ანუ ბათუმში მაცხოვრებელს თამამად შეეძლება იმუშაოს თბილისში და პირიქით.

- ეს ხომ ჩვენთან თითქმის ფანტასტიკის სფეროდანაა.

- სულაც არა, უნდა დავიწყოთ მუშაობა და თანდათან მივაღწიოთ შედეგს.

- რამდენ ხანში?

- გრანდიოზული შედეგების მიღება მოკლე ვადაში შეუძლებელია, თუმცა წლის ბოლოსთვის რკინიგზა შეიძლება, უკვე წარმატებული საწარმო იყოს.

- და რა არის ამისთვის საჭირო?

- რკინიგზელების ერთად დგომა, მუშაობა და შესაბამისი ნების არსებობა.

საჩუქრის ახალი ფორმა!
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991

აფიშა

თეატრები

თეატრალური სარდაფი
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
"პროვოკაცია"
რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

კინო

რუსთაველი
"სად არის ნემო"
(ქართულ ენაზე)
დას: 14:00; 16:00 სთ.

"ძალიან საშიში კინო 3"
დას: 12:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.

ამირანი
"ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება"
დას: 10:00; 13:30; 17:00; 21:00 სთ.
ფასი: 5-12 ლარი

გამოფენა

"ძველი გალერეა"
გურამ წიბახაშვილის ფოტონამუშევრების პერსონალური გამოფენა

"კოპალა"
ჟანრი ლოლაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

გოეთეს ინსტიტუტი
შტეფან მოზესის ფოტოსურათების რეტროსპექტივა

TMS
ბიძინა გუჯაბიძის ფოტონამუშევრების გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
ალექსი (ალი) ასლანიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
"ქრისტიანული ხელოვნება"
მე-3 სართული

წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

ხუთშაბათს, 29 ინავარს 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი - "ახალი განზომილება", სტუმარი – რატი ამაღლობელი, თემა – დავით გურამიშვილი

შაბათს, 31 იანვარს 17 საათზე წარმოგიდგენთ ანტიკური წიგნის დღეს. რომაელი პოეტის "კატულუსის 33 ლექსი" და "პენელოპე, ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები" პრეზენტაცია.

"კატულუსის 33 ლექსი" მთარგმნელი – მანანა ღარიბაშვილი

"პენელოპე, ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტები" ავტორები – ნანა ტონია, ქეთევან ნადარეიშვილი

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

ავსტრიული კულტურისთვის მოღვაწენი

ნაირა გელაშვილი

უკვე მესამე წელია, ავსტრიის საელჩო საქართველოში ავსტრიული ლიტერატურის მთარგმნელებს ჯილდოებს გადასცემს. უნდა ითქვას, რომ საელჩო თავის ქვეყნის კულტურას ისედაც დიდი გულისხმიერებით ეკიდება. ამის მაგალითად თუნდაც თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში გახსნილი ავსტრიული სამკითხველო დარბაზიც შეგვიძლია დავასახელოთ.

წელს ავსტრიის ელჩმა, ქალბატონმა გიურერმა, რომელიც ამ ღირსშესანიშნავ დღეს ინსტიტუტში თავად მობრძანდა, ექვსი ქართველი მთარგმნელის დაჯილდოების შესახებ გვამცნო. მათ შორის სამი მთარგმნელი ცერემონიას ვერ დაესწრო: ნანა გოგოლაშვილი და დალი ფანჯიკიძე, რომელთაც ჯილდო რაინერ მარია რილკეს წერილების თარგმანისთვის მიანიჭეს, ამჟამად ვენაში იმყოფებიან და იქ ავსტრიული ლიტერატურის ანთოლოგიაზე მუშაობენ. დავით ბარბაქაძე, პაულ ცელანის მთარგმნელი, გერმანიაში ბრძანდება – მას დარბაზში მეუღლე და შვილი წარმოადგენდნენ. ქალბატონმა გიურერმა ჯილდოები თბილისში მყოფ ქართველ მთარგმნელებს ზურაბ აბაშიძეს, ნაირა გელაშვილსა და თამაზ ხაჭაპურიძეს გადასცა.

24 საათი

განმარტებანის განსამარტად

წიბახა - "ძველი გალერეას" მასპინძელი

ვერა ნეფარიძე

გუშინ გურამ წიბახაშვილმა "ძველ გალერეაში" არც ისე ახალი ექსპოზიციის სანახავად მიიწვია საზოგადოება. მაგრამ, ამის მიუხედავად, ინტერესი, რომელიც წიბახას ყოველ საგამოფენო პრეზენტაციას ახლავს, გუშინაც დიდი იყო.

არც კი ვიცი, რამდენად სასარგებლოა ადამიანისთვის, როდესაც მისგან ყოველთვის სიახლეს ელიან. ალბათ, ამასაც ორი მხარე აქვს. ზოგჯერ კარგია, ზოგჯერ კი – დამღლელი, რამდენადაც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გაკისრებს. არადა, ძნელია ყოველთვის სიახლის შეთავაზება, თუნდაც ისეთი ნოვატორი ფოტოგრაფი იყო, როგორიც გურამ წიბახაშვილია. ბოლოს და ბოლოს, როდესაც თანამედროვე ქართული ფოტოგრაფიის მეტრად მოგიხსენიებენ, რთულია გარკვეულ პასუხისმგებლობას გაექცე.

დარწმუნებული ვარ, არ ვიყავი ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც რამდენიმე დღის წინათ გურამის მიპატიჟებას "ძველ გალერეაში", შეკითხვით ვუპასუხე: "ახალი გაქვს რაიმე?" რასაკვირველია, ფოტოგრაფმა არც ამჯერად "მომატყუა" ინტრიგისათვის. თუმცა, გარკვეული ინტრიგა უკვე იდო ამ ყველაფერში. გაიხსენეთ, როდის იყავით გურამ წიბახაშვილის ფოტოგამოფენაზე ბოლოს? ალბათ დიდი ხნის წინათ. მეც ასე მახსოვდა. ალბათ ესეც იყო მიზეზი, რომ

გურამ წიბახაშვილი

"ძველ გალერეას" გუშინ დამთვალიერებელთა მრავალრიცხოვანი საზოგადოება მიადგა.

მართალია, გალერეას კედლებზე ფოტოხელოვანის უკანასკნელი პერიოდის ნამუშევრები არ ეკიდა, მაგრამ რაღაც სიახლეს ექსპოზიცია უდავოდ შეიცავდა. ბევრს თუნდაც ამ ექსპოციზიის ნახვიდან შეექმნა გარკვეული წარმოდგენა აქამდე მისთვის უცნობი ოპერატორის რეზო კეზელის შემოქმედების შესახებ. გურამ წიბახაშვილი ექსპოზიციის ("განმარტებანი") ამ სერიაში იყენებს სწორედ ამ პიროვნების ნეგატივებს. მასალას გურამმა შემთხვევით მიაგნო არქივში, შემდეგ კი ავტორის ბიოგრაფიითაც დაინტერესდა. აღმოჩნდა, რომ რეზო კეზელმა, რომელიც 1925 წელს დაიბადა და ფოტოებს ადრიდანვე იღებდა, პროფესიული მუშაობა 1950-იან წლებში დაიწყო; მოგვიანებით კი ტელესტუდიაში ოპერატორი იყო. ლენინგრადში კინოსარეჟისორო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ გადაიღო ფილმი "ჰობოი". თავად კი 1988 წელს გარდაიცვალა. სხვათა შორის, გამოფენის პრეზენტაციას გუშინ რევაზ კეზელის ახლობლებიც დაესწრნენ.

ექსპოზიციას შემთხვევით არ ჰქვია "განმარტებანი". გალერეაში წარმოდგენილი დიდი რაოდენობით არაავტორისეული ფოტო, რომელიც უჩვეულო ფოტოქაღალდზე წითელი საღებავით შესრულებული დეტალებითა და ლექსიკონიდან ამოკრებილი განმარტებების დახმარებითაა შექმნილი, ნამდვილად საჭიროებს დამატებით განმარტებებს. თუმცა, ვერ დაგპირდებით, რომ მასზე ზუსტ პასუხებს ავტორისგან შეიტყობთ. ყოველ შემთხვევაში, პასუხი უდავოდ არ დაგაკმაყოფილებთ. ასე მაგალითად, თქვენ უყურებთ რამდენიმე სურათს, სადაც ქალის ფეხები ჩანს. სურათს ამშვენებს ავტორის მინაწერი: ფეხები – ადამიანების კიდურები... ამ შემთხვევაში, როგორი განმარტება შეიძლება მოგვცეს ექსპოზიციის ავტორმა? როგორც აღვნიშნეთ, ფოტოების უმრავლესობას ლექსიკონიდან ამოკრებილი განმარტებები ახლავს. მაგრამ ეს არ ხდება ფოტოგრაფის მხრიდან საკუთარი ოსტატობის გამოვლენის მიზნით. ამ ექსპოზიციის ავტორობა წიბახასთვის ნიშნავს უფრო განსხვავებული ცნების შექმნას, ახალი წახნაგების აღმოჩენას. "ამ ფოტოებით უბრალოდ თავიდან უნდა გაიაზრო ისიც კი, რისი განმარტებაც უკვე დიდი ხანია აღარ გჭირდება: კავკასია, ფიროსმანი, გზა, ჩრდილი...", - წერია ექსპოზიციის კონცეფციის განმარტებაში, რომელიც ფოტოხელოვნების კრიტიკოსის, ნათია წულუკიძის შედგენილია. ამგვარად, კონცეპტუალური ხელოვნების მოყვარულებისთვის უდავოდ საინტერესო უნდა იყოს გამოფენა, რომელიც გუშინ "ძველ გალერეაში" გაიხსნა.

თამრი ფხაკაძის, კარგად ნაცნობი მწერლის დებიუტი

ანა კორძაია-სამადაშვილი

"ნეტავ იცოდეთ, რა ძალიან უნდოდა ლამზირას გათხოვება!" ნეტავ იცოდეთ, რა გემრიელად დაწერა ეს ამბავი თამრი ფხაკაძემ! ისე გემრიელად, რომ პრეზენტაციის დროს წიგნში ცხვირი ჩავყავი და ვერ ამოვყავი, მერე მივხვდი, რომ კითხვა უზრდელობა იყო, მაგრამ ვერ მოვწყდი, მერე სამარშრუტო ტაქსში მოვიქეცი მოსკოვის მეტროს მგზავრივით... ახლა ეს წიგნი მაგიდაზე მიდევს და ძალიან მიხარია, რომ ჯერჯერობით მხოლოდ სამი მოთხრობის წაკითხვა მოვასწარი და წიგნი კი ჩემია, და ზედ წარწერაც აქვს: "ძვირფას ანას". ძალიან კმაყოფილი ვარ.

"სანამ დაგვიძახებენ" თამარ ფხაკაძის პირველი მოთხრობების კრებულია, უფრო სწორად, მოთხრობების პირველი კრებული. თუკი ოდნავ მაინც დაინტერესებულხართ, ქართულ ენაზე ვინ რას წერთ, მის სახელს ნამდვილად დაიმახსოვრებდით. 2002 წელს, როდესაც ლიტერატურული კონკურსის, "პენ-მარათონის" პირველი კრებუ-

თამარ ფხაკაძე

ლი გამოქვეყნდა, მისი მოთხრობა პირველად მაშინ წავიკითხე. იმ წელს თამარმა მესამე პრემია მიიღო მოთხრობისთვის "გაკვეთილი". მერე კონკურსი "ლუარსაბ თათქარიძე" იყო, და თამარს მეორე პრემია მიანიჭეს – იმ მოთხრობას "ჟამი არს რისა?" ჰქვია. მერე ასოციაცია "კვალმა" ლიტერატურული კონკურსი გამოაცხადა და "ორმაგი დღე" საუკეთესო ნაწარმოებთა ხუთეულში შევიდა. ახლა კი ყველა ეს და კიდევ მრავალი სხვა მოთხრობა გამომცემლობა "დიოგენემ" გამოსცა.

საღამოს, რომელიც ამ კრებულს და მის ავტორს მიეძღვნა და გუშინ, "წიგნის სახლში" გაიმართა, უამრავი ადამიანი ესწრებოდა: თამარის ნაცნობ-მეგობრები, კოლეგები, მკითხველები... "სრულიად პენ-მარათონიც" გამოცხადდა, ის მწერლები, რომლებთან ერთადაც თამარს, უკვე ორი წელია, თითო მოთხრობის დაწერა უწევს. ავტორის შესახებ საუბარი მრავალმა ისურვა, და მათ ისეთივე სულისკვეთება ჰქონდათ, როგორც მასპინძელს, ზაალ სამადაშვილს. ამ უკანასკნელმა ბრძანა, რომ სიხარულით წარუდგენს პატივცემულ საზოგადოებას კარგი ლიტერატურის დამწერ მწერალს, და რომ ის კვალდაკვალ აღიარებს, რომ სუბიექტურია, და რომ ამ შემთხვევაში თამარ ფხაკაძის პროზა მოსწონს.

სავსებით ვეთანხმები "სუბიექტურ ზალიკოს". ან როგორ არ მომეწონოს ჭადრის ქვეშ მდგომი უბნელების – ნიკუშას და ერთი გაწუწული კნუტის დიალოგი, ვერის უბნიდან გაქცეული ქალების და საქართველოში ჩაკეთილი ლეოს ამბავი, და რა ვიცი, რა აღარა...

პრემიერა კინოს სახლში

თეონა ჯაფარიძე

ცნობილი ფაქტია, რომ ქართული კინო მოკვდა, (არა ეს მეტისმეტად მკაცრი ნათქვამია, მოდით შევთანხმდეთ და ვთქვათ, რომ არსებობა დროებით შეწყვიტა) ისიც ფაქტია, რომ მიუხედავად ყველაფრისა კინოში ახალი თაობა მაინც მოვიდა, თუმცა ესეც საკამათოა თუ რითი მოვიდა. ჯერჯერობით სახელს ვერ დავარქმევთ და ვერ განვსაზღვრავთ როგორია ნულოვანი წლების ქართული კინო და თაობა, რომელიც ამ კინოს შექმნის ან უკვე ქმნის. მე ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე მინდა მოგახსენოთ, უფრო კონკრეტულად კი ერთ პრემიერაზე, რომლის მიხედვითაც, არ გავკადნიერდები და 21-ე საუკუნის ქართული კინოს მოსალოდნელ ტენდენციებზე ნამდვილად არ ვისაუბრებ, რადგანაც ირინა გაჩეჩილაძის მორიგი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, ისევე როგორც მისი წინა ფილმები, ზოგადად, ერთი სიტყვით შეიძლება მოვიხსენიოთ – ექსპერიმენტული. ახალ ფილმს "შანთი" ჰქვია.

ამ ექსპერიმენტის სანახავად გუშინ კინოს სახლში უფრო ახალი თაობის წარმომადგენლები მოვიდნენ. რეჟისორმა მაყურებელს, რომელმაც იცოდა, რომ ექსპერიმენტის სანახავად მოდიოდა, წინასწარ მომზადებული ფილმის რეზიუმე დაურიგა, სადაც დეტალურადაა აღწერილი ფილმის სიუჟეტი, დაახლოებით, ასეთი: დედამიწა შობს ქალებს, კაცებს, ქურუმებს, პოლიციელებს და ა. შ. ჩნდება ურჩხულ-

ირინა გაჩეჩილაძე

იც, რომელიც იტაცებს ახალგაზრდა ქალს. თემი ირჩევს "გმირს" და აიძულებს წავიდეს ქალის გადასარჩენად, გმირი შემთხვევის წყალობით ამარცხებს ურჩხულს, მაგრამ ქალისათვის უკვე თავად იქცევა ურჩხულად. ამ მითოლოგიურ-ფემინისტურ თემატიკას (თუმცა რეჟოსორმა პირიქით მიმითითა – ანტიფემინისტურიო) შემდეგ მოჰყვება თემები ეკოლოგიურად განადგურებულ სამყაროსა თუ ქალისა და კაცის ვირტუალურ ურთიერთობებზე, ყველაფერი კი დღეს ასე ყბადაღებული, აქტუალური და ხელოვნებაში მრავალგზის გათამაშებული თემით – აპოკალიფსით სრულდება.

ფილმის დასრულების შემდეგ მაყურებელთა აზრი ორად გაიყო: იყვნენ ისეთები, ვისთვისაც მიუღებელი და ზედმეტი აღმოჩნდა ახალგაზრდა რეჟისორის მიერ წამოჭრილი პრობლემები და გამოსახვის საშუალებები, ზოგი კი პირიქით თემების აქტუალობითა და მისი ხელწერით მოიხიბლა. რამდენადაც ირინა გაჩეჩილაძის ექსპერიმენტები ინდივიდუალურია, იმდენად ინდივიდუალურია მისი ხელოვნების შეფასებაც.

ვიზუალურად ფილმი ბუტაფორულია, პირობითობითა და გამოსახვის საშუალებებით ზოგჯერ ძველ ბერძნულ თეატრს მოგვაგონებს, ზოგჯერ კი ოპერატორის გამართული დინამიკის წყალობით ნამდვილ კინოს. (ოპერატორი გიორგი შველიძეა) მიკლედ კინოსა და არქაული თეატრის ენა ერთმანეთში ირევა. მსუყე ფერებითა და მსუყე მუსიკით (გამოყენებულია ბახის, პროკოფიევისა და ყანჩელის მუსიკა) კი ეკრანიდან ხან გროტესკულ ელემენტებს შევიგრძნობთ, ხან კი ფერწერულ ნიუანსებს. ასეთ ვიზუალურობასა და ექსპერიმენტს კი გამართლება ნამდვილად აქვს, რადგანაც, როგორც შევიტყვე, ირინა გაჩეჩილაძე თავის პროფესიულ არჩევანს სცენასა და ოპერაზე აჩერებს და მოსკოვში ოპერის რეჟისურის შესწავლას აპირებს.

P.S. ისიც შევიტყვეთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ "შანთის" ავტორს დოკუმენტურ ფილმ "იერუსალიმზე" დაუმთავრებია მუშაობა. პრემიერა ჯერ არ შემდგარა. საინტერესოა დოკუმენტურ ჟანრშიც ექსპერიმენტს ხომ არ მიმართა ახალგაზრდა ავტორმა?

წიგნი აუტიზმით დაავადებულ ბიჭზე

"უიტბრედის" პრესტიჟული ლიტერატურული ჯილდო, 25 ათასი გირვანქა სტერლინგი და წლის წიგნის სტატუსი, როგორც მოსალოდნელი იყო, მარკ ჰედონის რომანს "ძაღლის უცნაური ამბავი შუაღამისას" გადაეცა. ავტორი მოგვითხრობს 15 წლის ბიჭის ისტორიას, რომელიც ასპერგერის სინდრომით, აუტიზმის ერთ-ერთი ფორმით იტანჯება.

სანამ ჰედონი 27 იანვარს 25 ათასი გირვანქა სტერლინგის საბანკო ჩეკს მიიღებდა ლონდონში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე, მისი რომანი საშობაო ბესტსელერიც გახდა. წიგნს იმდენი მხარდამჭერი ჰყავდა, რომ ასეთი რამ "უიტბრედის" ჯილდოს თავისი არსებობის მანძილზე არ ახსოვს. ჟიურის წევრების განცხადებით, ჰედონმა შესანიშნავად გამოიყენა "ადამიანის ფიზიკური ნაკლი იმისთვის, რომ მსოფლიოში ნათელი ფერები მოეფინა. ამ ბიჭუნას მარტოსული სამყაროს გავლით ავტორი დაგვანახებს, თუ რამდენად უფრო ქაოტურია ზრდასრულთა სამყარო ბიჭის გარშემო". ჟიურის წევრები ასევე დასძენენ, "ცოტა მკითხველი თუ წარმოგვიდგენია, ამ წიგნით სიამოვნებას რომ ვერ მიიღებდეს".

თავად ავტორი კი აცხადებს: "ვზეიმობ თუ არა გამარჯვებას? მგონი, ბოლო 10 თვის განმავლობაში ამის მეტი არც არაფერი მიკეთებია. გამოვიდა თუ არა წიგნი, დიდ წარმატებას მიაღწია. ამას კი ყველაზე ნაკლებად მე ველოდი. მოკლედ, მთელი ამ ხნის მანძილზე ცოტ-ცოტას სულ ვზეიმობ". უცებ მოვარდნილი პოპულარობის შესახებ კი ჰედონი დასძენს: "რა თქმა უნდა, ახლა სარეკლამო კამპანია ჩემი ცხოვრების მთავარი შემადგენელი ნაწილი გახდა. როგორც წესი და რიგია, საზოგადოებაში უნდა გამოვჩნდე, ინტერვიუები მივცე, მერე კი სადმე გასაიდუმლოებულ ადგილას გადამალვას ვაპირებ, ახალ წიგნზე მინდა, მუშაობა დავიწყო".



ჰედონმა ამ წიგნში 25 ათასი მიიღო

ჰედონი მწერალი, ილუსტრატორი და სცენარისტია. მას 18-მდე საბავშვო წიგნი აქვს დაწერილი და 2 "ბაფტას" მფლობელიც არის. ამჯერად ის "ბი-ბი-სი"-ს ერთ-ერთ პროგრამაზე მუშაობს. მისი გამარჯვებული წიგნის გმირი კი, აუტიზმით დაავადებული ბავშვი ამბავს პირველ პირში გვიამბობს. კრისტოფერ ბუნმა ძალიან კარგად იცის მათემატიკა, მაგრამ არაფერი გაეგება ადამიანებზე და მათ ქცევებზე. მისი გარესამყარო იმ პატარა ქუჩის ბოლოს მთავრდება, სადაც ცხოვრობს. ასე გრძელდება მანამ, სანამ ბიჭუნა მეზობლის ფოცხით მოკლულ ძაღლს იპოვის და მკვლელობის გამოძიებას დაიწყებს. სწორედ ამ ამბის შემდეგ მის ცხოვრებაში ყველაფერი თავდაყირა დგება...

"უიტბრედის" ჯილდოს სამ-სამ კაციანი ჟიური ყოველწლიურად ხუთ კატეგორიაში გასცემს: პირველი რომანი, რომანი, ბიოგრაფია, პოეზია და საბავშვო წიგნი. სანამ წლის წიგნი გახდებოდა, ჰედონის ნაწარმოებმა წლის პირველი რომანის კატეგორიაშიც გაიმარჯვა. 25 ათასი გირვაქნა სტერლინგის მოპოვებას დი.ბი.სი პიერი (2003 წლის "ბუკერის" ლაურეატი დებიუტანტი მწერალი) დიჯეი ტეილორი, დონ პატერსონი და დევიდ ელმონდი კი ამაოდ ცდილობდნენ. ისინი "უიტბრედის" რიგით პრიზებს დასჯერდნენ:

დიჯეი ტეილორმა ბიოგრაფიის კატეგორიაში გაიმარჯვა. მისი წიგნი "ორუელი: ცხოვრება" ჯორჯ ორუელის მეტად სრულყოფილი პორტრეტია, რომელსაც ავტორი დღემდე უცნობი მასალებით და ორუელის მეგობრებთან ინტერვიუებით ავსებს.

დონ პატერსონი თავისი კრებულით Landing Light პოეზიის კატეგორიის პრიზიორი გახდა. მიმომხილველების თქმით, წიგნი ადმიანის სულის მიჩქმალულ კუთხეებში გვახედებს. ავტორი ძალზე ინტიმურ თემებს ახმიანებს და მკითხველს გრძნობათა ლაბირინთებში ატარებს. აღსანიშნავია, რომ პატერსონი ხშირად წერს მუსიკას და ასევე რადიო და თეატრალური პიესების ავტორიცაა.

საბავშვო კატეგორიაში გაიმარჯვა დევიდ ალმონდის "ცეცხლიყლაპიებმა" – ამბავმა პატარა ბიჭზე, რომელიც ნიუქასლის ზღვისპირა დასახლებაში კუბური კრიზისის დროს იზრდება. ცხადია, არც "ვერნონ გოდ ლიტლი" დარჩა უპრიზოდ. დი.ბი.სი. პიერი საუკეთესო რომანის კატეგორიაში დაჯილდოვდა.

ანტი-ოსკარი

"ოქროს ჟოლოს" მოლოდინში

ჯენიფერ ლოპესი


სილვესტერ სტალონე

ყველაზე ცუდი კინომსახიობის წოდებისთვის წელს მრავალი "იბრძვის", მათ შორის ჯენიფერ ლოპესი, ბენ აფლეკი, სილვესტერ სტალონე, ანჯელინა ჟოლი, კემერონ დიასი...

პატივისა და დიდების მოლოდინის ნაცვლად ამ ჯილდოს შიში და ბრაზისგან გულის გახეთქვა მოსდევს ხოლმე. არცაა გასაკვირი: "ოქროს ჟოლოზე" წარდგენა არავის უხარია და ასეთი ჯილდოც, ყველაზე თავზეხელაღებულის გარდა, არავის სჭირდება.

"ოქროს ჟოლო" ჰოლივუდში ყველაზე მეტად სძულთ, მისი გადაცემის ცერემონიას ამქვეყნად ყველაზე ნაკლები ვარსკვლავი ესწრება. ოქროსფერი საღებავით დაფარული პლასტიკის ჟოლოს გადაცემის არნახულად იაფფასიანი ცერემონია პატარა, მაგრამ მილიონებად ღირებული ოქროს კაცის, "ოსკარის" გადაცემას 24 საათით უსწრებს ხოლმე - ტრადიციაა ასეთი.

"ოქროს ჟოლოს" ისტორიას არ ახსოვს, რომ რომელიმე გამარჯვებული ჯილდოს გადაცემას დასწრებოდეს, მაგრამ მხიარულ შოუს მაყურებელი მაინც არასოდეს მოჰკლებია: თუკი "ოსკაროსნები" დიდების გამო იწვევენ სიმპათიას, "ოქროს ჟოლოსნების" ამბავი ჩვეულებრივ მოკვდავებს თანაგრძნობის გამო აინტერესებთ. ზოგიერთებს, ცხადია, ბოროტი სიხარულიც იპყრობს, მაგრამ ამათზე ყურადღებას ნუ გავამახვილებთ.

წელს გამარჯვების ყველაზე რეალური შანსები ჩვენს საყვარელ წყვილსა აქვს: ჯენიფერ ლოპესს და ბენ აფლეკს. "სავარაუდოდ გაყრილი" ვარსკვლავები ყველაზე ცუდი მსახიობი მამაკაცისა და ყველაზე ცუდი მსახიობი ქალის ნომინაციებში არიან დასახელებულნი. მეტსაც მოგახსენებთ: ისინი კიდევ ერთ, ძალიან საპატიო კატეგორიაშიც წარადგინეს, რომელსაც "ყველაზე ცუდი კინოწყვილი" ჰქვია.

ლოგიკურია, რომ "ჟოლოს" ჰიტი კინოფილმი Gigli გახდა. ამ სურათს 2004-ში შეიძლება დიდი "ნადავლის" იმედი ჰქონდეს. ფილმი, რომელშიც "ბენიფერი" თამაშობს, ცხრა ნომინაციაშია წარმოდგენილი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სამია: "ყველაზე ცუდი ფილმი", "ყველაზე ცუდი სცენარი" და "ყველაზე ცუდი სარეჟისორო ნამუშევარი".

ჯენიფერ ლოპესთან ერთად არცთუ სახარბიელო ჯილდოს მოლოდინში მრავალი სხვა ვარსკვლავიც ძრწის: დრიუ ბერიმორი, კემერონ დიასი, ანჯელინა ჟოლი... მამაკაცთაგან ბენ აფლეკს მიკ მაიერსი, ესტონ კაჩერი და სხვანი უმშვენებენ გვერდს.

სილვესტერ სტალონეს ამბავიც ფრიად შთამბეჭდავია: ფილმმა, რომელიც ასი მილიონი დოლარი დაჯდა - Spy Kids 3-D - მას 2003 წლის ყველაზე ცუდი მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებლის მამაკაცის დიდება შეიძლება მოუტანოს. "ის ფილმში ხუთ სახეს ქმნის და ხუთივეს - ცუდად," ასე დაასაბუთა ჯონ ვილსონმა თავისი არჩევანი, მან კი თავისი საქმე კარგად იცის: სწორედ ამ ცინიკურმა კინომოყვარულმა დააარსა 24 წლის წინათ "ოქროს ჟოლო". დღეს მის არჩევანს 450 კინომცოდნე და ჟურნალისტი უჭერს მხარს.

სტალონესთვის ეს გამარჯვება უცხო არაა. მსგავსი "პატივი" ვარსკვლავს უკვე ცხრაგზის ხვდა წილად, ერთხელ – როგორც მეოცე საუკუნის ყველაზე ცუდ მსახიობს. მართალია, წელს მას ყველაზე ცუდი მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებლის წოდებაში სერიოზული კონკურენტები ეცილებიან – ალ პაჩინო და კრისტოფერ ვოლკერი (ორივე Gigli-დან), ასევე ალეკ ბოლდუინი ("კატა ქუდში") და ენტონი ანდერსონი ("კენგურუ ჯეკი").

მარკ შაგალის ბიბლიური სიუჟეტები

საბჭოთა დრო რომ ყოფილიყო, ამ გამოფენის სანახავად მოსკოში უამრავი თბილისელი გაფრინდებოდა. მართალია, იმ დროს ასეთი გამოფენის გახსნაც საეჭვო ამბავი იქნებოდა... მოკლედ, თუკი 14 მარტამდე რუსეთის დედაქალაქში ამოყავით თავი, რუსეთის თანამედროვე ისტორიის სახელმწიფო ცენტრალურ მუზეუმში მიბრძანებას გირჩევთ. იქ გერმანიის ქალაქ ბამბერგიდან ჩატანილი გამოფენა გაიხსნა – "მარკ შაგალი. ბიბლიური სიუჟეტი".

გამოფენა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მხატვრის, მარკ შაგალის მნიშვნელოვან გრაფიკულ სერიას წარმოადგენს – ბიბლიის ილუსტრაციებს. ფართო საზოგადოებისთვის ის დღემდე თითქმის უცნობი იყო.

შაგალს ბიბლია ყველა დროის უდიდეს პოეტური შთაგონების წყაროდ მიაჩნდა, და მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ის ხელოვნებასა და ცხოვრებაში მისი ანარეკლის ძიებაში იყო. 1930 წელს პარიზელმა გამომცემელმა, ვინმე ვოლარმა, შაგალს ბიბლიის დასურათება შესთავაზა. წიგნი 1956 და 1960 წლებში, პარიზში გამოიცა.

გამოფენაზე წარმოდგენილი ყოველი გრავიურა ბიბლიური ტექსტების ორიგინალური წაკითხვის, ადამიანის ბუნების ღრმა ცოდნის შედეგია, და, რაც მთავარია, ხელოვანის უფლის მიმართ დამოკიდებულებას ასახავს.

სვეტი

პირადი ბიბლიოთეკა

ჰარუკი მურაკამი, "ცხვარზე ნადირობა" (1982)

მალხაზ ხარბედია

ვიცი გაგეცინებათ, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, როგორ აღიქვამდნენ ამ წიგნს თუშეთში, ფშავში ან ხევსურეთში, ანდა რა თვალით წაიკითხავდნენ იქაური მეცხვარეები - ვინმე ბაგრატა ან ხირჩლა - ერთი მისტიკური ცხვრის ისტორიას, რომელიც მოსვენებას არ აძლევს წიგნის გმირებს, სხეულიდან სხეულში მოგზაურობს და ყველას - მათ შორის ჩვენც, მკითხველსაც - რაღაც თავსატეხს უტოვებს. თუმცა, ერთი რამ ცხადია, მთიელ "მკითხველს" აუცილებლად გააკვირვებდა სათაური და გეტყოდა, როჭოზე და ჯიხვზე ნადირობა გამიგია, მაგრამ ცხვარზე კი არაო. რას იზამ, ეგეთია მხატვრული გამონაგონის თავისებურება, ცხვარზე თუ არ ინადირე და ქარის წისქვილებს თუ არ შეერკინე, არავინ დაგიჯერებს, რომ მწერალი ხარ და მურაკამის ნახევრადავტობიოგრაფიული პროზის ხიბლიც სწორედ ამაშია, რადგან იგი ყველაზე ყოფით სიტუაციებშიც კი ახერხებს იდუმალი და ფანტასტიკური ატმოსფეროს შექმნას.

გასაკვირი და უცნაური მარტო სათაური არაა რომანში, მურაკამი ბევრი სხვა ახირებითაც დაიკვეხნის. ვისაც მისი რამდენიმე მოთხრობა მაინც წაუკითხავს, ადვილად შეამჩნევდა ასეთ აკვიატებულ მოტივებს, რომლებიც იაპონელი მწერლის თითქმის ყველა ნაწარმოებში მეორდება. პირველ რიგში კი, ისინი ქალებს უკავშირდება, რადგან მასთან ქალები განუწყვეტლივ სადღაც ქრებიან, მიდიან, იკარგებიან, კვდებიან და ა.შ.

"ცხვარზე ნადირობის" პირველივე აბზაცშიც ქალის გარდაცვალებას გვაუწყებენ, ავტორს (ანუ მთავარ გმირს) მეგობარი დაურეკავს და მისი ძველი საყვარლის სიკვდილის ამბავს შეატყობინებს. ამის შემდეგ იგი ტოკიოს რუკას გადმოიღებს (მურაკამის კიდევ ერთი აკვიატება - მისი გმირები სულ რუკებითა და კომპასებით ხელმძღვანელობენ, როგორც ძველ სათავგადასავლო რომანებში), მოძებნის იმ სახლს, სადაც ქალი ცხოვრობდა, მიუსამძიმრებს მშობლებს და შემდეგ უკვე ჩვენკენ იბრუნებს პირს ამბის მოსათხრობად.

მაშ ასე, მივყვეთ ავტორს, მაგრამ ვიდრე საქმეზე გადავიდოდეთ, მინდა მურაკამის კიდევ ერთ გატაცებაზე გითხრათ ორიოდე სიტყვა, გატაცებაზე, რომელიც ასევე განსაზღვრავს ყველა მის რომანს და ფონადაც გასდევს მათ. საუბარია მუსიკაზე, 50-60-იანი წლების ჯაზზე, როკ-მუსიკაზე და ვერ ნახავთ მურაკამის ვერც ერთ, თუნდაც სულ მცირე ნაწარმოებს, სადაც ეს სული არ იგრძნობა. მისი პერსონაჟები ხშირად უსმენენ მუსიკას, ხან კოლტრეინს დადებენ ფირსაკრავზე, ხან მონკს, ხან კი "როლინგ სთოუნზს" ააჟღრიალებენ. ამ რომანშიც ასეა და შემთხვევითი არაა, რომ თხრობა სწორედ 1969 წლის ამბებით იწყება, ანუ იმ ეპოქით, რომელსაც დღეს ვუდსტოკისა და მონტერეის ეპოქას უწოდებენ. მალე მოქმედება სამოცდაათიანებში გადმოდის და უკვე ასაკში შებიჯებული მთხრობელი იმ უცნაური დავალების შესახებ გვიამბობს, რომელიც მას დააკისრეს (მაგრამ ამაზე ოდნავ მოგვიანებით).

მთავარი გმირი მწერალია, რომელიც თავის მეგობართან ერთად დაფუძნებულ სარეკლამო ფირმაში მუშაობს, იღებს ფოტოებს და სარეკლამო ტექსტებს ურთავს მათ. ცოლს გაყრილია, ცხოვრობს ნაქირავებში, მთელი მისი ქონება რამდენიმე მილიონ იენს შეადგენს, ჰყავს ერთი დანჯღრეული მანქანა და ბებერი კატა. ძველმოდურად იცვამს და მუსიკასაც ძველმოდურს უსმენს, აი ისეთს, ზემოთ რომ გითხარით. სამ-სამჯერ აქვს წაკითხული "ძმები კარამაზოვები" და "წყნარი დონი", უყვარს სმა, ზაფხულში ლუდით იჭყიპება, ზამთარი კი ვისკის მოზრდილი პორციებით გაჰყავს.

ერთხელაც, სარეკლამო ფოტოზე ერთი გოგონას ყურებით მოიხიბლება (!), ძებნას დაუწყებს და იპოვის კიდეც მას. გოგონას რამდენიმე განსაკუთრებული უნარი ჰქონდა, მაგრამ მოდით, ჯერ ყურებისა ვთქვათ. გოგონა ყურებს თმებში მალავდა, მაგრამ გამოაჩენდა თუ არა, ყველაფერი იცვლებოდა გარშემო (ყურებს, ყველაზე ხშირად სექსის დროს იშიშვლებდა): თუკი წვიმა მოდიოდა გარეთ, ოთახშიც წვიმის სუნი დგებოდა, ჩიტების ჭიკჭიკი კი ლამის პირდაპირ ლოგინიდან გაისმოდა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სამყარო პატარავდებოდა, ჩანჩქერები კი უხმაურო გადმოდინების "რეჟიმზე გადადიოდნენ".

ჰოდა, ასეთ გოგოს დაუმეგობრდა ეს ჩვენი მთავარი გმირი (მოდით, მას ჰარუკი დავარქვათ), დაიწყეს ერთად ცხოვრება და მალე ამ გოგოსგანვე გაიგო პირველად ის, რითაც დაიწყო კიდეც მთელი აურზაური: გოგონამ ერთხელ უთხრა, დაგირეკავენ და ცხვრებზე დაგიწყებენ საუბარსო და ისე აგიხდათ ყველაფერი, როგორც ჰარუკის აუხდა იმ დღეს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ჰარუკის ერთი მეგობარი ჰყავდა, მოგზაური. დადიოდა ეს კაცი (მეტსახელად ვირთხა), სერავდა იაპონიას, გადადიოდა კუნძულიდან - კუნძულზე და შიგადაშიგ წერილებსაც უგზავნიდა ხოლმე თავის მეგობარს. ერთ-ერთ ასეთ წერილში ჰარუკიმ ჰოკაიდოზე გადაღებული ფოტოსურათი აღმოაჩინა, მასზე ცხვრის ფარა იყო გამოსახული. ჰარუკიმ მალე თავის ჟურნალში დაბეჭდა ეს ფოტო, რეკლამისთვის დასჭირდა, და ამ პუბლიკაციას იდუმალი სტუმრის ვიზიტი მოჰყვა. თურმე, ნუ იტყვით და ფოტოსურათზე ერთი უცნაური ვინმე ყოფილა გამოსახული, არარსებული ცხვარი-დემონი, ზურგზე ვარსკვლავით, რომელიც ადამიანებში სახლდება და "მათი სულებით იტკბარუნებს პირს, როგორც კოქტეილით". იდუმალი სტუმარის შეფიც, მულტიმილიონერი სენსეი, ორმოციან წლებში სწორედ ამ ცხვრის მსხვერპლი გამხდარა, ამის მერე დაწყებულა მისი წარმატებული კარიერა და თავში უზარმაზარი ჰემატომით, სენსეის კიდევ 40 წელი უცხოვრია. ახლა კი, მის მდივანს გადაუწყვეტია, სენსეის ნების საიდუმლო იმ ცხვარშიაო და ჩვენს ჰარუკისა თხოვს, თანაც უზარმაზარი ჰონორარის საფასურად, ის ცხვარი მომიძებნეო (ანუ მოინადირეო). თხოვს კი არა ემუქრება კიდეც, ცხოვრებას დაგინგრევ, ერთ თვეში თუ არ შეგისრულებია დავალებაო და რომანში ისევ რუკებისა და კომპასების პერიოდი იწყება.

ის და მისი მეგობარი გოგონა ცხვრის მოსაძებნად მიდიან. მათ ერთი რამ იციან მხოლოდ, რომ სურათი ხოკაიდოზეა გადაღებული, იციან ხოკაიდოზე გაფანტული ცხვრის რაოდენობაც, მაგრამ სად ეძებონ? როგორ იპოვონ ის ადგილი? მითუმეტეს, ფოტოზე ნანახი ცხვარი არც ერთ ცნობილ ჯიშს არ მიეკუთვნება, არც საფოლკს, არც ბორდერლეისტერს და არც რომელიმე შროპშირს. ისინი იქაურ გაზეთში განცხადებასაც დაბეჭდავენ - "ვირთხა, შემეხმიანე", მაგრამ არაფერი ისმის საპასუხოდ. ერთი სიტყვით, უიმედოდ არიან, დრო კი იწურება.

ზემოთ გითხარით, გოგონას რამდენიმე განსაკუთრებული უნარი ჰქონდა-მეთქი. ერთ-ერთი ასეთი უნარი ძალიან მალე გამოვლინდა, როცა საცხოვრებლად "ცისფერი დელფინი" აარჩევინა ჰარუკის, ერთი მიგდებული, ძველი სასტუმრო, სადაც ბედზე "ჰოკაიდოს ცხვართმცოდნეობის მუზეუმიც" იყო განთავსებული. აქ ჰარუკი ვარსკვლავიანი ცხვრის მეორე მსხვერპლს შეხვდება, მუზეუმის დირექტორს, რომელიც იმ ადგილსაც მიასწავლის მას, სადაც ფოტოა გადაღებული. თურმე, იქ ერთი სახლი მდგარა, თავის დროზე "ცხვართმცოდნე პროფესორისა" იყო, ეხლა კი აღმოჩნდა, რომ არც მეტი, არც ნაკლები, ვირთხას უყიდია ის სახლი და ჩვენი გმირებიც იქით გაემგზავრებიან ფრთაშესხმულნი. რა თქმა უნდა, ვირთხა იქ არ დახვდებათ, ცოტა ხანში კი გრძნეული გოგონაც უჩინარდება, სადღაც დაიკარგება და ძველ სახლში, ძველ წიგნებსა და ძველ ფირფიტებში ჩაფლულ ჰარუკის ადამიანი-ცხვარი ესტუმრება, ვარსკვლავიანი აჩრდილის მესამე მსხვერპლი და იცით ვინ იყო ის მსხვერპლი? ეს ადამიანი გახლდათ... თუმცა, არა, ვერ გეტყვით მის ვინაობას, რადგან რაც მერე ხდება, ძნელია გადმოსაცემად და მურაკამი უნდა იყო, ლუდით გაჭყეპილ მიცვალებულთან გატარებული ღამე რომ აღწერო.

გირჩევთ, დანარჩენი თქვენვე წაიკითხოთ და ერთ რამეს დავძენ მხოლოდ, კერძოდ კი იმას, რომ, რომანის დასასრული, იმავდროულად, ანტონიონის "ზაბრისკი პოინტის" ფინალურ სცენასაც გაგახსენებთ და ჰემინგუეის სევდიან მოთხრობებსაც. ასე რომ ინადირეთ ცხვარზე, ვინძლო ამ ნადირობით ცეკვის მადა მოგივიდეთ რომანისთვის "დენს, დენს, დენს" და იქნებ თუში მეცხვარეებიც ჩაითრიოთ ამ ფერხულში.

წუთიერი დუმილი

დღეს ქართველი ხალხი უკანასკნელ გზაზე გააცილებს ზურაბ საკანდელიძეს, ლეგენდარულ კალათბურთელს, ალბათ, ყველა დროის საუკეთესო ქართველ მცველს...

ზურაბ საკანდელიძე

ჩაქრა ქართული სპორტის კაშკაშა ვარსკვლავი. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 58 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზურაბ საკანდელიძე.

კალათბურთმა ბავშვობიდანვე გაიტაცა. პერსპექტიულ კალათბურთელთა მთელი პლეადის აღმზრდელის, შესანიშნავი პედაგოგის სულიკო თორთლაძის ხელმძღვანელობით მისი ნიჭი სრულად გამოვლინდა. ზურაბ საკანდელიძემ ჯერ კიდევ 19 წლის ასაკში პირველი ევროპული ოქროს მედალი მოიპოვა - საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა.

შემდეგ თბილისში გადმოვიდა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. ჩაირიცხა დედაქალაქის უძლიერეს გუნდში - თბილისის "დინამოში". ამ სახელოვან გუნდში, გამოცდილი ოსტატების გვერდით, ზურაბი მალე ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე, ცოტა ხანში კი გუნდის ლიდერი გახდა.

ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამარჯვებიდან ერთი წლის შემდეგ საკანდელიძემ კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია - გახდა ევროპის ჩემპიონი. ზურაბ საკანდელიძეს ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდას მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

საკანდელიძის საკალათბურთო კარიერის უმთავრესი მიღწევები მსოფლიო ჩემპიონატის და, განსაკუთრებით, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მოგება გახდა. იგი დასახელდა ოლიმპიადის ფინალის ერთ-ერთ მთავარ გმირად. იმ მატჩში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ოლიმპიადის მანამდე უცვლელი ჩემპიონი - ამერიკის შეერთებული შტატები. სწორედ მიუნხენის შემდეგ ალაპარაკდნენ ზურაბ საკანდელიძეზე, როგორც უმაღლესი კლასის კალათბურთელზე, ტექნიკის ვირტუოზზე, ყველაზე სწრაფ და შედეგიან მცველზე.

ქართული კალათბურთის ისტორიაში ზურაბ საკანდელიძის მნიშვნელობა და ადგილი მხოლოდ ტიტულებით და მედლებით არ განისაზღვრება. თანატოლებისა და ნორჩი კალათბურთელებისთვის იგი ყოველთვის სამაგალითო მოთამაშე იყო. მისი სისწრაფე, სისხარტე, არაჩვეულებრივი ნახტომი, ურთულეს სიტუაციებში, წამის მეათედში გარკვევის და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი - ეს ყველაფერი დამახასიათებელი იყო ზურაბ საკანდელიძისთვის, რაც განუმეორებელ ელფერს სძენდა მის თამაშს.

სიცოცხლის ნახევარი ზურაბ საკანდელიძემ სპორტის საყვარელ სახეობას შეალია, კალათბურთიდან წასვლის შემდეგ კი ინჟინერ-ქიმიკოსის სპეციალობით შეუდგა მუშაობას. დაჯილდოებულია ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენებით.

ზურაბ საკანდელიძემ ღრმა კვალი დატოვა ქართული სპორტის ისტორიაში. მის მაგალითზე უნდა აღიზარდონ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც მომავალში უმაღლეს დონეზე წარმოაჩენენ ჩვენს სპორტს.

სწორედ ეს იქნება დაუვიწყარი ოსტატისთვის დადგმული საუკეთესო ძეგლი.

მიხეილ სააკაშვილი,
ნინო ბურჯანაძე,
ზურაბ ჟვანია,
ჯანსუღ ბაგრატიონი,
დავით გობეჯიშვილი,
ნიკოლოზ დერიუგინი,
ივანე ზოდელავა,
ირაკლი მეძმარიაშვილი,
ბესიკ ლიპარტელიანი,
ვალერი ლომაძე,
გურამ მინაშვილი,
გურამ საღარაძე,
მიხეილ ქორქია,
რაფაელ ჩიმიშკიანი,
დაზმირ ჯოჯუა

ბატონ ზურაბ საკანდელიძის ოჯახს

ქალბატონო თინათინ,

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი და თანადგომა ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მამულიშვილის, ღირსეული სპორტსმენისა და პიროვნების, გამოჩენილი ქართველი კალათბურთელის ბატონ ზურაბ საკანდელიძის გარდაცვალების გამო.

ძნელია განუგეშოთ, როცა კარგავთ საყვარელ ადამიანს, მაგრამ როდესაც თვალს გადავავლებთ ბატონი ზურაბის ცხოვრებასა და მის მიერ განვლილ გზას, ყველას სიამაყის გრძნობა გვეუფლება, რომ ჩვენს გვერდით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ასეთი პიროვნება.

ზურაბ საკანდელიძე იყო და დარჩება თაობების მისაბაძ მაგალითად.

მიხეილ სააკაშვილი
საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ ქორქია მეგობარს იხსენებს

"რა უნდა გითხრათ ზურაბზე... მცველის პოზიციაზე მეორე ასეთი კალიბრის ვარსკვლავი არც საქართველოს და არც ევროპას არ ახსოვს. 1967 წელს ის ევროპის საუკეთესო მცველად აღიარეს და მსოფლიოს ნაკრებშიც მიიწვიეს. ზურაბი ლეგენდა იყო. არ მყოფნის სიტყვები, რომ ის დაგიხასიათოთ. ჩვენს ურთიერთობაზე გეტყვით. ზურაბი, ფაქტობრივად, ჩემი ნათლია გახლდათ. ხომ იცით, სპორტში სამი წელი დიდი სხვაობაა. ის ჩემზე სამი წლით უფროსი იყო და თუ რაიმე კარგი მაქვს, სწორედ მასთან ურთიერთობის წყალობაა. სხვა რა უნდა გითხრათ, ძალიან მიჭირს მასზე საუბარი. ის იყო უდიდესი ადამიანი, უდიდესი პიროვნება, რომელიც გამწარებული წავიდა ამქვეყნიდან..."

მიხეილ ქორქია
ზურაბ საკანდელიძის თანაგუნდელი და მეგობარი

ფეხბურთი

მოსკოვი-თბილისი-ლიმასოლი

შუშაკი შეთხელებულ "დინამოს" კვიპროსზე წაიყვანს

მიხეილ აბაიშვილი

მოსკოვში გამართული თანამეგობრობის ჩემპიონთა ტურნირის ტრიუმფატორის, თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი, ივო შუშაკი ორი დღის წინ დაბრუნდა რუსეთის დედაქალაქიდან და მეორე დღესვე დილმის საწვრთნელ ბაზაზე ჟურნალისტები მიიწვია. პრესკონფერენციის თემა მხოლოდ მოსკოვის ტურნირი არ იყო. 1 თებერვალს "დინამო" საწვრთნელი შეკრების გასამართად კვიპროსზე მიემგზავრება და მწვრთნელმა ამ საკითხზეც გაამახვილა ყურადღება.

შუშაკმა ვრცლად ისაუბრა მოსკოვში მოპოვებულ მნიშვნელოვან გამარჯვებაზე. მისი თქმით, იგი თანამეგობრობის ჩემპიონთა ტურნირს საგაზაფხულო სეზონისთვის მოსამზადებელ ეტაპად მიიჩნევდა, თუმცა, ხელოვნურსაფარიან მოედნებზე განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ მომზადებაგაუვლელ "დინამოს" ამ ტურნირში გამარჯვებაც ხელეწიფებოდა.

"მოსკოვში გამგზავრებამდე ვთქვი, რომ ჩვენ არ ვგეგმავდით ტურნირში გამარჯვებას და იქ ჩასატარებელ მატჩებს გუნდის მოსამზადებელ დატვირთვას ვაძლევდით. არ იფიქროთ, რომ ასეთი განცხადებით სავარაუდო მარცხისგან თავს ვიზღვევდი. მაშინ ისიც აღვნიშნე, რომ უბრძოლველად არავის არაფერს დავუთმობდით და ტურნირში შეძლებისდაგვარად წინ წავიწევდით. ბედნიერი ვარ, რომ თანამეგობრობის სივრცის ჩემპიონის ტიტული მოვიპოვეთ. ამაში არა მარტო გუნდმა, მწვრთნელთა კორპუსმა და კლუბის ხელმძღვანელობამ შეიტანა დიდი წვლილი, არამედ იმ გულშემატკივრებმაც, რომლებიც "დინამოს" თითოეულ მოსკოვურ თამაშს მრავლად ესწრებოდნენ და მთელი მატჩის განმავლობაში მხურვალედ გვქომაგობდნენ. პირადად ჩემთვის, ეს დიდი მოულოდნელობა იყო. გულშემატკივრებმა ისეთი თბილი ატმოსფერო შეგვიქმნეს, რომ თავი თბილისში გვეგონა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მათაც და საქართველოში დარჩენილ იმ ქომაგებსაც, რომლებიც ჯერ შორიდან გვიჭერდნენ მხარს, შემდეგ კი თბილისში დაუვიწყარი დახვედრა მოგვიწყვეს", - ასე შეაფასა გულშემატკივრების ღვაწლი შუშაკმა.

რაც შეეხება ტურნირის სპორტულ მხარეს, ხორვატი სპეციალისტის აზრით, მასში საკმაოდ მაღალი დონის გუნდები მონაწილეობდნენ, რომელთა დამარცხება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არცთუ იოლი იყო. ყოველ შემთხვევაში, პლეი-ოფებში სუსტი მეტოქე არ ყოფილა.

"ჩვენ ორჯერ შევხვდით რიგის "სკონტოს". ეს გუნდი ლატვიის ნაკრების ის საბაზო კლუბია, რომელიც

პრესკონფერენციაზე შუშაკს მოსკოვში მოპოვებული თასები უმშვენებდნენ გვერდს.

ზაფხულში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. შეამჩნევდით, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა გაცილებით უკეთ ჩაატარეს ტურნირის ფინალური ნაწილი. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ "დინამო" თამაშიდან თამაშამდე სერიოზულ პროგრესს განიცდიდა და სპორტული ფორმის პიკს უახლოვდებოდა. თანაც, ეს მატება არათუ არითმეტიკული, არამედ გეომეტრიული პროგრესიით მიმდინარეობდა. სპორტული ფორმის პიკს კი სწორედ ფინალურ მატჩში მივაღწიეთ და არავის იოტისოდენა ეჭვიც კი არ დავუტოვეთ იმისა, რომ "დინამო" ამ ტურნირის ყველა გუნდს შორის უძლიერესი იყო", - მაღალი შეფასება მისცა თავისი გუნდის გარჯას მთავარმა მწვრთნელმა.

შუშაკმა მოედნის საფარზეც გაამახვილა ყურადღება.

"კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ჩვენს სათამაშო სტილს იდეალურად სწორი მინდორი ესაჭიროება. მართალია, ხელოვნურსაფარიანი მოედანი ფეხბურთის სათამაშოდ საუკეთესო ვარიანტი არ გახლავთ, მაგრამ უსწორმასწორო ნამდვილად არ არის, ეს კი ჩვენი კოზირის – სწრაფი, კომბინაციური თამაშის საშუალებას იძლეოდა", - კიდევ ერთხელ წამოჭრა მოედნის თემა შუშაკმა, რომელიც ადგილობრივ მოედნებს ჩამოსვლის დღიდან აკრიტიკებს.

ტრანსფერების საკითხსაც მივადექით. მოგეხსენებათ, "დინამო" მოსკოვის ტურნირამდე დატოვა ამისულაშვილმა, რის გამოც საქართველოს ჩემპიონს დაცვაში სერიოზული პრობლემები შეექმნა. რაც შეეხება ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელს, დარასელიას, იგი გუნდს თბილისში აღარ გამოჰყოლია.

"ამისულაშვილის საკითხი 99 პროცენტით გადაწყვეტილია – იგი კიევის "დინამოსთან" გააფორმებს კონტრაქტს. ეს, ერთი მხრივ, ძალიან ცუდია, მეორე მხრივ – ძალიან კარგი. ცუდია "დინამოსთვის", რადგან ასეთი მაღალი კლასის მცველმა დაგვტოვა, კარგია ქართული ფეხბურთისთვის, რადგან ამისულაშვილი ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში გააგრძელებს კარიერას და დაოსტატებას. ასევე თითქმის გადაწყვეტილია, რომ დარასელია მოსკოვის "დინამოში" ითამაშებს. მის მიმართ სხვა კლუბებიც გამოთქვამენ დაინტერესებას, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ "დინამო" აქტიურობს.

"დინამოს" სხვა ფეხბურთელებმაც მიიღეს მიწვევები. ალექსიძე, შაშიაშვილი, ბურდული, კვირკველია და გოგობერიშვილი დიდი ხანია, უცხოური კლუბების თვალთახედვის არეში არიან მოქცეული. ეს ინტერესი მოსკოვის ტურნირის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. თუმცა, მიხარია, რომ ეს ფეხბურთელები არ გამოეკიდნენ ამ შემოთავაზებებს. მათ დაინახეს, რომ თბილისის "დინამო" არ არის მეორეხარისხოვანი კლუბი. ამიტომაც გაქცევაზე არ არიან და მიაჩნიათ, რომ "დინამოში" კარგი თამაშით უფრო მაღალი კლასის გუნდებიდან გაცილებით ხელსაყრელ შემოთავაზებებს მიიღებენ. ჩვენი მიზანია, ამ ეტაპზე შევინარჩუნოთ ეს ფეხბურთელები", - განაცხადა შუშაკმა.

მწვრთნელმა სხვა სატრანსფერო-სასელექციო მუშაობაზეც ისაუბრა. შეგვპირდა, რომ "დინამოში" მალე ვიხილავთ საქართველოს ნაკრების კაპიტანს, ექსდანდელ გიორგი ნემსაძეს.

"ნემსაძესთან ინტენსიურ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და "დინამოში" მისი გადმოსვლის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. ახლა გიორგი შოტლანდიაშია პირადი საკითხების მოსაგვარებლად. ამ დღეებში თბილისში დაბრუნდება. დიდი იმედი მაქვს, 1 თებერვლამდე ყველა ფორმალურ საკითხს მოვაგვარებთ და ნემსაძე კვიპროსზე ჩვენთან ერთად წამოვა.

რაც შეეხება ამ შეკრებას, კვიპროსზე 23 თებერვლამდე დავრჩებით. ადრე ექვსი ამხანაგური სპარინგ-მატჩის ჩატარებას ვგეგმავდით, მაგრამ მოსკოვის ტურნირმა, რომელშიც ექვსი შეხვედრა ჩავატარეთ, ეს გეგმები შეცვალა. მოგეხსენებათ, 15 თებერვალს კვიპროსზე საქართველოს ნაკრებიც ჩამოვა და ხუთ-ექვს ფეხბურთელს "წაგვართმევს". ნაკრები კვიპროსზე რამდენიმე მატჩს ჩაატარებს. ამიტომ, ფეხბურთელები რომ არ გადავღალოთ, ამხანაგური შეხვედრების რიცხვს ოთხამდე შევამცირებთ. მეტოქეებს წინასწარ ვერ დაგისახელებთ, თუმცა, ის კი შემიძლია გითხრათ, რომ სპარინგებად რუსეთის პრემიერლიგისა და ჩეხეთის უმაღლესი ლიგის გუნდები გვეყოლება".

კრივი

შანსი თუ მორიგი ულტიმატუმი

ამდენი მითქმა-მოთქმისა და მარჩიელობის შემდეგ ძნელი სათქმელია, შედგება თუ არა მათი შერკინება, მაგრამ ფაქტია: თუ, ბოლოს და ბოლოს, მაინც შედგა, წესით და რიგით, ერთ-ერთი მათგანისთვის იგი ბოლო უნდა იყოს. ლაპარაკია ვიტალი კლიჩკოსა და ლენოქს ლუისის ყბადაღებულ შესაძლო რემატჩზე.

გიგა გურასაშვილი

მას შემდეგ, რაც ბრიტანელმა უკრაინელს 21 ივნისს ლოს ანჯელესის რინგზე დამართა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ეჭირა თავი მეექვსე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დამარცხებულად გამოცხადებულ კლიჩკოს, კრივის მოყვარულებს განმეორებითი მატჩის ხილვის სურვილმა მოსვენება დაუკარგა. მოსვენებადაკარგულებზე უკრაინელის ოსტატობამ იქონია გავლენა. მან საგრძნობლად შეურყია ტახტი ჩემპიონს.

ბევრი ითქვა და დაიწერა იმაზეც, რომ ლუისს რინგისკენ გახედვა ეზარება და აღარც ხალისი აქვსო. უფრო სწორად, მოსაგების მოგების შემდეგ მოტივაციამ იკლო.

ბევრი რამ პრომოუტერებეცაა დამოკიდებული. ანუ, თუ იქნება კარგი პირობა, მაშინ, შესაძლოა, სეირიც იყოს. ვისთვის სეირი, ვისთვის ყბების ღრჭიალი თუ დალილავებული ცხვირ-პირი. ლაპარაკია ჰონორარის ოდენობაზე, რომელიც, ფაქტია, რვანიშნა უნდა იყოს. მაგალითად, 15 მილიონი, ან უფრო მეტიც. ისიც ფაქტია, რომ ეს ყველაფერი პრომოუტერების მარიფათზეა დამოკიდებული. მერე, ალბათ, თანხმობაც იქნება. ამის გამოა, ალბათ, რომ ლუისიც აჭიანურებს. მართალია, საბანკო ანგარიშზე საკმაო თანხა აქვს იმისთვის, რომ მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი იყოს, მაგრამ ფული არავის მოსჭარბებია. მაგრამ, რა როგორ იქნება, სამარჩიელოდ კრივის მოყვარულებს ვადა კიდევ ერთი თვით გაუხანგრძლივდათ. ყოველ შემთხვევაში, ლუისისთვის წაყენებულ ულტიმატუმს, რომელსაც 21 ივნისს ამოეწურა ვადა, ერთი თვეც დაუმატეს. ფაქტია, კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) პრეზიდენტს, მექსიკელ ხოსე სულეიმანს, ბრიტანელისადმი გამოჩენილი სიმკაცრის მიუხედავად, რაც ულტიმატუმის ენით ლაპარაკში გამოიხატებოდა, გული მოულბა და დიდ ჩემპიონს კიდევ ერთი შანსი მისცა. კერძოდ, სულეიმანის 22 იანვრის განცხადებით, 1 თებერვლიდან 30 დღის განმავლობაში კლიჩკომ და ლუისმა უნდა მოილაპარაკონ. მოლაპარაკებისას კი, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, შედგება თუ არა მათი განმეორებითი ორთაბრძოლა. ბუნებრივია, აქაც ულტიმატუმია. ანუ, თუ 1 მარტამდე იგივე სურათი იქნება, მაშინ ვადის გასვლიდან 15 დღეში საბჭოს ხელმძღვანელობა უფლებას იტოვებს, თავად დაადგინოს, თუ სად და როდის შედგეს რემატჩი, ამასთან, განსაზღვროს საპრიზო ფონდიც.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, თუ ლუისი საბჭოს წესებს არ დაემორჩილა, მაშინ, იმავე სულეიმანის მუქარით, ჩემპიონს ჩემპიონობა ჩამოერთმევა. ისე, თუ ადრეული გამოცდილებით ვიმსჯელებთ, გამორიცხული არაა, ლუისს კვლავაც შეუნდონ და ახალი პირობები წაუყენონ, რაც სულაც არ იქნება გასაკვირი, რადგან ბრიტანელის მსგავს ჩემპიონებს ძნელად ელევიან. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ, ადრე თუ გვიან, ყველაფერს წერტილი უნდა დაესვას.

ამასობაში კი, როგორც უკრაინული წყაროები იუწყებიან, ლენოქსი, რომელიც იამაიკაზე ახლად შეძენილ ბინაში შეხვდა ახალ წელს, მეგობრებთან ერთად სიმღერასა და ცეკვაში ატარებს დროს. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი აგენტისა თუ მზვერავის თქმით, ლუისს არაფერი ეტყობა იმისა, რომ სპორტულ დარბაზში ოფლს იდენდეს. არ ჰგავს იმ კაცს, რომელსაც ორ-სამ თვეში მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა ელისო.

BBC-ის მიერ გუშინ გავრცელებული ცნობით კი, ლუისის მწვრთნელი ემანუელ სტიუარტი საკუთარ შეგირდს რინგზე დაბრუნებას და კუთვნილი საჩემპიონო ქამრის უკანასკნელად დაცვისკენ მოუწოდებს - ერთხელაც ეჩხუბე ვიტალის და მერე შეგიძლია ფეხი ფეხზე გადაიდოო: "მოხარული ვიქნები, თუ კარიერას ვიტალი კლიჩკოს ნოკაუტში გაშვებით დაასრულებს. ლენოქსი ძალიან მაგარი და ძლიერია იმისთვის, რომ კლიჩკო შეაჩეროს..., - BBC Radio Five Live-თან საუბარში აცხადებს სტიუარტი, რომელსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ

ლუისი კლიჩკოსთან ბრძოლის სანაცვლოდ მეტისმეტად ბევრს ითხოვს.

REUTERS

რას აპირებს სამომავლოდ მისი შეგირდი. – წარმოდგენა არ მაქვს, აპირებს თუ არა რემატჩს, თუ, საერთოდაც, კრივს უნდა შეეშვას. თავდაპირველად ვთქვი კიდეც, რომ საკითხი იანვრის ბოლოს უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ ახლა შევიტყვე, რომ თარიღმა მარტისკენ გადაიწია.

ვიმედოვნებ, ლუისი შეძლებისდაგვარად მალე მიიღებს გადაწყვეტილებას...

ლენოქსი შარშანდლამდე დაკავებული ჩემპიონი იყო. თუ რინგიდან წასვლა მაინც გადაწყვეტილი აქვს, უნდა ვთქვა, რომ იგი ამას იმსახურებს. არადა, ჯერ არ მინდა, რომ ეს მოხდეს. მინდა, კვლავაც მუშტმოღერებულს ვხედავდე, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან გააკეთა, იგი თავისუფალი არჩევანის უფლებას იმსახურებს".

ასე რომ, გვინდა თუ არ გვინდა, უფრო სწორად, უნდა თუ არ უნდა ვიტალი კლიჩკოს, იგი კვლავაც ბრიტანელზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება თავად ვიტალის, ახლა მას სხვა საფიქრალიც ბევრი აქვს. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ლუისი რამეს მოიფიქრებდეს, უკრაინელმა პრომოუტერთან ურთიერთობის გარკვევისთვის მოიცალა. გერმანული გაზეთის "ზუდდოიჩე ცაიტუნგ"-ის (Suddeutsche Zeitung) ორი დღის წინანდელი ნომერი ძმები კლიჩკოებისა და მათივე პრომოუტერის, კლაუს-პეტერ კოლს შორის მოსალოდნელ სასამართლო განხილვაზე მოგვითხრობს. გაზეთის თანახმად, მოკრივეთა ადვოკატმა ბორნ ციგლერმა ჰამბურგის მიწების სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რასაცთან დაურთო ყველა საჭირო საბუთი. საქმე ისაა, რომ კლიჩკოებს კლაუს-პეტერ კოლის საპრომოუტერო კომპანია "უნივერსუმ ბოქს პრომოუშენთან" თანამშრომლობის ვადა წლის ბოლოს ეწურებათ, კოლი კი კონტრაქტის გაგრძელებას ითხოვს, ამასთან, ხანგრძლივი ვადით. მართალია, ამ საკითხთან დაკავშირებით უკრაინელი გიგანტების აზრი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ უკრაინელ ძმებს ბევრად უფრო ტიტულოვანი მეტოქეების ხილვა სურთ. გაზეთი იმასაც ვარაუდობს, რომ კონტრაქტის დასრულების შემდეგ კლიჩკოები ამერიკელი აგენტის ხელში აღმოჩნდებიან.

ჩოგბურთი

ექსკლუზიური ინტერვიუ ლეგენდარულ კრის ევერტთან

"ანა ტატიშვილი ჯენიფერ კაპრიატის მაგონებს"

პირველი გვერდიდან

უკანასკნელად ანა ტატიშვილის შესახებ შარშან, ოქტომბერში ვწერდით. შეგპირდით კიდეც, რომ ანას შესახებ თავად კრის ევერტსაც გავესაუბრებოდით.

ევერტი პირველი თხოვნისთანავე დაგვთანხმდა ინტერვიუზე და გვითხრა, რომ დიდი სიამოვნებით გაგვიზიარებდა თავის აზრს ანასთან დაკავშირებით. სახელგანთქმულ ამერიკელს გუშინ, საღამოს რვა საათზე დავუკავშირდით.

- თქვენთვის ინტერვიუს ჩამორთმევა არცთუ ისე იოლი საქმეა. იქნებ გვითხრათ, რით დაიმსახურა ჩვენმა გაზეთმა ასეთი პატივი? ეს, ალბათ, ანას დამსახურებაა...

- *(იცინის)*. რა თქმა უნდა, ეს, მართლაც, ანას დამსახურებაა. მამამისმა, დიმიტრიმ მითხრა, რომ ჩემთან გასაუბრება გსურდათ. მეც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი.

- რას გვეტყვით ანას შესახებ? როგორი პიროვნებაა ის?

- შესანიშნავი. ძალიან ჭკვიანი, ზრდილობიანი და უშუალოა. ურთიერთობაში სასიამოვნო ადამიანია. ამავე დროს ძალიან ნიჭიერი ჩოგბურთელია და ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე.

- თქვენ ძალიან თბილი ურთიერთობა გაქვთ ანასთან და მის ოჯახთან. თქვენი ასეთი დამოკიდებულებით ევერტის აკადემიის ყველა ჩოგბურთელი სარგებლობს, თუ ეს მისი პრივილეგიაა?

- ანა განსაკუთრებულია! იმ თვისებების გარდა, რომელზეც უკვე გითხარით, მასში უდიდეს ტალანტს ვხედავთ.

- თქვენ ქალთა ჩოგბურთის ლეგენდა ბრძანდებით. უამრავ ვარსკვლავს იცნობთ. როგორ მომავალს უწინასწარმეტყველებთ ანას? აქვს თუ არა მას შანსი, გახდეს მსოფლიო დონის ვარსკვლავი?

- ახლა ძალიან ძნელია პროგნოზის გაკეთება. მე ასაკს ვგულისხმობ, ანა ხომ ჯერ 13 წლისაა. ამ ასაკის ჩოგბურთელის მომავლის გამოცნობა კი თითქმის შეუძლებელია. გაიხსენეთ კურნიკოვას მაგალითი. ის ჩემპიონი იყო ახალგაზრდებში, შემდეგ კი... თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ანა ტატიშვილი ძალიან ნიჭიერი და მიზანდასახული სპორტსმენია.

- იქნებ გაავლოთ პარალელი ანასა და ჩოგბურთის რომელიმე ვარსკვლავს შორის... ყველაზე მეტად ვის გაგონებთ?

- ჯენიფერს! ნამდვილად ჯენიფერს! ის ძალიან ჰგავს კაპრიატის – ისეთივე სტილი, ისეთივე მძლავრი მოწოდება.

- ამერიკაში არცთუ ისე კარგად იცნობენ საქართველოს. რა იცოდით ჩვენი ქვეყნის შესახებ ანას გაცნობამდე და რა იცით ახლა?

- მე ადრეც ვიცნობდი საქართველოს, ვინაიდან შევხვედრივარ ალექსანდრე მეტრეველს. ანას დამსახურებით, ახლა ბევრად მეტი ვიცი თქვენი ქვეყნის შესახებ, ფოტოებზეც მინახავს. ძალიან ლამაზი ქვეყანა გაქვთ, შესანიშნავი ბუნება. ქართულ კულტურასაც ვიცნობ. ანამ და მისმა ოჯახმა შესანიშნავი ქართული სუვენირები მისახსოვრეს.

- და როგორი წარმოდგენა შეგექმნათ ქართველებზე?

- პოზიტიური. უამრავ დადებით თვისებასთან ერთად, თქვენ ძალიან დემოკრატიული ხალხი ხართ. მინდა, სტუმრად ვეწვიო საქართველოს.

- რას იტყოდით ქართული სპორტის, განსაკუთრებით კი ჩოგბურთის განვითარების პერსპექტივებზე? საინტერესოა, როგორ რჩევას მოგვცემს ლეგენდარული კრის ევერტი...

- რეალური ვითარება დეტალურად არ ვიცი. რაც შეეხება ჩოგბურთს, ვიცი, რომ საქართველოში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ჩოგბურთელი გყავთ. მათი ტალანტის განვითარებისთვის განმსაზღვრელი ფაქტორი კი, რა თქმა უნდა, მწვრთნელია. ყურადღება სწორედ ამ ფაქტორზე უნდა გამახვილდეს.

- დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. იმედია, მომავალშიც გვექნება თქვენთან გასაუბრების საშუალება.

- რასაკვირველია! დიდი სიამოვნებით. მზად ვარ, ნებისმიერ დროს ვუპასუხო თქვენს კითხვებს.

კრის ევერტი ჩოგბურთელობის ჟამს.

ანა ტატიშვილი და კრის ევერტი.

კანტიკუნტად შემორჩენილი დიდების მაძიებლები

გიგა გურასაშვილი

ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ახლა აღარც სენსაციების დროა და აღარც მოულოდნელობების. სეზონის დიდი სლემის პირველი ტურნირი ფინალებისკენ იკაფავს გზას. მელბურნ პარკში თავშეყრილი ჩოგბურთის მოყვარულნი კი საჩოგბურთო სპექტაკლებით იქცევენ თავს. სპექტაკლის მონაწილენი ნახევარფინალურ საგზურებს ეცილებიან ერთმანეთს.

საინტერესო გამოდგა მეორე ნომრად განთესილი შვეიცარიელი როჟე ფედერერისა და მერვე ნომრად განთესილი არგენტინელი დავიდ ნალბანდიანის დაპირისპირება. ბუნებრივია, ორივე გამარჯვებისთვის გავიდა კორტზე, მაგრამ მათ შორის თუ რომელიმეს განსაკუთრებით ჰკლავდა რევანშის წყურვილი, ასეთი ფედერერია. მისთვის არგენტინელის ბარიერი ლამის აქილევსის ქუსლად ქცეულა.

შურისძიების დაუოკებელი წყურვილი შვეიცარიელს მას შემდეგ გაუმძაფრდა, რაც ავსტრალიისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატების წინა გათამაშებებში მეოთხე წრიდან ნალბანდიანმა დაიფრინა. ერთადერთი ტურნირი, სადაც შვეიცარიელმა არგენტინელის შეტევა გააუვნებელყო, ეს "ჰოფმანის თასია". ასე რომ, ფედერერი უხერხულ მეტოქესთან კორტზე ორმაგი მოტივაციით – რევანშის წყურვილითა და პირად შეხვედრათა სერიაში ჩამორჩენის გასანეიტრალებლად გავიდა. შვეიცარიელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ოთხ სეტში, ამასთან, ფაქტობრივად, დალეწილმა, სამი ტრავმით (7:5, 6:4, 5:7, 6:3) სტატუს-კვო აღადგინა. ფედერერმა ნალბანდიანის და, შესაბამისად, მეოთხედფინალური ბარიერი გადალახა. არგენტინელის მოწოდებაზე ორმაგი ბრეიკ-პოინტისა და მოგების შემდეგ ანგარიში 6:5 გახდა. ამ ყველაფერმა, გარკვეულწილად, საფუძველი ჩაუყარა შვეიცარიელის გამარჯვებას. გარდა ამისა, ბოლო გეიმში ფედერერმა ნალბანდიანის სამოქმედო ტერიტორიაზე ოთხი ეისითაც გამოიდო თავი. ეისები მერეც მრავლად იყო.

ფედერერმა მეორე სეტშიც იყოჩაღა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე ნალბანდიანმა პირველივე მოწოდება აართვა. არგენტინელის მიერ ართმეულ მოწოდებას, თითქოს შვეიცარიელი უნდა გაეტეხა, მაგრამ ასე არ მოხდა. "არაერთი შანსი მქონდა იმისა, რომ ქულა მომეგო. მათი უმეტესობა ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენე. ორი ეისი სწორედ მაშინ ჩავაწოდე, როდესაც ყველაზე მეტად მჭირდებოდა", - მატჩის შემდეგ განაცხადა შვეიცარიელმა.

ორი მოგებული სეტის შემდეგ არგენტინელმაც გამოიღო ხელი, მაგრამ მეოთხე სეტის დაწყებისთანავე აშკარა იყო, რომ ნალბანდიანი მატჩის გათანაბრებას ვერ შეძლებდა. სეტი შვეიცარიელის შეტევით დაიწყო. მეოთხე პარტიის დასაწყისიდანვე ფედერერმა მეტოქეს მოწოდებათა ისეთი ქარცეცხლი დაატეხა თავს, რომ უმალ 2:0 დაწინაურდა. ახლა მხოლოდ დროის ფაქტორი იყო, თუ რამდენ ხანში გავიდოდა შვეიცარიელი სამშვიდობოს. მალე ასეც მოხდა. მეცხრე გეიმში ლამაზი ეისით, რომელიც მთლიანობაში მე-20 აღმოჩნდა, ფედერერმა არგენტინელი ავსტრალიურ კორტებს მიღმა დატოვა.

"ვერ ვიტყვი, რომ ცუდად ვითამაშე. ვფიქრობ, მატჩი თანაბარძალოვანი იყო. თუმცა, გადამწყვეტ მომენტებში ის ჩემზე უკეთ თამაშობდა. აი, ესაა სხვაობა", - თავი ინუგეშა ნალბანდიანმა.

მატჩი 2 საათსა და 40 წუთს გაგრძელდა. ფედერერმა ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. ნახევარფინალსა და ფინალში გამარჯვების შემთხვევაში შვეიცარიელს გარანტირებული აქვს ATP-ს ეგიდით გახდეს პირველი, ამასთან, რიგით 23-ე პირველი ჩოგანი. თუმცა, მანამდე საკმაო დროა და იქაც, ნახევარფინალში ისეთი მეტოქე ელის, როგორიც ესპანელი ხუან-კარლოს ფერეროა, რომელსაც ასევე ჰკლავს საჩემპიონო ტახტზე დაბრუნების სურვილი.

ესპანელი, რომელიც მეთიხნარეა და მეტი წილი წარმატებებისთვის თიხისსაფარიან კორტებზე მიუღწევია, ახლა ისეა ახლოსაა მიზანთან, წარმატებას ჰარდზეც მიაღწიოს, როგორც არადსროს. ფედერერისა და ნალბანდიანის დუელამდე მაროკოელ ჰიშამ არაზისთან სწორედ ფეროროს უწევდა გამკლავება. თუმცა, ამჯერად ყველაფერმა სენსაციის გარეშე ჩაიარა. მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაროკოელმა ვერაფერი დააკლო მრისხანე მეტოქეს და მატჩი 2 საათსა და 36 წუთში – 6:1, 7:6, 7:6 დათმო, რაც მისთვის დიდი სლემის რიგით მეოთხე მეოთხედფინალური მარცხი გამოდგა. "იმან, რომ მეოთხედფინალური ბარიერი ისევ ვერ გადავლახე, ძალიან დამაღონა", - ყურებჩამოყრილმა განაცხადა არაზიმ.

ესპანური საჩოგბურთო სკოლა, ძირითადად, თიხისსაფარიან კორტებზე წარმატებებითაა ცნობილი. ახლა მათივე სკოლის წარმომადგენელს

REUTERS

ფერერო ნახევარფინალისკენ იკვალავს გზას.

ბრწყინვალე შანსი აქვს, იგივეს ჰარდზეც მიაღწიოს. მანამდე კი ნიშანდობლივია, რომ 1968 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ჩოგბურთი პროფესიული გახდა, ფერერო მესამე ესპანელია, რომელმაც ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალს უწია.

სხვათა შორის, ფეროროსთვის შარშანდელი წელი მოსავლიანი გამოდგა. მოიგო საფრანგეთის ღია პირველობა – "როლან გაროსი" და აშშ-ის ღია ჩემპიონატის ფინალში ითამაშა. აშშ-ის ღია პირველობა კი, მოგეხსენებათ, ასევე ჰარდზე მიმდინარეობს. ოღონდ, ავსტრალიურ ჰარდსა და ამერიკულს შორის სხვაობას სიჩქარე განსაზღვრავს. უფრო სწორად, ავსტრალიური ჰარდი ამერიკულზე ასხლეტილი ბურთის შედარებით ნაკლები სიჩქარით გამოირჩევა.

"რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, აქ სოლიდურად ვთამაშობ, - მაროკოელის დამარცხების შემდეგ განაცხადა ფერერომ, – ცუდადაც არ ვაწვდი და, ვფიქრობ, ტურნირის მოგების გარკვეული შანსი მაქვს".

ქალთა შორის საყურადღებო გამოდგა ბელგიელი კიმ კლიისტერსისა და რუსი ანასტასია მისკინას დაპირისპირება. შეიძლება ითქვას, რომ კლიისტერსმა საკუთარ თავს აჯობა, როდესაც საშინლად მტკივანი ფეხით გავიდა კორტზე. აუტანელი ტკივილის მიუხედავად, ბელგიელმა უკან არ დაიხია და მატჩი ბოლომდე ჩაამთავრა, თუმცა, ხშირად უწევდა, ტკივილის გასაყუჩებლად ექიმისთვის მიემართა. "მატჩი კარგი განწყობით დავიწყე, მაგრამ თამაშის დროს უშნოდ დავაბიჯე, რამაც ტკივილი უფრო აუტანელი გახადა. იძულებული გავხდი, ტაიმ-აუტი ამეღო. ამ დროს ტრიბუნებისკენ გავიხედე და მაყურებლის რეაქცია შევნიშნე. მივხვდი, რომ, რადაც უნდა დამჯდომოდა, კორტზე უნდა დავბრუნებულიყავი და მატჩი მომეგო", - მეექვსე ნომრად განთესილი მისკინას ძლევის შემდეგ (6:2, 7:6) განაცხადა ბელგიელმა, რომელიც ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში დიდი სლემის პირველ ტიტულს დაეუფლება.

რამდენადაც მძიმეც არ უნდა იყოს ტრავმა, ძნელი საფიქრებელია, რომ ნახევარფინალში გასულმა ბელგიელმა იქ მომლოდინე შვეიცარიელ პატი შნაიდერთან ორთაბრძოლაზე უარი განაცხადოს, რადგან ტიტულის დაუფლებასთან ორი მატჩი აშორებს. მანამდე კი ფეხის მოსარჩენად 24 საათი აქვს.

"ფენომენი" გამოსამშვიდობებელ ტურზე

როდის წავა ჩოგბურთიდან ანდრე აგასი?

ნინო პირველი

მდიდრული ვილა, მელბურნის ფეშენებელურ რაიონ ტურაკში, მაღალი გალავნით და ლამის სახლის სიმაღლე ხეებითაა დაფარული ცნობისმოყვარეთა თვალისგან. ვიდეოკამერები და ფხიზელი დაცვა გალავანთან მიახლოებულ ყველა სუბიექტს გულდასმით აკვირდება. ამ საგანგებოდ დაცულ, მდიდრულ ციხესიმაგრეში ძალიან ძნელია შეღწევა, პაპარაცებისთვის კი ერთი კადრის გადაღებაც სრულიად წარმოუდგენელია. 19 იანვრიდან 1 თებერვლამდე ვილას საპატიო სტუმრები ჰყავს - იმ სამი კვირის განმავლობაში, სანამ მელბურნში ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მიმდინარეობს, აქ ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ანდრე აგასი ცხოვრობს თავის ცოლ-შვილთან ერთად. ლასვეგასელი ვარსკვლავი თავისი მეხუთე ავსტრალიური ტიტულისთვის იბრძვის, მისი სახელოვანი გერმანელი მეუღლე კი, რომელსაც ოცდაორჯერ აქვს მოგებული დიდი სლემის ტურნირები, ჟურნალისტებს ძალიან აბრაზებს. შტეფი გრაფისთვის თითქოს არც არსებობს ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. თუ ადრე შტეფი აგასის მონაწილეობით თითქმის ყველა მატჩს ესწრებოდა, ახლა ის შინ დარჩენას და ბავშვების მოვლას ამჯობინებს. ვარსკვლავურმა წყვილმა ორივე ბავშვი ჩაიყვანა მწვანე კონტინენტზე. ორი წლის ჯეიდენ ჯილი და გასული წლის ოქტომბერში დაბადებული ჯეზ ელი ნამდვილად ვერაფერს უსაყვედურებენ დედიკოს - შტეფი მთლიანად ბავშვებზეა გადართული და როცა თავისუფალ დროს იპოვის, მაშინაც ან კაფეში მიდის, ან რომელიმე ბუტიკში. გრაფი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა კორტზე: მეოთხედფინალში, როცა მისი მეუღლე ფრანგ სებასტიან გროსჟანს ხვდებოდა, შტეფი ლავერ-არენაზე მივიდა და 40 წუთს უყურა აგასისა და გროსჟანის დუელს. ფრანგს ტრავმა ჰქონდა და უხეიროდ თამაშობდა. აგასიმ სულ იოლად მოიგო პირველი სეტი. მალე გროსჟანმა საერთოდ კაპიტულაცია გამოაცხადა და მატჩი მეორე სეტის დასრულებამდე შეწყდა. შტეფისაც ისღა დარჩენოდა, იოლი გამარჯვება მიელოცა მეუღლისთვის. ამის შემდეგ ორივე თვალს მიეფარა და პაპარაცებმაც საკბილო ვერაფერი ნახეს. ლამის მთელი სამი კვირა ისე გავიდა, რომ შტეფის ერთი ინტერვიუც არ მიუცია რომელიმე გაზეთისთვის. ერთხელ, ისიც მხოლოდ გერმანელ ჟურნალისტებს განუცხადა, ბავშვების გამო ისეთი დაკავებული ვარ, რომ სხვა რამისთვის დრო აღარ მრჩება, მაგრამ ასეთი მდგომარეობა სულაც არ მადარდებს, პირიქით, მომწონს კიდეცო. შტეფის არ უყვარს, როცა გამუდმებით საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. სიმშვიდე და სიწყნარე ყველაფერს ურჩევნია. თანამემამულე ბორის ბეკერისგან განსხვავებით, რომელსაც ძალიან მოსწონს, როცა მისი სახელის გარშემო დიდი აურზაურია ატეხილი და ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ საზოგადოებამ არ მიივიწყოს აქტიური სპორტიდან დიდი ხნის წინ წასული სახელგანთქმული ჩოგბურთელი, შტეფი გრაფს საერთოდ არ სჭირს ვარსკვლავური მანია. მისი ცხოვრების მთავარი მიზანი ახლა უკვე ოჯახი და შვილებია და არა კარიერა და აღტაცებული თაყვანისმცემლები. ასეთი მიუკარებლობის გამო ჟურნალისტებმა შტეფი გრაფს ჩემპიონატის "ფანტომი" შეარქვეს, აგასის კი ტურნირის ფენომენი უწოდეს. აგასისთვის ავსტრალიის ტურნირის მოგება ნამდვილად არ არის უცხო ხილი: 1995, 2000, 2001 და 2003 წლებში მას ბადალი არ ჰყავდა ამ ჩემპიონატზე და ახლაც იმედოვნებს, რომ შეძლებს გასულ წელს მოპოვებული ტიტულის დაცვას. სხვათა შორის, შტეფი გრაფი, რომელიც უკვე კარგა ხანია ჩამოსცილდა აქტიურ სპორტს, თავის ამბიციურ მეუღლეს შესანიშნავ პროფესიულ რჩევებს აძლევს. როგორც აგასის მწვრთნელი დერენ კეჰილი ამტკიცებს, შტეფის შენიშვნები და რჩევები აგასისთვის ფასდაუდებელია.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მაინც სადამდე აპირებს 33 წლის ამერიკელი ათი წლით უმცროს ჩოგბურთელებთან ბრძოლას? ყველას ძალიან აინტერესებს, ბოლოს და ბოლოს, როდის დაანებებს თავს აგასი ჩოგბურთს. შტეფის ნება რომ იყოს, მსოფლიო ჩოგბურთი უკვე აგასის გარეშე იქნებოდა, მაგრამ პატივმოყვარე ამერიკელს ჯერ არ ეჩქარება პენსიაზე გასვლა. ხმები დადის, 2004 წელი აგასისთვის გამოსამშვიდობებელი იქნებაო. ჩოგბურთელთან დაახლოებული პირები იმასაც ამტკიცებენ, აგასის მწვრთნელთან უკვე შვეიცარიელი როჟე ფედერერი აწარმოებს მოლაპარაკებას და მალე კეჰილი ამ ნიჭიერი ახალგაზრდა ჩოგბურთელის ხელმძღვანელი გახდებაო.

ნახევარფინალში ანდრე აგასის რუს მარატ საფინთან მოუწევს თამაში. ეს აგასის ოცდამეხუთე ნახევარფინალი იქნება დიდი სლემის ტურნირებზე. სხვათა შორის, აგასის უკვე 26 მატჩია მელბურნში არ წაუგია. ვნახოთ, საფინი თუ შეძლებს ამ თავისებური რეკორდის დამხობას...

TV სპორტი

ხუთშაბათი. 29 იანვარი

НТВ+ ФУТБОЛ

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 20:35 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "მარსელი" – "პორტუ"
15:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. "ჰერენვენი" – აიაქსი"
16:55 თავისუფალი დარტყმა
17:10 "დარტყმა გოლისთვის"
17:25 ფუტზალი. ევროპის ჩემპიონთა თასი. შედეგები
18:25 განვლილი სეზონის საუკეთესო მატჩები. ბრაზილიის ჩემპიონატი. "გუარანი" – "ფლამენგო"
20:05 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
20:35 სახვალიო ტელეპროგრამა
20:40 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:45 თავისუფალი დარტყმა
21:00 "FUTBOL MUNDIAL"
21:30 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "ჩელსი" – "ლაციო"
23:25 თავისუფალი დარტყმა
23:40 განვლილი სეზონის საუკეთესო მატჩები – ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. "სანტოსი" (ბრაზილია) – "კრუს ასული" (მექსიკა)
01:25 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
01:55 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:50 02:50-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. "ATLANTA HAWKS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ

11:00, 14:00, 17:15, 20:30 პრესცენტრი
11:15, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DALLAS STARS" - OTTAWA SENATORS"
15:15 "თოვლის სამყარო"
15:45 "Power week - NHL-ის კვირა"
16:15 ბრძოლა წესების გარეშე. "Ultimate Fighting Championship"
17:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
18:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ნახევარფინალები. ქალები
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:30 "მოტოვებული კვირა"
22:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ნახევარფინალები. ვაჟები
23:45 "წყლის აკვატორია"
00:15 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DALLAS STARS" - OTTAWA SENATORS". შესვენებისას (01:00) – ახალი ამბები
02:45 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
03:15 03:15-დან 04:30-მდე შესვენება
04:30 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DETROIT RED WINGS" – "NEW JERSEY DEVILS". პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
14:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
16:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
18:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი იაპონიაში
19:30 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
21:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
22:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ახალი ამბები
02:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მონაკოში
04:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მონაკოში

დეტროიტის ავტოსალონის სიახლეები

მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელივით გრანდიოზული ექსპონატებით არ გამოირჩეოდა, დეტროიტში ჩატარებულ "ჩრდილოამერიკულ საერთაშორისო ავტო შოუს" მაინც 808 833 მნახველი ჰყავდა, რაც მის თითქმის საუკუნოვან ისტორიაში დასწრების მხრივ, მეორე საუკეთესო მაჩვენებელია.

შოუზე 79 ავტომობილის (წარმოებისთვის გამზადებულისა და კონცეპტუალურის) პრემიერა შედგა, რომელთაგან 55 მსოფლიო დონის დებიუტი იყო. სულ კი დეტროიტის "კობო სენტერის" საგამოფენო პავილიონებში 700-ზე მეტი ავტომობილი ელოდა დამთვალიერებელს.

აღსანიშნავია, რომ დეტროიტის ჩრდილოამერიკული საერთაშორისო ავტო შოუ (NAIAS) ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ავტოსალონებიდან ერთადერთია, რომელიც სანქციონირებულია პარიზში ბაზირებული საავტომობილო კონსტრუქტორთა საერთაშორისო ორგანიზაციის (OICA) მიერ, რაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საავტომობილო პროფკავშირებისა და ავტომწარმოებლების ალიანსს წარმოადგენს.

ავტოშოუს დღეებში ჟურნალმა "აუტოუიკ" საავტომობილო პროფილის ჟურნალისტებს შორის ჩაატარა კონკურსი, რომელსაც ავტოშოუს საუკეთესო ავტომობილი უნდა დაესახელებინა. კონკურსმა საუკეთესო ავტომობილის წოდება მიანიჭა კონცეპტუალურ სპორტულ ავტომობილ "ფორდ შელბი კობრას".

"დეტროიტში წარმოდგენილი "შელბი კობრათი" კომპანია "ფორდმა" დაასრულა ტრილოგია, რომელშიც ამ ავტომობილის გარდა ფიგურირებს კონცერნის წარსულის დიდების კიდევ ორი შესანიშნავი პერსონაჟი – "მუსტანგი" და "ფორდ GT". სამივე ავტომობილი კი კეროლ შელბის სახელთანაა დაკავშირებული", - ნათქვამია ჟურნალ "აუტოუიკის"რედაქტორ მაიკ ფლოიდის განცხადებაში.

ავტომობილი, რომელშიც ფართოდაა გამოყენებული მსუბუქი მეტალები და რომელიც აღჭურვილია 6.4-ლიტრიანი V10 ძრავით, 605 ცხენის ძალას რომ ავითარებს, სულ ხუთ თვეში დაამზადეს "ფორდის" "მოწინავე პროდუქციის შექმნის ჯგუფის" ინჟინრებმა. ავტომობილმა უკვე გაიარა პირველი ტესტები და გამომცდელები კმაყოფილნი დარჩნენ მისი მანევრულობით და დინამიკური მახასიათებლებით. ტესტებში მონაწილეობა მიიღო მხცოვანმა კაროლ შელბიმაც, ვინც, როგორც ამბობენ, ტოლი არ დაუდო ახალგაზრდა ტესტ-მძღოლებს.

კაროლ შელბი და "ფორდი" 60-იან წლებში წარმატებულად თანამშრომლობდნენ ავტოსპორტსა და ავტოინდუსტრიაში, რაც გამოიხატებოდა როგორც "ფორდის" ძრავებით აღჭურვილი ლეგენდარულ როდსტერ "შელბი კობრას" პოპულარობაში, ასევე შელბისთან მჭიდრო თანამშრომლობით შექმნილ სარბოლ ავტომობილ "ფორდ GT"-ის მიერ ლე მანის 24-საათიანი რბოლების მოგებაშიც. რაც შეეხება "მუსტანგს", შელბისთან თანამშრომლობით დამზადებულმა ამ ავტომობილის მოდიფიკაციებმა (GT350 და GT500) უმალ მოიპოვეს პოპულარობა არამხოლოდ ამერიკელ, არამედ მსოფლიო ავტომოყვარულთა შორის და დასაბამი დაუდეს ეგრეთ წოდებულ პონი-კარების მანიას.

პონტიაკ სოლსტაისი "გენერლების" ახალი ვარსკვლავი

ამ კონცეპტუალურ ავტომობილს "ჯენერალ მოტორსი" უკვე ორი წელია, თითქმის ყოველთვის წარუდგენს ავტომოყვარულს სხვადასხვა ავტოსალონებზე. მას ხშირად კონცერნის წარმოების შეფის, ბობ ლუტცის შვილობილსაც კი უწოდებენ. "პონტიაკ სოლსტაისის" დებიუტი ჯერ კიდევ დეტროიტის 2002 წლის ავტოსალონზე შედგა, თუმცა მაშინ არავინ ლაპარაკობდა იმაზე, რომ მას ოდესმე კონვეიერზეც ვიხილავდით.

ამ ორი წლის განმავლობაში ავტომობილმა ყველანაირად კარგი გამოხმაურებები მიიღო არა მხოლოდ ავტომოყვარულთა, არამედ სპეციალისტების მხრიდანაც და აი, ამჯერად "გენერლებმა" მნახველის წინაშე წარმოადგინეს სწორედ წარმოებისთვის მომზადებული კომპაქტური როდსტერი "სოლსტაისი", რომელსაც წინამორბედთან შედარებით თითქმის არ განუცდია ცვლილება.

როგორც კონცერნის ხელმძღვანელობა აცხადებს, ამ როდსტერის წარმოება გაცილებით ადრე გადაწყდა, თუმცა მისი ტექნოლოგიური მომზადება გაჭიანურდა, რამდენადაც პრაქტიკულად თავიდან იყო შესაქმნელი კომპაქტური პლატფორმა, რომელსაც უკანა წამყვანი თვლები ექნებოდა.

ამ ორ წელიწადში "ჯენერალ მოტორსის" კონსტრუქტორებმა დაამზადეს სრულიად ახალი პლატფორმა სახელად "კაპა", რითაც დაარღვიეს კონცერნის პრინციპი, რომელიც ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: მოდელები იქმნება პლატფორმის შესაბამისად და არა პლატფორმა რომელიმე კონკრეტული მოდელისთვის. თუმცა, პლატფორმა "კაპას" კონცერნი სხვა მოდელებისთვისაც გამოიყენებს. ამის თვალსაჩინო მაგალითი კი უკვე ვიხილეთ დეტროიტში "შევროლე ნომადისა" და "სატურნ კურვეს" სახით.

როდსტერი დახვეწილი და საკმაოდ აგრესიული გარეგნობით გამოირჩევა, რითაც ხაზგასმულია მისი სპორტული ნირი. რა თქმა უნდა, ავტომობილი ჟანრის შესაბამისადაა აღჭურვილი – მას აქვს ხისტი დაკიდება თითო ამორტიზატორით და ხისტი ზამბარებით. მას გააჩნია 18-დუიმიანი თვლები და ოთხივე თვალზე დისკური მუხრუჭები.

შესაძლოა, ყოველივე ამას ნაკლებად შეეფერება 2.4-ლიტრიანი ძრავი, რომელიც 170 ცხენის ძალას ავითარებს, თუმცა ეს საკმარისია იმისათვის, რომ მძღოლმა დიდი სიამოვნება მიიღოს "სოლსტაისის" მართვით. ეს ძრავი იმითაა განსაკუთრებული, რომ მას გაზგანაწილების ცვალებადი ფაზები გააჩნია, რისი საშუალებითაც შესაძლებელია მისი მუშაობა როგორც ეკონომიურ, ასევე სპორტულ რეჟიმებში. ძრავთან შეწყვილებულია ხუთსაფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი.

ჯერჯერობით უცნობია ავტომობილის დინამიკური მახასიათებლები. სამაგიეროდ, კომპანია აცხადებს, რომ მას ბაზარი შემოდგომაზე იხილავს. ჯერ დაზუსტებული არც ფასია, თუმცა მოსალოდნელია, რომ იგი არ ეღირება 20 000 დოლარზე მეტი.

საჰარას უდაბნოდან ცივილიზებულ გზებზე

რაც დრო გადის, ევროპის უდიდესი ავტომწარმოებლის სამოდელო რიგში სულ უფრო მეტი ახალი ავტომობილი ჩნდება და შორს არაა ის დრო, როცა სხვა მოწინავე კომპანიების მსგავსად, ვოლფსბურგელებიც მთლიანად აითვისებენ ავტობაზრის ყველა სეგმენტს.

დეტროიტში კონცერნი ექსპონატების სიმრავლით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მის სტენდს ამშვენებდა ავტოსალონის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შოუ-სტოპერი – ექსტრემალური პირობებისთვის განკუთვნილი მონსტრი, რომლისთვისაც შემქმნელებმა სახელად არაფრისმეტყველი "კონცეპტ T" გაიმეტეს.

როგორც ამ ავტომობილის შემოქმედნი ამბობენ, მათ თავიანთ ქმნილებაში სცადეს უგზოობის ავტომობილისა და სპორტული კუპეს თვისებების შერწყმა, რაშიც გარკვეულწილად გამოადგათ დაკარის რალი-მარათონში მონაწილეობისას მიღებული უზარმაზარი გამოცდილება. ამასთან, კონცეპტკარის სპორტულ ნირზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ უგზოობის ავტომობილებისთვის შეუფერებლად, მისი სალონის ფორმულაა 2+2 (რაც იმას ნიშნავს, რომ ავტომობილი განკუთვნილია მძღოლისა და ერთი მგზავრისთვის. ამასთან, შესაძლებელია უკანა სავარძლებზე ორი მომცრო ტანის მგზავრის გაჭირვებით განთავსება).

ამ უჩვეულო ავტომობილის კაპოტქვეშ მოთავსებულია 3.2-ლიტრიანი V6, ინდექსით R32, რომელიც დიდი ხანია, გამოიყენება ისეთ პოპულარულ ავტომობილებში, როგორებიცაა "აუდი TT" და "ფოლკსვაგენ გოლფი". რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს აგრეგატი 241 ცხენის ძალამდეა დეფორსირებული. თუმცა, ეს სიმძლავრეც საკმარისია იმისათვის, რომ "კონცეპტ T"-მ ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარე 6.9 წამში აკრიფოს. ყველაფერთან ერთად, ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 230 კმ/სთ-ს აღწევს. ძრავთან შეწყვილებულია ნახევრადავტომატური გადაცემათა კოლოფი საფეხურების ხელით შეცვლის უნარით. მაბრუნი მომენტი კი ოთხივე წამყვან თვალს მიეწოდება სატრანსმისიო სისტემასთან სახელწოდებით "4-0მოუშნ".

უზარმაზარი, 19-დუიმიანი ბორბლებისა და თავისებური დიზაინის წყალობით, "კონცეპტ T" გარეგნულად ბაგის კლასის სპორტულ ავტომობილს მოგვაგონებს, რომელსაც სპორტულსავე ყაიდაზე, ზევით ეხსნება კარი, რითაც გაადვილებულია მასში ჩაჯდომა. სახურავს აქვს ერთგვარი T-ს ფორმა. მას ეხსნება გვერდითა და უკანა სექციები, რისი წყალობითაც კუპე წუთებში გარდაიქმნება ტარგად (ღია ავტომობილის ძარის სახეობა, რომელშიც შენარჩუნებულია უკანა საყრდენები).

როგორც "ფოლკსვაგენის" ხელმძღვანელობა აცხადებს, ამ ავტომობილის სერიული წარმოება ჯერჯერობით არ შედის კონცერნის საწარმოო პროგრამაში. თუმცა, გამორიცხული არაა, რომ მასში გამოყენებული ზოგიერთი საინტერესო გადაწყვეტა ახლო მომავალში ამ მარკით დამზადებულ სხვა ავტომობილებში ვიხილოთ.

კეროლ შელბი თავის შვილობილთან ერთად

პონტიაკ სოლსტაისი

ფოლკსვაგენ კონცეპტ T

ასეთი იქნება მე-4 თაობის მიცუბიში ეკლიპსი

ტოიოტა FTX

მერსედეს-ბენც GST

"გვეყოფა ამერიკელების მიბაძვა"

ამ დევიზით დეტროიტში იაპონურმა კომპანია "მიცუბიშიმ" წარმოადგინა კონცეპტუალური სპორტული ავტომობილი "კონცეპტ E", რომელიც პრაქტიკულად ახალი, მეოთხე თაობის "ეკლიპსის" ექსპერიმენტულ პროტოტიპს წარმოადგენს და რომლის საწარმოო ვერსია, ზოგიერთი დამუშავების შემდეგ, 2005 წელს წარდგება პუბლიკის წინაშე. ამ ავტომობილით კომპანიამ მსოფლიოს დაანახა, რომ შეუძლია საკუთარი კონკურენტუნარიანი სტილის შექმნა და ავტოწარმოებაში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა.

ფუტურისტული გარეგნობის მიუხედავად, ამ ავტომობილში ბოლო თაობის "ეკლიპსის" შტრიხები შეინიშნება. ეს მსგავსება ეხება როგორც "რბილ" ფორმებს, ასევე წინა მაშუქების განლაგებას და უკანა საყრდენის თავისებურ მოყვანილობას, რომელიც თანაბრად გადადის ძარის უკანა ნაწილში. სამაგიეროდ, კონცეპტკარის ფორმაში სიახლეა წინა და უკანა ნაწილების გაფორმებაში.

კონცეპტუალურ ავტომობილს ყველაზე მთავარი სიახლეები ძარის ქვეშ აქვს "დამალული". ეს არის უახლესი ჰიბრიდული ძალური დანადგარი, რომელსაც კონსტრუქტორებმა სახელად E-ბუსტ (E-ამძრავი) უწოდეს. ჩვეულებრივ რეჟიმში მოძრაობისას ავტომობილი იყენებს 3.8-ლიტრიან V6 აგრეგატს, გაზგამანაწილებლის ახალი, ცვალებადი ფაზების მქონე სისტემით, რომელიც 270 ცხენის ძალას ავითარებს. იმ შემთხვევაში, როცა სწრაფი აჩქარებაა საჭირო, სპეციალური სისტემა რთავს 200-ცხენისძალიან ელექტრომოტორს, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს უკანა თვლები. ამგვარად, ორივე აგრეგატის ჯამური სიმძლავრე 470 ცხენის ძალას აღწევს, ჰიბრიდული ძალური დანადგარი კი მაბრუნი მომენტით უზრუნველყოფს ავტომობილის ოთხივე ბორბალს. ამ ჰიბრიდის უპირატესობა ისაა, რომ იგი ანალოგიური სიმძლავრის ძრავებთან შედარებით გაზრდილი ეკონომიურობით გამოირჩევა.

სპეციალისტების აზრით, ამგვარი ჰიბრიდული აგრეგატით ავტომობილის წარმოება თითქმის გამორიცხულია. თუმცა, მასში შემავალ 6-ცილინდრიან ძრავს კარგი პერსპექტივა აქვს და იგი აუცილებლად იქნება გამოყენებული მეოთხე თაობის "ეკლიპსის" საწარმოო პროგრამაში. ამ ძრავს ხომ მაღალი ბაზური სიმძლავრის გარდა ფორსირებისთვის დიდი პოტენციალი გააჩნია. ამასთან, მასზე ტურბოკომპრესორის დაყენებაცაა შესაძლებელი.

"კონცეპტ E"-ს გარდა, იაპონური კომპანიის სტენდზე თავს იწონებდა კონცეპტუალური სპორტული სტილის პიკაპი სახელად "სპორტ ტრეკ". "მიცუბიშის" სამოდელო რიგში დღემდე არ ფიგურირებს პიკაპის სტილის ავტომობილები. ასე რომ, ამ კონცეპტუალური პიკაპის მომავალი საკმაოდ პერსპექტიულად მოსჩანს. იგი შექმნილია "კრაისლერის" წარმოების პიკაპ "დოჯ დაკოტას" პლატფორმაზე და აღჭურვილია 4.7-ლიტრიანი V8 აგრეგატით, რომლის სიმძლავრეც 235 ცხენის ძალას შეადგენს. მისგან გამომუშავებული მაბრუნი მომენტი ოთხივე, 22-დუიმიან თვალს გადაეცემა. რა თქმა უნდა, თუ ამ ავტომობილის წარმოება გადაწყდა, მასში სწორედ ეს პლატფორმა იქნება გამოყენებული.

კიდევ ერთი ჰიბრიდი იაპონიიდან

ბოლო წლებში იაპონური ავტოგიგანტი "ტოიოტა" სულ უფრო ავიწროებს მსოფლიო ბაზრის ოდინდელ ლიდერებს, "ჯენერალ მოტორზსა" და "ფორდ მოტორზს". იაპონელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აშშ-ის ბაზარს, სადაც ტრადიციულად, ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობენ პიკაპები. იყო დრო, როცა ამ კლასში "ფორდს" ბადალი არ მოეპოვებოდა, მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ იაპონელები "ცისფერი ოვალის" ბატონობას დიდხანს ვერ მოითმენდნენ.

ჰოდა, უკვე დიდი ხანია, "ტოიოტას" სამოდელო რიგშიც გამოჩნდა პიკაპის კლასის ავტომობილები, რომლებმაც უმალ მოიპოვეს პოპულარობა ამერიკის ბაზარზე. თუმცა, "ტოიოტამ" გარკვეული წარუმატებლობაც გამოსცადა სრულგაბარიტიანი პიკაპების წარმოების საქმეში და ამიტომ, სასწრაფოდ შეუდგა ამ კლასის ავტომობილის განახლებას. შედეგად, დეტროიტში კომპანიამ წარმოადგინა კონცეპტუალური პიკაპი, სახელად FTX, რომელიც ჰიბრიდული ძალური დანადგარითაა აღჭურვილი და იაპონელთა განცხადებით, მალე შეცვლის პოპულარულ მოდელ "ტუნდრას".

FTX არის უზარმაზარი პიკაპი, ალბათ ყველაზე დიდი, რომელიც კი ოდესმე უწარმოებიათ იაპონურ კომპანიებს. იგი აღჭურვილია 37-დუიმიანი (!) საბურავებით, რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავ გარეგნობას სძენს ამ გიგანტს. ავტომობილს კონკურენტებისგან პირველ რიგში გამოარჩევს მისი წინა ნაწილის გაფორმება, რომლის წყალობითაც იგი აგრესიულ გამომეტყველებას მიიღებს და ტრასაზე ადვილად ამოსაცნობი იქნება.

დიზელის საწვავზე მომუშავე V8 აგრეგატისა და ელექტროძრავის შეწყვილებით კონსტრუქტორებმა მიაღწიეს ავტომობილის ისეთსავე ეკონომიურობას, როგორიც გააჩნიათ გაცილებით მცირე ზომისა და V6 ძრავით აღჭურვილ ავტომობილებს.

"ტოიოტას" დაგეგმილი აქვს ამ ავტომობილის წარმოება სან ანტონიოში აშენებულ ახალ ქარხანაში, რომლის წლიური სიმძლავრეც 250000 ცალ ავტომობილს შეადგენს. წარმოების დაწყება კი 2006 წლიდანაა ნავარაუდევი.

ჰიბრიდებით "სამქიმიანებიც" დაინტერესდნენ

საერთოდ, ევროპელი ავტომწარმოებლები ნაკლებ ინტერესს იჩენენ ჰიბრიდული ძალური დანადგარების მიმართ. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო აქამდე, მაგრამ როგორც ჩანს, მათი დამოკიდებულება საქმისადმი იცვლება. ასეა თუ ისე, დეტროიტში წარმოდგენილ იშვიათ ევროპულ ექსპონატთაგან ორი სწორედ ამგვარი აგრეგატებით იყო აღჭურვილი.

ეს ორია - "მერსედეს-ბენცის" S-კლასის ჰიბრიდული სედანი და მისივე კონცეპტუალური მოდელი GST II (GST – გრანდ სპორტ ტურერ), რომელშიც პრაქტიკულად გაერთიანებულია უნივერსალის, მინივენისა და უგზოობის ავტომობილის თვისებები. რაც მთავარია, შტუტგარტელებმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ შესაძლებელია ავტომობილის ეკონომიურობის გაზრდა ისე, რომ არ გაუარესდეს მისი დინამიური მონაცემები.

V6 ძრავთან შეწყვილებული ტყუპი ელექტროძრავი ერთობლივად 309 ცხენის ძალას იძლევა, რაც საკმარისია იმისათვის, რომ "მერსედეს-ბენცის" S-კლასის სედანი ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარემდე 7.5 წამშიააჩქაროს. ეს მაშინ, როცა ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ-ს მიაღწევს. კონცერნის აღმასრულებელმა იურგენ ჰუბერტმა წარმოდგენილ პროტოტიპს უწოდა "მსოფლიოში პირველი უკანა წამყვანთვლიანი ჰიბრიდულ-ელექტრული ავტომობილი", რომელიც ტრადიციული, შიდაწვის ძრავით აღჭურვილ იგივე კლასის ავტომობილთან შედარებით 20 პროცენტით ნაკლებ საწვავს მოიხმარს.

რაც შეეხება GST-ს, იგი აღჭურვილია V8 დიზელისა და ელექტრომოტორის ჰიბრიდით. ამ ჰიბრიდის საერთო სიმძლავრე 314 ცხენის ძალას აღწევს, რისი საშუალებითაც კონცეპტკარი ადგილიდან 100 კმ/სთ-ის აკრეფას 7 წამზე ნაკლებში ახერხებს. ამ აგრეგატებით ავტომობილის ხარჯი ას კილომეტრზე 6 ლიტრზე ოდნავ მეტია.

ჰუბერტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ჯერ არ აპირებს ბაზარზე ჰიბრიდული ავტომობილების გამოშვებას, დიდადაა დაინტერესებული ეგრეთ წოდებული წყალბადის ფიჭური ელემენტების ტექნოლოგიით, რისი დამუშავებაც გარკვეულ დროს საჭიროებს.

რაც შეეხება კონცეპტუალურ GST-ს, მისი წარმოების დაწყება 2005 წლიდან, ალაბამაში აშენებულ ახალ ქარხანაშია დაგეგმილი. მისი წინასერიული ვერსიის დებიუტი კი წლეულს, პარიზის ავტოსალონზე შედგება.

ოფრა უინფრი – თოქ-შოუს ყველაზე გავლენიანი დიასახლისი მსოფლიოში დღეს 50 წლის ხდება

საუკეთესო მოსაუბრე ქალი

შოუბიზნესს მრავლად აქვს შემონახული იმ ვარსკვლავების ისტორიები, რომლებიც დიდების მწვერვალს ღატაკთა უბნების გავლით მიაღწიეს. თუმცა, ოფრა უინფრის ამ მხრივ მაინც ვერავინ შეედრება. ის 1954 წელს, მისისიპის შტატში, კოსციუსკოს ღარიბულ დასახლებაში დაიბადა, შემდეგ კი პირველი აფრიკელ-ამერიკელი ქალი გახდა, რომელმაც მილიარდერის სტატუსის მოპოვება შეძლო.

გოგონა ბავშვობიდან ტრავმირებული იყო. 9 წლის გოგონას ოჯახის წევრები და მეგობრები სექსუალურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ 14 წლის ოფრა მამასთან არ გადავიდა საცხოვრებლად. ის ძალიან მკაცრი კაცი იყო და შვილს დისციპლინას აჩვევდა.

სწორედ მამის წყალობით ოფრამ ორი დიპლომი მოიპოვა – ორატორულ ურთიერთობებსა და სამემსახიობო ხელოვნებაში. და როგორც ცნობილია, გოგონას წარმატებული კარიერის გაკეთებაში ორივე უმაღლესი განათლება ძალიან დაეხმარა. ადგილობრივ რადიოში მუშაობის შემდეგ, 1984 წელს მან ჩიკაგოში, ერთ-ერთი უსახური თოქ-შოუში დაიწყო მუშაობა. უკვე ერთ წელიწადში კი, ნიჭიერი წამყვანის წყალობით, გადაცემის სახელი ყველგან ქუხდა. შოუს სათაურიც შეუცვალეს და "ოფრა უინფრის შოუ" დაარქვეს.

შემდეგ გადაცემა სინდიკატორების პრინციპით მთელ შტატებში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა. უინფრი წარმატებული და პოპულარული ქალი გახდა. ცხადია, მას მრავალი მიმბაძველიც გამოუჩნდა, მაგრამ უკვე 20 წელია, ოფრა უინფრი დღის ტელევიზიის უკონკურენტო დედოფლად რჩება.

დღეს, 29 იანვარს თოქ-შოუს ყველაზე გავლენიანი დიასახლისი 50 წლის ხდება. ხალხი კი ვარაუდობს, რომ ოფრა უინფრის კარიერაში შემდეგი ნაბიჯი პოლიტიკურ ასპარეზზე გასვლა უნდა იყოს.

© GRAPHIC NEWS

ფაქტები

სტივენ სპილბერგის ფილმში Color Purple შესრულებული როლისთვის ოფრა "ოსკარის" ნომინაციაზე იყო წარდგენილი.

"ოფრა უინფრის შოუ", როგორც საუკეთესო თოქ-შოუ, შვიდ "ემის" ფლობს. ამ სინდიკატირებულ გადაცემას ამერიკაში ყოველდღიურად, დაახლოებით, 14 მილიონი ადამიანი უყურებს, მილიონობით მაყურებელი ჰყავს მას 132 უცხო ქვეყანაშიც.

ჟურნალმა "თაიმმა" ოფრა მე-20 საუკუნის 100 ყველაზე გავლენიანი ადამიანის სიაში შეიყვანა.

ბავშვობიდან გამოყოლილი ტრავმების გამო უინფრი ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა შეურაცხყოფილი ბავშვების მონაცემთა ნაციონალურ ბანკთან. 1993 წელს ბილ კლინტონმა ხელი მოაწერა ოფრას საკანონმდებლო ინიციატივასაც.

მაზოხისტების გამხარებელი



"მაკულატურა"

"მოკალი ბილის" რეჟისორმა, კვენტინ ტარანტინომ, მაყურებლის მიმართ თავისი დამოკიდებულება ფრიად ორიგინალურად ჩამოაყალიბა: "მე თქვენს გრძნობებში ჩარევა მიყვარს. თქვენ იცინით, იცინით, იცინით, სანამ გულს არ იჯერებთ. მერე შეწყვეტთ, შეწყვეტთ, შეწყვეტთ, სანამ კვლავ არ გაიცინებთ, და გაიცინებთ, და გაიცინებთ".

ტარანტინოს თქმით, რეჟისორსა და მაყურებელს სადო-მაზოხისტური ურთიერთობა აქვთ. "მაყურებელი მაზოხისტია," მოახსენა 40 წლის რეჟისორმა ინტერნეტ-სამსახურს Wenn-ს. მისი თქმით, ადამინებს უყვართ, როცა ის აწამებს, მას კი თავის მხრივ მათი შოკირება მოსწონს. ასე რომ, ორივე მხარე კმაყოფილია.

რეციდივი

ნიკოლ კიდმანი

ამბობენ, გამთბარი ყავა უგემურიაო, მაგრამ ზოგჯერ საქმე სულ სხვაგვარად ტრიალდება ხოლმე. ასე, ერთ დროს ჰოლივუდის ყველაზე შეხმატკბილებული წყვილი, რომელიც მერე ერთმანეთს სამარცხვინოდ დაშორდა, აშკარად კვლავ დამეგობრდა.

"სანის" ინფორმაციით, ბევერლი ჰილსზე, "ოქროს გლობუსის" გადაღების ცერემონიის დროს, რეპორტიორებმა ნიკოლ კიდმანისა და ტომ კრუზის კვლავ დაახლოების ნიშნები აღმოაჩინეს. პირველი: ორგულ ლენი კრავიცთან დაშორების შემდეგ ნიკოლი მეტისმეტად გაბრწყინებული იყო; მეორე: ტომს თავის პენელოპა კრუსი არ ახლდა; მესამე: მათ აშკარად მოილაპარაკეს, რომ ისეთ ადგილას შეხვდებოდნენ ერთმანეთს, სადაც ფოტოგრაფები ვერ მონახავდნენ; მეოთხე ("სანს" ერთ-ერთი სტუმრის ციტატა მოჰყავს): "იმდენი რამა აქვთ საერთო და ისე უყვართ ერთმანეთი..."

არავინ იცის, რამდენად გამართლდება ჭორის მოყვარული ჟურნალისტების იმედი. ისიც არავინ იცის, დათმობს თუ არა მშვენიერი პენელოპა თავის საყვარელ ტომს.

ბებია შირლი

შირლი მაკლეინი

ახალ ფილმში, In her shoes ჰოლივუდის ვარსკვლავი, შირლი მაკლეინი, კემერონ დიასისა და ტონი კოლეტის ბებიის როლს შეასრულებს.

დიასის გმირი უდარდელი და უმუშევარი უმცროსი დაა, კოლეტი კი უფროს დას, პატივმოყვარე ადვოკატს თამაშობს. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი განსხვავებული არსებების თანაცხოვრება მრავალ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. დები ერთ ბინაში სახლდებიან, მაგრამ მათ შორის შეხლა-შემოხლას მოულოდნელი სიახლოვეც მოჰყვება. თან, როგორი ბებია ჰყავთ – თავად შირლი მაკლეინი!

რეჟისორი კერტის ჰენსონი ფილმის გადაღებას თებერვალში დაიწყებს.

სკანვორდი



TV პროგრამა

29 იანვარი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.10** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **23.00** ღამის კურიერი **00.30** მხ. ფილმი "ძალიან საშიში კინო 2". მთ. რ-ში: მარლონ უეიანსი, შონ უეიანსი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბასკერვილების ოჯახი" **10.10** მხ. ფილმი "სამიზნე" **11.45, 21.35** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "პარიზის ცხოველები" **15.15** მხ. ფილმი "ფრენის სიჩქარე" **16.45** რამპა **16.50** ერთი თეთრიც ფულია **17.00** სერიალი "ჩემი ყველაზე მშვენიერი არდადეგები" **17.25** "გაცოცხლებული სურათები" **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.00** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.45** ეკონომიქსი **22.25** სერიალი "ჩემი ამერიკელი ბიძა" **00.10** მხ. ფილმი "საღამოს ბინდი"

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "შეხვედრის ადგილი: ძაღლების პარკი". მთ. რ-ში ნატაშა ჰენსტრიჯი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ადაპტაცია" მთ.რ-ში ნიკოლას კეიჯი, მერილ სტრიპი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "ქინჯაიტი. აკრძალული თამაშები" (ჩარლზ ბრონსონი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ნარკოვაჭრობა" (მაიკლ დუგლასი)

მეორე არხი

19.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **19.35** კინოსეანსი "იდიოტების ალბუმი" **21.00** მოგზაურობა-პარიზი **22.10** მხ. ფილმი "ოთხთა სიყვარული"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "თავში უქრის" **13.30** მხ. ფილმი "მკვლელის ინსტინქტი" **15.00** მხ. ფილმი "გამოუსწორებელი თაღლითები" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "გზაჯვარედინი" **22.30** მხ. ფილმი "შურისგების მუშტი" **00.30** მუსიკა

იბერია

08.00 ანონსი, დიალოგი **10.30, 14.50, 17.20, 17.50, 21.55, 01.05** მუსიკა **11.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** დოკ. ფილმი **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "მეწამული მდინარეები" **17.30** მულტფილმი **18.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე ვიდეო **21.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ზამთრის ზღაპარი"

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 13.35, 15.40, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ტუტსი" **14.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ზღვარზე" **17.00** მხ. სერიალი "ზებუნებრივი სამყარო" **18.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ყვითელი კვადრატი" **23.00** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** ცხელი ცხრიანი **00.30** რუს. ფილმი "უთავო მხედარი"

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 17.20, 00.20** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** "მუღამები" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "ეარ ამერიკა" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.05** ქრონიკა **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **22.50** მხ. ფილმი "სხვისი შვილები"

არხი

08.00 მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** დრამა "ოკეანის ფსკერზე" **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხ. ფილმი "ჯარისკაცები ვიყავით" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხ. ფილმი "ჯარისკაცები ვიყავით" (გაგრძ.) **14.45** მუსიკა **15.00** დოკუმენტური ფილმი **16.20** მულტფილმი **17.00** კომედია "შესანიშნავი" **18.35, 21.50** მუსიკა **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** ბოევიკი "ძარცვა იტალიურად" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "ექსკლუზივი" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** დრამა "ჰამლეტი" **03.50, 05.40** მუსიკა **04.10** კომედია "ცოფიანი ქოფაკი და გლორი"

ОРТ

07.00 "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Худ.фильм "Следующий". ("Next 3") 11.20, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.20 Худ.фильм "Из жизни отдыхающих" 15.00** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.30** "Шутка за шуткой" **21.00** "Слабое звено" **22.00, 00.30** "Время" **23.40** "Человек и закон" **00.50** "Теория невероятности". "Фэн-Шуй" **01.20** "На линии огня". Фильм 2 **01.50** Док.фильм "Собачья работа" **02.20 Худ.фильм "Парни не плачут" 04.20 Худ.фильм "Большое ограбление поезда"**

РТР

06.00 Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "Русские амазонки 2" 10.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **11.45, 14.45, 17.25, 01.15** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести - Москва **12.50** Ток-шоу "Что хочет женщина" **13.50, 23.00 Сериал "Неотложка" 15.30** Ток-шоу "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Детектив "Кобра. Антитеррор". "Князь тьмы" 19.00 Мелодрама "Спас под березами" 19.55 Сериал "Тайны следствия. Женские слезы" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **00.00** "Вести+" **00.20** "Исторические хроники". "1913. Илья Репин" **01.30 Худ.фильм "Вместе" 03.40** "Дорожный патруль" **03.55** "Агентство одиноких сердец" **04.20 Сериал "Ангелы Чарли"**

НТВ

07.00 "Утро на НТВ" **09.55 Сериал "Таксистка" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Квартирный вопрос: тропический бум" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.00** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Не хочу жениться!" 15.15** "Е. Леонов. Последнее интервью" **15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Протокол" **20.35 Детектив "Мангуст", 8 с. 21.50 Сериал "Таксистка", 12 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45** Ток-шоу "К барьеру!" **00.50 Сериал "Мангуст"**

შარლიზი დაგვიჩაგრეს!

"ოქროს გლობუსის" მფლობელი შარლიზ თერონი თავისი საყვარელი სუშის რესტორნიდან გამოაგდეს! გაუგონარი ამბავია!

ამის მიზეზი კიდევ უფრო საოცრად ჟღერს: ვარსკვლავს არც დებოში მოუწყვია და არც სამკვდრო-სასიცოცხლოდ დამთვრალა, უბრალოდ, მეტისმეტად გაუმაძღარი ყოფილა. თავის მეგობარ სტიუარტ თაუმსენდთან ერთად ვარსკვლავს მეტისმეტად ბევრი საჭმელი შეუკვეთია.

შარლიზი ძალიან ბრაზობს: "მე სამი წელი დავდიოდი ამ რესტორანში. ჩვენ ძალიან კარგი კლიენტები ვიყავით. ამათ კი გამაგდეს - მთელი ხალხის დასანახად!"

ნეტა, ან რესტორნის მესვეურები რამ გაამწარა, ან შარლიზს რატომ არ ეტყობა გაუმაძღრობა?



ვარსკვლავი გლადიატორები

ლონდონში გამართული "პეპსის" სარეკლამო ფილმის მსოფლიო პრემიერის დროს ფოტოგრაფებს ერთბაშად სამი სუპარვარსკვლავის გადაღების საშუალება ჰქონდათ: პინკის, ბრიტნი სპირსისა და ბიონს ნოულზის.

მომღერალი ბიონს ნოულზი საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო. ის ნამდვილად შესანიშნავად გამოიყურებოდა, თან ბეწვიც ჰქონდა მოსხმული. სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ პინკის სასტიკი გულისწყრომა გამოიწვია, ვინაიდან, როგორც ცნობილია, უკანასკნელ დროს ის ცხოველთა დამცველი გახდა.

ბრიტანული გაზეთი "სანი" წერს, რომ პინკი შოკირებული იყო. "ბიონსის საქმეა, რასაც უნდა, იმას ჩაიცვამს," - თქვა პინკმა. " მაგრამ მე მას აღარ დაველაპარაკები. ასეთი რამის ტარება დიდი შეცდომაა".

ბრიტნი სპირსი, რომელიც სარეკლამო რგოლში პინკთან და ბიონსთან ერთად გლადიატორის როლში გვევლინება, თავის მოკლეხნიან ქორწინებაზე ამჯობინებდა საუბარს: "უკვე იმ სტადიას მივაღწიე, რომ ყველაფერ ამაზე გაცინება შემიძლია".

თამბაქოს მწეველობის შეწყვეტის მსურველთათვის!

პირველად საქართველოში მოსკოვის ჯანმრთელობის საერთაშორისო ცენტრი და ჰუმანიტარული ორგანიზაცია ADRA-Georgia, აშშ პროგრამით "ისუნთქე თავისუფლად" 10-13 თებერვალს ატარებს მწეველობის შეწყვეტის სამკურნალო-პროფილაქტიკურ კურსს.

ბარნოვის ქ. N83 T-773812/14, 226076.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის № 72 ტელ:29-48-61

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.